



საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო  
ჟურნალი

ა რ ქ ე ო ლ ო გ ი ა

II

A R C H A E O L O G Y

The Scientific Journal of the University of Georgia

თბილისი

Tbilisi

2018



საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის საერთაშორისო ცენტრი  
*International Archaeological Centre of the University of Georgia*  
*www.archaeology.ge*

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი, საქართველო

Printed at The University of Georgia  
Tbilisi, Georgia

საავტორო უფლებები © 2018 ეკუთვნის საქართველოს უნივერსიტეტს. ყველა სახის ციფრული ან ბეჭდური სახით გავრცელება წინამდებარე ჟურნალში არსებული სტატიებისა და ფოტო-ვიზუალური მასალისა კომერციული მოგების მიზნით საქართველოს უნივერსიტეტთან შეთანხმების გარეშე აკრძალულია.

Copyright © 2018 All right reserved by the University of Georgia. Permission to make digital or hard copies of part or all of this work for personal or classroom use is granted without fee provided that copies are not made or distributed for profit or commercial advantage.

ჟურნალში წარმოდგენილი სამეცნიერო აზრები და შეხედულებები ეკუთვნით ავტორებს. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა პასუხს არ აგებს სტატიების სამეცნიერო შინაარსზე.

No responsibility for the views expressed by authors in the „Archaeology” scientific journal of the University of Georgia is assumed by the editors or the publisher.

„არქეოლოგია“ საქართველოს  
უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი,  
საქართველოს უნივერსიტეტი.  
საქართველო, თბილისი. 0175  
კოსტავას 77, კორპუსი IV  
ტელ: (+995 99) 319915

„Archaeology” Scientific journal  
of the University of Georgia,  
The University of Georgia.  
Georgia. Tbilisi. 0175  
M. Kostava Street 77, Building IV  
Tel: (+995 99) 319915

Email: [ug@ug.edu.ge](mailto:ug@ug.edu.ge)

ყველა საავტორო უფლება დაცულია © 2018  
Copyright © 2018  
ISSN 2449-2922

**საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი “არქეოლოგია”  
“Archaeology“ the scientific journal of the University of Georgia**

სამეცნიერო რედაქტორი    დავით ბერიკაშვილი  
Scientific Editor            David Berikashvili

ტექნიკური რედაქტორი    ნინო სუარიძე  
Managing Editor            Nino Suaridze

ყდის დიზაინერი            ჯულიეტა ანდლულაძე  
Designer                      Julieta Andguladze

რედაქტორი                    მარინა ჟღენტი  
Editor                          Marina Zhgenti

**სარედაქციო საბჭო  
Editorial Board**

გურამ ლორთქიფანიძე    ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Guram Lordkipanidze    Iv. Javakhishvili Tbilisi State University

დავით ლომიტაშვილი    საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის  
David Lomitashvili        ეროვნული სააგენტო  
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

გურამ გრიგოლია            ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Guram Grigolia            Iv. Javakhishvili Tbilisi State University

დარეჯან კაჭარავა        საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
Daredjan Kacharava      Georgian National Museum

იულონ გაგოშიძე            საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
Julon Gagoshidze        Georgian National Museum

ვახტანგ ლიჩელი            ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Vakhtang Licheli        Iv. Javakhishvili Tbilisi State University

მინდია ჯალაბაძე        საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
Mindia Jalabadze        Georgian National Museum

ნიკოლოზ მურგულია      საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
Nikoloz Murgulia        Georgian National Museum



სარჩევი  
Contents

*ლევან ჭაბაშვილი*  
*Levan Tchabashvili*  
ბრინჯაოს ხანის მრავალფენიანი ნამოსახლარების გათხრების მეთოდები.....8  
Methods of excavation of multi-layered settlements of the Bronze Age.....14

*დავით ბერიკაშვილი*  
*David Berikashvili*  
არქეოლოგიური გათხრები სამშვილდეში 2017 წელს .....15  
Archaeological excavations in Samshvilde in 2017.....40

*ნიკოლოზ მურგულია*  
*Nikoloz Murgulia*  
ნოქალაქევის ტოპოგრაფია ძვ.წ. I ათასწლეულში.....43  
Topography of Nokalakevi in the 1st Millennium BC.....58

*გიორგი ლაღიაშვილი*  
*Giorgi Lagiashvili*  
ზოგიერთი დაკვირვება იორ-ალაზნის ორმდინარეთის ტოპონიმის წარმომავლობაზე.....59  
Some observations on the origin of the Iori-Alazani river basin Toponymics .....67

*გვანცა ვაჩაძე*  
*Gvanca Vachadze*  
კოლხურ სამაროვნებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ქალი მხედრების იკონოგრაფიის შესახებ.....68  
For the iconography of women riders seating side saddled on a horse found in Colchian collective graves.....74

*შოთა თვალაძე*  
*Shota Tvaladze*  
სამშვილდე-ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“- ს მიხედვით.....75  
Samshvilde-“the life of Georgian kings and forefathers and their family” by Leonti Mroveli.....85

*გურამ გრიგოლია*                      *დავით ბერიკაშვილი*  
*Guram Grigolia*                              *David Berikashvili*  
ნეოლითური ქვის ინდუსტრია სამშვილდედან.....87  
Neolithic stone industry from Samshvilde .....105

*გვანცა ვაჩაძე*  
*Gvanca Vachadze*  
ძვ. წ. VIII – VII სს კოლხეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს ხარისგამოსახულებიანი ფიგურები .....109  
Bronze statuettes of bulls found in Colchis in VIII-VII CC. BC.....114  
„მომავლის არქეოლოგია“ - საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის პროექტი.....116

*ლევან კვახაძე*  
ინტერვიუ გურამ გრიგოლიასთან.....124



საქართველოს უნივერსიტეტის ჟურნალ „არქეოლოგიის“ მეორე ტომში ქვეყნდება 2017 წელს ახალგაზრდა არქეოლოგთა კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებათა შინაარსები. სტატიები მრავალფეროვანია, წარმოდგენილია როგორც საველე კვლევის შედეგები, ასევე თეორიული ნაშრომები.

გარდა ამისა, ჟურნალში ტრადიციულად ადგილი აქვს დათმობილი რუბრიკებს - „პროექტი“ და „ინტერვიუ“. წარმოდგენილი და განხილულია საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ხელოვნების დეპარტამენტის პროექტი - „მომავლის არქეოლოგია“ და ინტერვიუ ცნობილ ქართველ არქეოლოგთან, პროფესორ-ემერიტუს გურამ გრიგოლიასთან.

„არქეოლოგიის“ მეორე ტომი მოცულობით უფრო ვრცელია ვიდრე პირველი ნომერი, ამასთან მეტად დახვეწილი და სრულყოფილი. ვფიქრობთ, იგი განამტკიცებს საქართველოს უნივერსიტეტში არქეოლოგიური ლიტერატურის ბეჭდვის ტრადიციას და მნიშვნელოვან როლს ითამაშებს აღნიშნული დისციპლინის განვითარების საქმეში როგორც შიდა საუნივერსიტეტო, ისე ზოგადად, ქვეყნის მასშტაბით.

მიუხედავად, ჩვენი მცდელობისა, ჟურნალი არ არის დაზღვეული ხარვეზებისგან. აღნიშნულთან დაკავშირებით ყოველი რჩევა და საქმიანი კონსულტაცია სავსებით მისაღებია.

დ. ბერიკაშვილი

## ბრინჯაოს ხანის მრავალფენიანი ნამოსახლარების გათხრების მეთოდები

ჭაბაშვილი ლევანი,  
ასისტენტ-პროფესორი,  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### შესავალი

საველე სამუშაოები, არქეოლოგიის საქმიანობის ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენს. აქ, რა თქმა უნდა, საქმე არ ეხება მხოლოდ იმას, რომ არქიტექტურული ობიექტები ან ხელოვნების ნიმუშები იქნეს მოპოვებული. საველე სამუშაოების - არქეოლოგიური გათხრების დროს გამოყენებული ძიების მეთოდები, დოკუმენტაციის და შემდეგ პუბლიკაციის ხარისხი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ისტორიული სინამდვილის აღდგენის შესაძლებლობას.

არქეოლოგიურ საველე კვლევა-ძიებას ახასიათებს არაპროგნოზირებადი გარემოებების მთელი რიგი და არქეოლოგიისგან მოითხოვს ფართო და საფუძვლიან ცოდნას, როგორც გათხრების მეთოდების, ასევე არქეოლოგიის მონათესავე დისციპლინებისა. არქეოლოგიური ძეგლების მრავალფეროვნება, მათი განსხვავებული ტოპოგრაფია, კლიმატური პირობები, არქეოლოგიური ძეგლების და მონაპოვრების შემონახვის სხვადასხვა მდგომარეობა, გათხრების დროს გამოყენებული განსხვავებული მეთოდები განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ყოველი არქეოლოგიური გათხრა ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულია. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ყველა არქეოლოგიურ გათხრას აერთიანებს რამდენიმე ძირითადი პრინციპი - გათხრების მეთოდები [Sigl J. 2012].

### გათხრების მეთოდები

არქეოლოგიური გათხრებისას გამოიყენება ორი ძირითადი მეთოდი. ესენია გათხრა ხელოვნური ფენების მიხედვით და გათხრა ბუნებრივი ფენების მიხედვით. ორივე ამ მეთოდს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

### გათხრა ხელოვნური ფენების მიხედვით


უღლებით ერთმანეთისგან გამოყოფილ სამუშაო არეალებში (კვადრატებში) ხელოვნური ფენები ჰორიზონტალურად ითხრება. ფენების გათხრის სიღრმე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ინტენსივობით არის მოპოვებული არქეოლოგიური მასალა და რა ინტენსივობით იცვლება თვით ფენის ხასიათი. რაც სწრაფად გვხვდება სხვაობა ფენებში და რაც მეტია მონაპოვარი მასალა, მით უფრო დეტალურად ხდება მათი ფიქსაცია. მონაპოვარი მასალის შეგროვება სხვადასხვა პრინციპით ხდება. ძირითადად ხელოვნური ერთეულების კონტექსტების მიხედვით. განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მონაპოვარი სამ განზომილებაში აიზომება. ყოველი ასეთი ფენის აღების შემდეგ ფართობი მოსწორდება და ხდება მისი დოკუმენტირება (ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია). მოსწორებულ ფართობზე არსებული სიტუაცია ფიქსირდება (რეალურად არსებული, ბუნებრივი, ფენე-



ბი აქ ჰორიზონტალურად არის გაჭრილი) და ამრიგად ხდება რეალურად არსებული ფენების დოკუმენტირება რამდენიმე სხვადასხვა, ურთიერთმომდევნო გეგმაზე. როდესაც მიღწეული იქნება დედაქანამდე, გათხრების არეალი შემცირდება (ტაბ 1).

გათხრების შედეგების შეჯამებისას ანალიზი უკეთდება პროფილებში გათ-

ხრების შედეგების შეჯამებისას ანალიზი უკეთდება პროფილებში დაფიქსირებულ სტრატეგრაფიულ მდგომარეობას და მის შეჯერებას ჰორიზონტალურ გეგმებზე დაფიქსირებულ მდგომარეობასთან. ხდება რეკონსტრუირება იმისათურა დამოკიდებულებაშია გეგმებზე დაფიქსირებული ფენები პროფილებში დაფიქსირებულ ფენებთან. გათ-



ტაბ. I. Tab. არქეოლოგიური გათხრები ბუნებრივი ფენების მიხედვით. Handbuch der Grabungstechnik მიხედვით. ტაბ. 3.

ხრების ამ მეთოდის გამოყენებისას პროფილს კონტროლის მექანიზმის ფუნქცია გააჩნია.

მოპოვებული მასალა, ფენების კოორდინატების მონაცემების მიხედვით, დაუკავშირდება არქეოლოგიური ძეგლის რეკონსტრუირებულ მოდელს.

### არქეოლოგიური გათხრა ბუნებრივი ფენების მიხედვით

გათხრების ამ მეთოდისთვის გამოყენებული სახელწოდება არ არის მთლად ზუსტი, რადგანაც აქ საქმე ეხება ფენებს, რომლებიც ძირითადად ანთროპოგენული წარმომავლობისაა. ზოგჯერ ამ მეთოდს უწოდებენ „ფენების რელიეფის მიხედვით გათხრას“ რაც შედარებით უფრო ზუსტია (ტაბ. 2).

მრავალფენიან არქეოლოგიურ ძეგლზე, როგორც წესი, ქრონოლოგიურად ადრეული ფენები ქვემოთ არის განლაგებული, ხოლო გვიანდელი ფენები ზემოთ. გათხრების ამ მეთოდის გამოყენების დროს ეს ფენები ზემოდან ქვემოთ იქნება აღებული ცალ-ცალკე, ისე რომ ითხრება ფენები მათი კონტურების მიხედვით. ძირითადი პრობლემა ის არის, რომ საჭიროა ამ ფენების ერთმანეთისგან განსხვავება. ეს ხდება რამდენიმე პრინციპის მიხედვით:

1. ფერის მიხედვით;
2. მასალის შემცველობის მიხედვით;
3. შემადგენლობის (სიმყარის) მიხედვით.

არქეოლოგიურ ძეგლზე ფენების ეს მახასიათებლები მათი წარმოშობისას ჩნდება. შედარებით ადვილი შესამჩნევი და დასაფიქსირებელია ისეთი მონაკ-



ტაბ. II. Tab. არქეოლოგიური გათხრები ბუნებრივი ფენების მიხედვით. Handbuch der Grabungstechnik მიხედვით. ტაბ. 4.

ვეთები როგორცაა იატაკი, ქუჩა, გზა, ანუ ის ადგილები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში იყო ღია. ასევე კარგად ფიქსირდება დამწვარი ან დანგრეული ჰორიზონტები.

შედარებით რთულად შესამჩნევია ეროზიის შედეგად დაშლილი ფენები, ან ნიადაგში ქიმიური პროცესების შედეგად ფერშეცვლილი ჰორიზონტები.

გათხრის დროს ფენის ზედაპირის მთელი რელიეფი უნდა გაიწმინდოს, გამოვლინდეს მისი სრული ზედაპირი. ეს მოითხოვს დეტალურ დაკვირვებას ფენის მასალის შემცველობაზე, მის სტრუქტურასა და ფერზე. ამისათვის საჭიროა, რომ ფენის ზედაპირი მაქსიმალურად კარგად გაიწმინდოს, ისე რომ მიწის ნამცეცებიც კი აღებული იქნეს. დიდი ზომის თანაბარი შეფერილობის შემთხვევაში ფენის გათხრის მომზადება პატარა ორმოების გაკეთებით ხდება, რომლებიც გვამლევს ინფორმაციას ფენის სიმძლავრეზე. გათხრების ამ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში საჭიროა სამუშაო ფართობის მაქსიმალურად შემცირება, რადგან თითოეული ფენის კონტურების სრული დაფიქსირება გაცილებით რთულია. გაწმენდილი ფართობის (რელიეფის) გრაფიკული ფიქსაციის შემდეგ საჭიროა მისი მრავალი წერტილის აზომვა, რათა დაფიქსირდეს ყველა მნიშვნელოვანი განსხვავება სიმაღლეთა შორის.

თუ როგორ უნდა იქნეს გათხრილი ამ შემთხვევაში სამეურნეო ან ხის ფოსოების ორმოები, ეს საკამათოა. ამ მეთოდის მიხედვით ყველა მონაკვეთი (არქიტექტურული დეტალი, ძეგლი, მონაპოვარი) ბოლომდე უნდა იქნეს გათხრილი იმ ფორმით, რაც მას აქვს, სანამ მომდევნო ჰორიზონტი გაიწმინდება. იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი მონაკვეთები ბევრია, მივიღებთ ორმოებით

დაცხრილულ ზედაპირს, რაც გაართულებს შემდეგი ჰორიზონტის გამოვლენას. ასეთ დროს არსებობს ალტერნატივა, რომ ეს შეფერილობები (ორმოების) ფართობზე იქნეს დატოვებული და ზედიზედ რამდენიმე ნახატის შესრულებით გათხრების პროცესში იქნეს ისინი დოკუმენტირებული, სანამ ბოლომდე არ იქნება გათხრილი. თუმცა ამ დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ არ მოხდეს სხვადასხვა ფენებიდან მონაპოვარი არქეოლოგიური მასალის ერთმანეთში შერევა.

არქეოლოგიური მონაპოვარი მასალის აღება ჩვეულებრივად ხდება. განსაკუთრებული მნიშვნელობის მონაპოვარი (“მცირე მონაპოვარი”) სამ განზომილებაში ფიქსირდება.

გათხრების ამ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში თეორიულად შესაძლებელია, რომ პროფილების არსებობაზე უარი ითქვას, იმ შემთხვევაში, თუ გათხრები უშეცდომოდ ჩატარდება, ყველა ფენა (ჰორიზონტი) ზუსტად იქნება ერთმანეთისგან გამოცალკევებული და ისე გათხრილი, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ პროფილის არქონის შემთხვევაში შეუძლებელი გახდება გათხრების ბოლო შედეგების გადამოწმება. ამიტომ, სასურველია, რომ ამ მეთოდის გამოყენების დროსაც იყოს პროფილებიდან სტრატოგრაფიული სიტუაციის გადამოწმების საშუალება.

### **მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეები**

#### **ხელოვნური ფენების მიხედვით გათხრის მეთოდი**

- დადებითი მხარეები: სამუშაოები მიმდინარეობს სწრაფად, ადვილად კონტროლირებადია და ამრიგად ძალიან ეფექტური. გათხრების ამ მეთოდის

გამოყენების დროს, მცირე პრაქტიკის შემდეგ შეიძლება სამუშაოებში ჩართული იქნეს ასევე გათხრების გამოცდილების არმქონე პერსონალი.

იმის გამო, რომ სამუშაო ფართობები მუდმივად ჰორიზონტალურია, მათი დოკუმენტირება მარტივია. ამას ემატება ისიც, რომ სამუშაოების ხანგრძლივობის გამოთვლა ადვილია.

- უარყოფითი მხარეები: იმ ძეგლებზე სადაც ფენების თანმიმდევრობა ხშირია, რთულდება მათ შორის კავშირების (ურთიერთდამოკიდებულებების) დადგენა. ბუნებრივი ფენების მიხედვით გათხრების მეთოდებისგან განსხვავებით, როდესაც თვით გათხრების მიმდინარეობისას, ადგილზევე ხდება წარმოშობილი კითხვებზე პასუხის გაცემა, ამ მეთოდის გამოყენების დროს ეს ხდება გათხრების დასრულების შემდეგ, რელიეფის რეკონსტრუქციის დროს, ამიტომ საველე დოკუმენტაციის დამუშავებას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს

რთულია ზუსტად იქნეს მითითებული არქეოლოგიური მონაპოვარი მასალის წარმომავლობა ფენების მიხედვით. ეს კი, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს დათარიღების საკითხზე. ეს უარყოფითი მხარე მეტნაკლებად მოგვარებადია იმ შემთხვევაში, თუ ძეგლი ჰორიზონტალურად არის განლაგებული. როდესაც არქეოლოგიური ძეგლი ფერდობზე მდებარეობს, ეს პრობლემა უფრო მეტი სიმწვავეით იჩენს თავს.

### **ბუნებრივი ფენების მიხედვით გათხრის მეთოდი**

- დადებითი მხარეები: ცალკეული მონაკვეთების ურთიერთმიმართება თვით გათხრების პროცესშივე თვალსაჩინოა. ადრეული ინტერპრეტაციის შესაძლებლობა, საშუალებას იძლევა სათუო საკითხები თვით ძეგლზევე იქ-

ნეს გარკვეული. ეს კი უეჭველად მხოლოდ აქ არის შესაძლებელი. მნიშვნელოვანი დადებითი მხარეა ის, რომ შესაძლებელია არქეოლოგიური მონაპოვარი მასალის წარმომავლობის ზუსტი განსაზღვრა. ფენების თანმიმდევრობაში გარკვევით და მათდამი არქეოლოგიური მონაპოვარი მასალის ზუსტი მიკუთვნებით არქეოლოგიური გათხრებისას ადგილზევე შესაძლებელი რელატიური ქრონოლოგიის შესახებ წარმოდგენის შექმნა.

- უარყოფითი მხარეები. ამ მეთოდის გამოყენებას მეტი დროსჭირდება. გათხრებისთვის საჭირო დრო რთულად განსასაზღვრია. გათხრებში ჩართულ პერსონალს დიდი გამოცდილება უნდა ჰქონდეს. როგორც წესი ასეთი გამოცდილების მქონე პერსონალი იშვიათია, ეს კი გათხრების ხელმძღვანელისგან მოითხოვს მუდმივ კონტროლს, გაწმენდილი ფართობის გრაფიკული ფიქსაცია უფრო რთულია. ეს მოითხოვს დამატებითი სიმაღლეების აზომვას ნიველირით, ვიდრე ეს ხელოვნური ფენების მიხედვით გათხრების შემთხვევაშია, ხელოვნური მოედნების დოკუმენტირების დროს.

### **მეთოდების გამოყენება**

ორივე ამ მეთოდს არქეოლოგიურ გათხრებში თავისი გამართლება აქვს. გორასამარხები, როგორც წესი, კვადრატულ სისტემაში ხელოვნური ფენების მიხედვით ითხრება. იმ არქეოლოგიურ ძეგლებზე სადაც კულტურული ფენები მოხვნის ან ეროზიის შედეგად არის დაზიანებული, ბუნებრივი ფენების მიხედვით გათხრის მეთოდი ვერ იქნება გამოყენებული. ის არ გამოდგება ასევე ორმოს გათხრის დროს. თუმცა როდესაც ხელოვნური ფენების გათხრის მეთოდით მიმდინარეობს არ-

ხის გათხრა და აქ არქეოლოგი მოადგება ხის ძელებით დაფარულ არხის ფერდს, ის, დროებით, იძულებული გახდება გადავიდეს მეორე მეთოდის გამოყენებაზე. იგივე ხდება, ხოლმე სხვა მნიშვნელოვანი აღმოჩენების გაწმენდის დროსაც, როგორცაა მაგალითად კერა, ჭა და სხვა. ეს კი მიანიშნებს იმაზე, რომ ხელოვნური ფენების მიხედვით გათხრების შემთხვევაში ზოგჯერ დგება იმის საჭიროება, რომ დროებით მოხდეს მეორე მეთოდის გამოყენებაზე გადასვლა. მეორე მხივ, ბუნებრივი ფენების გათხრის მეთოდის მომხრეები ზოგჯერ ამჯობინებენ, რომ მაგალითად ორმო ამოიწმინდოს მთლიანად ისე როგორი ფორმაც მას აქვს და ამით შეიქმნას მის პროფილზე დაკვირვების შესაძლებლობა.

ბუნებრივი ფენების მიხედვით გათხრების პოზიტიური შედეგები ამტკიცებენ, რომ კარგად შემორჩენილი ფენების არსებობის შემთხვევაში ეს ძალიან ეფექტური მეთოდია. მითუმეტეს მაშინ, როდესაც დამატებით არის შესაძლებელი პროფილებიდან კონტროლი.

ის ბევრი უარყოფითი მხარე, რომელიც ამ მეთოდებს ჰქონდათ დროთა განმავლობაში სხვადასხვა საშუალებით იქნა მოგვარებული. მაგალითად ფართობის კარგი, საჭირო დონეზე გაწმენდა ახლა უკვე შესაძლებელია მტვერსასრუტის გამოყენებით. ასევე ნიველირით წერტილების აზომვის რუტინული სამუშაო დღეს ადვილად სრულდება ლაზერული ტექნიკის გამოყენებით.

## დასკვნა

როგორც ბუნებრივი ასევე ხელოვნური ფენების მიხედვით გათხრების მეთოდებს აქვს თავისი სპეციფიკური უარყოფითი და დადებითი მხარეები.

გათხრების ხელმძღვანელის მოვალეობაა აარჩიოს ის მეთოდი, რომელიც შესაბამება არქეოლოგიურ ძეგლზე ფენების დაცულობის მდგომარეობას, გათხრებში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციას და ვადას, რომელიც გათხრებისთვის არის განკუთვნილი. ან შეძლოს ამ მეთოდებს შორის ისეთი ვარიანტი, როგორც ძეგლის შესწავლას წაადგება. კარგად დაცული სტრატეგრაფიული სიტუაციის შემთხვევაში უპირატესობა ბუნებრივი ფენების მიხედვით გათხრას ენიჭება [Friedrich - A. Linke 2011. 1-7].

## Methods of excavation of multi-layered settlements of the Bronze Age

*Tchabashvili Levani,  
Assistant Professor,  
Sokhumi State University*

### Summary

Two methods are used during excavation of multi-layered settlements of the Bronze Age: excavation in arbitrary layers and excavation in natural layers. During excavation in arbitrary layers the archaeologist creates horizontal grounds and excavates by artificially divided units - contexts. During excavation in natural layers, all layers are excavated separately. When using this excavation method, these layers will be separately taken from above to below so that layers are excavated according to their contours.

Both of these methods have their advantages and disadvantages.

Advantages of excavation in arbitrary layers are as follows: the works are performed quickly, they are easily controlled and therefore, are very effective. When using these excavation methods, the staff having no experience in excavating may also be engaged in the works after a small practice.

As the working areas are permanently horizontal, it is easy to document them. In addition, it is easy to calculate the duration of works.

Disadvantages are as follows: on the monuments where sequence of layers is frequent, it becomes complicated to establish the connections (interrelations) between them.

Advantages of excavation in natural layers are as follows: interrelation of separate sections is visible in the course of excavations. Possibility of early interpretation allows clarification of doubtful issues directly on the monument. This can be done only here for sure. A significant advantage is that it is possible to precisely define the origin of the discovered archaeological material.

As for disadvantages, using this method takes more time. It is difficult to define the time necessary for excavations. The staff engaged in excavations must have vast experience. As a rule, staff having such experience is rare and this requires permanent control by the leader of excavations.

### გამოყენებული ლიტერატურა

Friedrich, A. L. (2011). *Grabung nach künstlichen und natürlichen Schichten*. Handbuch der Grabungstechnik. (s. 1-7). Aktualisierung.

Sigl, J. (2012). *Einleitung: (Feld-) Archäologie*. Grabungsleitfaden. Johanna Sigl, Claus Vatterling (Hrsg.). (s. 9-10). Darmstadt/Mainz.

## არქეოლოგიური გათხრები სამშვილდეში 2017 წელს

*ბერიკაშვილი დავითი,  
სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი,  
საქართველოს უნივერსიტეტი*

### შესავალი

2017 წელს საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიცია საველე სამუშაოებს ორ უბანზე - სამშვილდის ციტადელსა და სიონის ტაძრის სიახლოვეს აწარმოებდა [ბერიკაშვილი; გრიგოლია...2017]. არქეოლოგიური გათხრების პარალელურად მიმდინარეობდა პალინოლოგიური [ყვავაძე, 2017], არქეობოტანიკური [მიულერ-ბიენიკი, 2017] და ანთროპოლოგიური კვლევებიც [კუპალი 2017],

რაც ძეგლის კომპლექსური შესწავლისათვის პრინციპულად აუცილებელია. სამუშაოები შეთანხმებული იყო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსთან და განხორციელდა არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობა № 6/09/12/155-ის საფუძველზე.

საველე სამუშაოების დაწყებამდე ზუსტად განისაზღვრა ის მონაკვეთები, რომელთა გათხრებიც გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უნდა განხორციელებულიყო; კერძოდ, №60, №67,



სურ. 1 Pic.

№68 და №69 თხრილები ციტადელში (სურ.1) და სიონის უბნის N8 და O17 თხრილები (სურ.2). მათ შორის, №60,

რიშს და ასევე, გადაეგზავნა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.



სურ. 2 Pic.

№68 და №69 თხრილების კვლევა 2015 წელს დაიწყო, მიმდინარე წელს კი მხოლოდ ერთი ახალი - №67 თხრილი იქნა გახსნილი.

არქეოლოგიური და ინტერდისციპლინარული კვლევების პარალელურად სამშვილდის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ განაგრძო 2013 წელს დაწყებული დაზვერვები სამშვილდის კონცხის მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ, სამხრეთით, ხრამის ხეობაში, სადაც სხვადასხვა ხასიათის ძეგლები, მათ შორის დღემდე შეუსწავლელი სამონასტრო კომპლექსი დააფიქსირა. დაზვერვების შედეგები და ფოტომასალათან დაერთო სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის სამეცნიერო ანგა-

### არქეოლოგიური გათხრები სამშვილდის ციტადელში

**თხრილი №69 (N41°30.386' E 044° 30.126'. EL.800.)**

საკონსერვაციო-დამცავი ფენის აღების შემდეგ თხრილში დაღრმავება დაიწყო იმ კვადრატებში, სადაც ამის საშუალებას 2015 წელს გამოვლენილი ქვის ფენილი იძლეოდა. აღნიშნული ფენილი მე-18 ს-ის 40-იან წლებს განეკუთვნება და უშუალოდ არის მოწყობილი განვითარებული შუა საუკუნეების მასალის შემცველ ფენაზე [ბერიკაშვილი; გაბუნია; 2015]. თხრილში დაღრმავების პარალელურად მოჭიქუ-



ლი, წერნაქით მოხატულ-შედებილი და სადა კერამიკის რაოდენობა მატულობდა, ობსიდიანის ნამტვრებები და ანატკეცები კი, რაც მიწის ზედაპირის სიახლოვეს დიდი რაოდენობით გვხვდებოდა - კლებულობდა. დიდი რაოდენობით მომდინარეობდა ფენიდან ოსტეოლოგიური მასალაც, რაც ე.წ. „ნასუფრალი ძვლებითა“ წარმოდგენილი. ნულოვანი ნიშნულიდან 3.0 მ

რომელიც კიდევ უფრო აღმოსავლეთით მდებარე სათავსოში (?) გადიოდა (სურ. 3).

პარალელურად, თხრილის ცენტრალურ ნაწილში მიმდინარე გათხრებმა ნ/წ-დან 4.87 მ სიღრმეზე დააფიქსირა კრამიტყრილი (კონტექსტი №29), ხოლო მის ქვეშ კი ნაწილობრივ დანგრეული სათავსოს კირით მოლესილი იატაკის ფრაგმენტი. აღსანიშნავია, რომ სათავ-



სურ. 3 Pic.

სიღრმეზე, თხრილის D5 კვადრატში გამოვლინდა ნაყარი, რომელიც მთლიანად ავსებდა კარის ღიობს (სავლეთ დოკუმენტაციით კონტექსტი №27). გათხრების შედეგად დადგინდა, რომ №69 თხრილში გამოვლენი ღიობი,

\* გათხრების სავლეთ დოკუმენტაცია იხახება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში და საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ხელოვნების დეპარტამენტში.

სოს იატაკის პრეპარაციის დროს, მოლესილობის ქვეშ, სამხრეთიდან ჩრდილოეთით მიმართული კერამიკული მილებით მოწყობილი ჰიდროლოგიური სისტემის ნაწილი გამოვლინდა (სურ.4) (კონტექსტი №32). აღნიშნული წყალგაყვანილობის დაკავშირება სათავსოსთან არ ხერხდება, უფრო სავარაუდოა, რომ ეს სისტემა ციტადელის სამხრეთ ნაწილში მდებარე სასახლესთან იყოს დაკავ-

შირებული და მისი წყალმომარაგების სისტემის ნაწილს წარმოადგენდეს. სათავსოსა და წყალმომარაგების სისტემის დოკუმენტაციის შედგენისა და ფიქსაციის შემდეგ თხრილში დაღრმავება აღარ გაგრძელებულა და ძირითადი სამუშაოები გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის კონსერვაციით შეზღუდულია.

სახით გვხვდება, მზა იარაღი ერთეულია, უპირატესად - საჭრისები ან საფხეკები. ლითონის ნივთები რკინის ლურსმნებით წარმოსდგება, რომლებს, როგორც სხვა დანარჩენი არტეფაქტები საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიურ მუზეუმშია გადატანილი. უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელს ციტადელის №69 თხრილში მო-



სურ. 4 Pic.

2017 წლის არქეოლოგიური მონაპოვარი ციტადელის №69 თხრილიდან 232 ერთეული ნივთით წარმოსდგება. აქ უმეტესობას კერამიკული ნაწარმი წარმოადგენს, რომელთა 60 % მოუჭიქავი, 40 % კი მოჭიქული თიხის ნამტვრევებია. მინის არტეფაქტები წარმოდგენილია სადა და გრეხილი სამაჯურის ფრაგმენტებით, თხელკეციანი სასმისებისა და მინის მძივის ნატეხებით. ობსიდიანი ძირითადად ანამტვრევების

პოვებული მასალა თითქმის ანალოგიურია გასულ წელს ამავე თხრილში აღმოჩენილი მასალისა და მისი ქრონოლოგიური დიაპაზონი მთლიანად მე-10-13 საუკუნეებით განისაზღვრება. უფრო ადრეული პერიოდის არტეფაქტები აქ არ აღმოჩენილა.

თხრილი №68 (N 41°30.386' E 044° 30.129'. El.800.)



სურ. 5 Pic.

№68 თხრილში, რომელიც №69 თხრილის დასავლეთით მდებარეობს მიწის ზედაპირიდან 2.20 მ სიღრმეზე დაფიქსირდა სამეურნეო ორმოები (კონტექსტი №15) (სურ. 5) რომლებიც განვითარებული შუა საუკუნეების კერამიკასთან ერთად ნაპრიალვეი შავი ზედაპირის მქონე კერამიკასაც შეიცავდა. მსგავსი შავპრიალა კერამიკა დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის პერიოდის კულტურებისათვის და კარგად თარიღდება ძვ.წ. II-I ათასწლეულებით [ფიცხელაური. 2005]. სამშვილდის ციტადელის №68 თხრილში ამ ტიპის კერამიკის აღმოჩენა ძალზე მნიშვნელოვანია და ადასტურებს იმას, რომ სამშვილდის კონცხზე ციტადელის აგებამდე უფრო ადრეული პერიოდის დასახლება (შესაძლოა სამაროვანიც) უნდა არსებობდა. თუმცა, იმის გამო, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული შავპრიალა კერამიკა სამეურნეო ორმოებიდან მომდინარეობს და არა უძრავი ფენებიდან, ზუსტ სტრატოგრაფიულ სურათზე საუბარი ჯერჯერობით ჭირს. თუმცა, მაინც ცხადია, რომ ადრეული მასალის შემცველი შრეები შუა საუკუნეების მძლავრი ფენებითაა გადაფარული, საიდანაც მომდინარე მასალა 2015 და 2016 წლებში გამოვლენილი მასალის იდენტურია და წარმოსდგება როგორც მოჭიქული, ისე სადა კერამიკით, მინის სამაჯურებისა და სარკმლის მინის ფრაგმენტებით. ასევე, რკინის ძლიერ კოროზირებული ლურსმნებითა და შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ნივთებით.

დღევანდელი მონაცემებით, ციტადელის ამ მონაკვეთში გათხრების გარეშე ძალზე პერსპექტიულად გვესახება; როგორც ჩანს, გარკვეულ ეტაპზე, ნაქალაქარის ამ მონაკვეთში სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ფე-

ნები არსებულა, რომლებიც შუა საუკუნეების აქტიური სამშენებლო სამუშაოების დროს დარღვეულა და ქვედა ჰორიზონტების მასალები მოგვიანო პერიოდის კონტექსტებში მოხვედრილა.

**თხრილი №67 (N 41\*30.386' E 044\* 30.131'. El.800.)**

№67 თხრილი „სამეფო აბანოს“ სამხრეთით მდებარეობს და ესაზღვრება №68 თხრილს, რომელშიც 2015 წელს სამხრეთიდან ჩრდილოეთით მიმართული ქვითვირის კედელი გამოვლინდა. ამავე წელს, კედლის დასავლეთით აღმოჩნდა მოზრდილი ზომის ქვევრი, კირით მოლესილი იატაკის ფრაგმენტი და მოდიფიცირებული ბაზალტის „ბაზები“ [ბერიკაშვილი; გრიგოლია..2015]. გათხრებმა დაადგინა, რომ აღნიშნული კედელი მიეკუთვნება ციტადელში მდებარე საშუალო ზომის სათავსოს, რომლის ინტერიერში კიდევ ორი ქვევრი ყოფილა განთავსებული. კვლევის ამ ეტაპზე მიგვაჩნია, რომ ეს სათავსო გვიანდელ შუასაუკუნეებში, უფრო ადრეულ კედლებზე დაშენების შედეგად გამართული მცირე ზომის მარანი უნდა იყოს (სურ. 6). იმის გამო, რომ მისი კვლევა ჯერჯერობით დასრულებული არ არის, აბსოლუტურ თარიღზე ლაპარაკი ნაადრევად მიგვაჩნია. თუმცა, სტრატოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებითა და არქეოლოგიური მასალის მიხედვით იგი წინასწარ, შესაძლოა მე-16-17 საუკუნეებით დათარიღდეს.



სურ. 6 Pic.

**თხრილი №60 (N 41°30.386' E 044° 30.127'. El.800.)**

№60 თხრილის კვლევები 2015 წელს დაიწყო, როდესაც კორდოვანი ფენის ქვეშ მოზრდილი კედლები და ნანგრევები გამოვლინდა. გათხრებმა დაადგინა, რომ აქ მდებარე სათავსო უფრო ადრეული პერიოდის კედლებზე ყოფილა დაფუძნებული. ასევე გაირკვა ისეც, რომ ეს სათავსო გადახურული ყოფილა ბრტყელი და ღარისებული კრამიტით, რომელიც ნგრევის შედეგად იატაკზე დაცემულა და ქვეშ მოუქცევია განვითარებული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მასალები, მათ შორის მთლიანი, მოზრდილი ზომის მრავალფრად მოჭიქული ჯამიც (სურ. 7). მსგავსი ჯამები კარგად არის

ცნობილი განვითარებული შუა საუკუნეების სხვადასხვა ძეგლებიდან და მათი თარიღი მე-12-13 სს-ით განისაზღვრება. ამ და აქვე აღმოჩენილი სხვა მასალების საფუძველზე, №60 თხრილში გამოვლენილი დანგრეული სათავსო სწორედ, განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება.

უადრესად საინტერესო იყო აქვე, იატაკის დონეზე სხვადასხვა ჯიშის ქვისა და მინერალისაგან შემდგარი „განძის“ აღმოჩენა. „განძში“ შემავალი ქვის ხელსაფქვავის აღმოჩენა კი გვამღევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ ეს მინერალები და ფერადი, კრისტალური სტრუქტურის მქონე ქვები შესაძლოა, სამეთუნეო საქმიანობაში, კერძოდ კი ჭიქურის ან ფერადი საღებავების დასამზადებლად გამოიყენებოდა (სურ. 8).

მიუხედავად ინტენსიური სამუშაო-  
ბისა აღნიშნული სათავოს ბოლომდე  
პრეპარაცია ვერ მოხერხდა, მისი ინტე-  
რიერის გარკვეული ნაწილი კვლავ კრა-

მიტყრილითა და ნანგრევით არის და-  
ფარული. გათხრების დასრულება, ზუს-  
ტი პარამეტრებისა და ფუნქციის განსაზ-  
ღვრა მომავალი კვლევა-ძიების საქმეს  
წარმოადგენს.



სურ. 7 Pic.



სურ. 8 Pic.


**ციტადელში ჩატარებული  
არქეოლოგიური სამუშაოების შეჯამება**

კვლევის ამ ეტაპზე სამშვილდის ციტადელში მე-60, 67-ე, 68-ე და 69-ე თხრილების არქეოლოგიური კვლევების შედეგად შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება.

• ოთხივე თხრილში, კორდოვანი ფენის ქვეშ 20-30 სმ სიღრმეზე მდებარეობს გვიანდელი შუა საუკუნეების კულტურული ფენა, რომელიც ამავე პერიოდის შენობა-ნაგებობათა ნაშთებს შეიცავს. იგი წარმოდგენილია ფლეთილი ქვით მოწყობილი „ქვაფენილითა“ და სხვადასხვა სიმძლავრის კედლებით. ამავე პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს №67 და №68 თხრილებში გამოვლენილი მარანიც.

• გვიანდელი შუა საუკუნეების ფენასა და ნანგრევს ოთხივე თხრილში განვითარებული შუა საუკუნეების მძლავრი ფენა ენაცვლება, რაც თავის მხრივ სამ სამშენებლო ჰორიზონტსა (სათავსოების მოლესილი იატაკის დონეები) და დონეს შეიცავს. ეს ფენა მიწის ზედაპირიდან 80-90 სმ სიღრმეზე იწყება და დღევანდელი მონაცემებით, ყველაზე ღრმა ნიშნულამდე - 2.40 მ-მდე ვრცელდება. 68-ე თხრილში იგი მძლავრი კულტურული ფენით, 69-ე თხრილში ქვითკირის მძლავრი კედლითა და სათავსოთი წარმოსდგება, რომლის ქვეშაც წყალგაყვანილობის სისტემაა მოწყობილი (სურ. 9).

• 68-ე თხრილში გამოვლენილი მომრგვალებულ-მოდიფიცირებული ბაზალტის ლოდები და მათ დონეზე



სურ. 9 Pic.

დაფიქსირებული მძლავრი კირის მოლესილობა, განვითარებულ შუა საუკუნეებში სამშვილდის ციტადელში დიდი ზომის ნაგებობის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. სტრატეგრაფიულად, სწორედ ამ დონის ქვეშაა მოქცეული სამეურნეო ორმოები, საიდანაც ბრინჯაოს ხანის კერამიკის შავპრიალა ნატეხები მომდინარეობს.

• სამეურნეო ორმოებიან მომინარე შავპრიალა კერამიკა, რომელზეც წერტილოვანი ორნამენტით გამოყვანილი სამკუთხედები და გეომეტრიული ფიგურებია გამოყვანილი სამშვილდის კონცხის ტერიტორიაზე შუა საუკუნეებზე ადრეული კულტურის ფენების არსებობაზე მიუთითებდეს (სურ. 10). შავპრიალა კერამიკაში გამოირჩევა რამდენიმე ნატეხი, რომლებიც თითქმის იდენტურია თრიალეთსა და ზურტაკე-

ტის ყორდანებში აღმოჩენილი შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკისა და მათი თარიღი ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრითაა განსაზღვრული [ჯაფარიძე 1991. ტაბ. XXXVI; XXXVIII. სურ.2].

• განვითარებული შუა საუკუნეების მასალაში წამყვანი კერამიკაა, სადაც განირჩევა როგორც სამშენებლო კერამიკული ნაწარმი (კრამიტი, აგური, წყალსადენი მილები), ისე საყოფაცხოვრებლო ჭურჭელი. ეს უკანასკნელი მოჭიქული და სადა ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი, რომელთა შორის დამატარიღებელი მნიშვნელობა აქვს მრავალფრად მოჭიქულ კერამიკასა და თხელკედლიან ჩალისფერ სასმისებს (სურ. 11).

• უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გათხრების მთელ ფართობზე, დაღრმავებასთან ერთად ობსიდიანის ანამტე-



სურ. 10 Pic.





სურ. 11 Pic.

რეგებისა და ანატკეცების რაოდენობა კლებულობს და 2.30-2.50 მ სიღრმეზე თითქმის აღარ გვხვდება. ეს მაშინ როდესაც კორდოვანი ფენის ქვეშ, მიწის ზედაპირის სიახლოვეს მათი რაოდენობრივი მაჩვენებელი თითქმის უტოლდებოდა განვითარებული შუა საუკუნეების კერამიკის რაოდენობრივ მაჩვენებელს. ობსიდიანის ანამტკრევა ანატკეცების რაოდენობის ასეთი კლება დაღრმავებასთან ერთად შემდგომ დაკვირვებასა და ანალიზს მოითხოვს.

### არქეოლოგიური გათხრები სიონის უბანზე

სიონის უბანზე არქეოლოგიური გათხრები N8, N9, O8 და O17 თხრილებს მოიცავდა (სურ. 12). ეს თხრილები სიონის საკათედრო ტაძრის ჩრდი-

ლოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობენ და ციტადელის თხრილებთან შედარებით უფრო ადრეულ მასალებს შეიცავენ.

### თხრილი N8 (N 41.507.08° E 044.505.38° E1.785)

სიონის უბანზე მდებარე თხრილი N8-ის კვლევა ექსპედიციამ 2016 წელს დაიწყო და შემდეგი სტრატეგრაფიული სურათი დაადგინა: კორდოვანი ფენის ქვეშ მდებარეობს განვითარებული შუა საუკუნეების მასალის შემცველი 40-60 სმ სიმძლავრის კულტურული ფენა, რომელიც ფარავს ბაზალტოვან დედაქანზე მოწყობილ ე.წ. „კირის მოედანს“, რაც კირითა და თიხატკეპნილით მომზადებულ დონეს წარმოადგენს. ეს დონე უკავშირდება სამშვილდის საკათედ-

რო ტამარს და ჩენი აზრით, მისი ფუნქციონირების პერიოდს შეესაბამება. განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდის კულტურულ ფენაში ჩაშვებულია გვიანდელი შუა საუკუნეების სამარხები და ასევე, სამეურნეო ორმოები, რომლებშიც სხვადასხვა სახისა და პერიოდის არქეოლოგიური მასალა ფიქსირდება. 2017 წელს არქეოლოგიური კვლევების ერთ-ერთ მიზანს, სწორედ, აღნიშნული სამეურნეო ორმოების შესწავლა წარმოადგენდა.

N8 თხრილის E3 და E5 კვადრატებში გამოვლენილ ორმოებში (სურ. 13), 2016 წლის გათხრებმა დარკძალულ ადამიანთა ნაშთები დაადასტურა, ხოლო 2017 წელს კი, ამავე ორმოებში დაღრმავება კლდოვან დედაქანამდე მოხერხდა. შედეგად გამოვლინდა არქეოლოგიური მასალა, რომელიც შეესაბამება

სამშვილდის ისტორიის როგორც შუა საუკუნეების პერიოდს, ასევე ბრინჯაოს კულტურის სხვადასხვა ეტაპებსა და ნეოლითის ფინალურ ფაზას.

უმველესი პერიოდის მასალა ობსიდიანის, კაჟისა და არდელიტის ნაშბადი იარაღებით - საფხეკებით, საჭრისებით, სახოკებით, ნამგლის დაკბილული ჩასართებითა და ისრისპირებით წარმოსდგება. მათი თარიღი, როგორც უკვე აღინიშნა, ნეოლითის ფინალური სტადიითაა განსაზღვრული (იხილეთ ქვემოთ: გრიგოლია; ბერიკაშვილი. „ნეოლითური ქვის ინდუსტრია სამშვილდედან“).

ამავე თხრილიდან მომდინარე ბრინჯაოს ხანის შუა და გვიანი ეტაპის მასალები, ძირითადად, კერამიკითაა წარმოდგენილი და ხასიათდება შავპირილა ზედაპირით, მონაცრისფრო სარჩულითა და წერტილოვანი ორნამენტით



სურ. 12 Pic.

გამოყვანილი გეომეტრიული ფიგურებით. ჭარბობს სამკუთხედები, ტეხილი ხაზები, წერტილებით შევსებული სივრცეები. ასევე, ხშირია წნევით გამოყვანილი ნაპრიალევი ხაზები, რომლებიც ჭურჭლებს მთელს სიგრძეზე დაუყვება. 2015-2016 წლებთან შედარებით 2017 წელს ამ ტიპის მასალა გაცილებით დიდი რაოდენობითა და მრავალფეროვნებით ხასიათდება. აშკარაა, რომ სამშვილდის კონცხზე, შუა საუკუნეების ქალაქის გაჩენამდე ბრინჯაოს ხანის მძლავრი დასახლება და შესაძლოა სამაროვანიც არსებობდა.

N8 თხრილში 2017 წელს აღმოჩენილი შუა საუკუნეების მასალები ასევე ძალზედ მრავალფეროვანია და ფაქტიურად იდენტურია გასულ წლებში აქ და ზოგადად, ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამავე პერიოდის

მასალებისა. მათი თარიღი ზოგადად, მე-10-13 სს-ით განისაზღვრება (სურ. 14). უფრო გვიანდელი მასალები სიონის უბანზე, ტაძრის მიმდებარედ შესწავლილ თხრილებში არ აღმოჩენილა.

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვრად N8 თხრილში აღმოჩენილი, სავარაუდოდ, მე-5-6 საუკუნეების სასანური პერიოდის ბიტუმის ბულა წარმოადგენს, რომლის მოხვედრასაც სამშვილდეში, აღნიშნული პერიოდის ქვემო ქართლსა და ირანს შორის მჭიდრო ურთიერთობებით ვხსნით. სამშვილდის ბულას ანალოგები საქართველოში არ გააჩნია. მისი მსგავსი პარალელები, დაცულია ირანის ეროვნულ მუზეუმში, თუმცა, იქაც იშვიათობას წარმოადგენს. ნივთი ამჟამად შესწავლის პროცესშია და უახლოეს ხანებში მას ცალკე სტატია მიეძღვნება (სურ. 15).



სურ. 13 Pic.



სურ. 14 Pic.



სურ. 15 Pic.

**თხრილი O8 (N 41.507.08° E 044.506.38° EL.785)**

O8 თხრილის შესწავლა განპირობებული იყო იმით, რომ მის ჩრდილოეთით, 2016 წელს სამეურნეო ორმოებში სამარხები და რეტუშირებულ-დაკბილული ქვის იარაღები იქნა აღმოჩენილი. გათხრების შედეგად თხრილის შესწავლილ ფართობზე სხვადასხვა სიღრმისა და მოცულობის კიდევ 6 სამეურნეო ორმო გამოვლინდა, რომელთა ძირი ბაზალტოვან დედაქანამდე იყო დასული. დაკვირვების შედეგად ცხადი გახდა, რომ აღნიშნული ორმოების სიღრმე და მოცულობა განსაზღვრული იყო ბაზალტოვანი რელიეფით, კეროდ, თუ ამის საშუალებას დედაქანი იძლეოდა ორმოს სიღრმე 2 მეტრსაც კი

აღწევდა, ხოლო თუ დედაქანში ორმოს დაღრმავება ვერ ხერხდებოდა მისი სიღრმე 0.5 მ-საც კი არ აღემატებოდა. ყველა ორმოდან მომდინარე მასალა თითქმის იდენტურია და წარმოდგენილია ე.წ. „ნასუფრალი ძვლებით“, სადაც ჭარბობს მსხვილფეხა საქონლის ძვლები და ასევე, სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური მასალა. მათ შორის კარგად ნაპრიალვეი შავზედაპირიანი კერამიკა, რომელთაც ახასიათებს წერტილოვანი ორნამენტით შევსებული სარტყლები და წნევით გამოყვანილი ნაპრიალვეი ზოლები. ამავე სამეურნეო ორმოებიდან დიდი რაოდენობით მომდინარეობს ობსიდიანის სხვადასხვა ზომის ანატკეც-ანამტვრევები და ნამზადი იარაღი, რომელიც მსგავსია გასულ წლებში ამავე უბანზე აღმოჩენილი ამ ტიპის მასალებისა.



სურ. 16 Pic.

აღსანიშნავია, რომ O8 თხრილის C5 კვადრატში გამოვლინდა სამარხი (სამარხი №1) რომელიც როგორც ჩანს მეცნიერელოგანი ბავშვის სამარხს წარმოადგენს. აღნიშნული სამარხის ბოლომდე შესწავლა ვერ მოხერხდა, ვინაიდან მისი ჩონჩხის ძირითადი ნაწილი მიწის გასათხრელ მონაკვეთში ვრცელდება.

სამარხი №1 - ის დასავლეთით, თხრილის B3 კვადრატში, კიდევ ერთი №2 სამარხი აღმოჩნდა, რომელშიც თითქმის მთლიანად დაცული მიცვალებულის ჩონჩხი იქნა პრეპარირებული. მიცვალებული დაკრძალული ყოფილა ზურგზე, გაშოტილ პოზაში, თავით დასავლეთით, უინვენტაროდ (სურ. 16).

სტრატეგრაფიული თვალსაზრისით ორივე სამარხი ჩაშვებულია განვითარებული შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალის შემცველ ფენაში. კვლე-

ვის ამ ეტაპზე რთულია მათი გამართვის ზუსტი პერიოდის განსაზღვრა, თუმცა, წინასწარ, მათი დაკავშირება 2016 წელს სიონის უბანზე გამოვლენილ შუა საუკუნეების სამაროვანთან დასაშვებად მიგვაჩნია.

**თხრილი O17 (N 41.507.08° E 044.604.38° E1.785)**

O17 თხრილის კვლევის დროს შუა საუკუნეების კიდევ რამდენიმე სამარხი იქნა გამოვლენილი. მათ შორის მნიშვნელოვანია რიგით №7 სამარხი, რომელიც 12-15 წლის ინდივიდს განეკუთვნება და რომლის ძვლოვანი ნაშთებიც კარგად არის შემონახული (სურ. 17). O8 თხრილის სამარხი №1-ის მსგავსად, №7 სამარხიც მიწის გასათხრელ მონაკვეთში ვრცელდება და მისი კვლევის დას-



სურ. 17 Pic.

რულებაც მომავალ წელს არის დაგეგმილი.

საერთო ჯამში, O17 თხრილის ფართობზე 7 სამარხის აღმოჩენა იმაზე მიუთითებს, რომ სამაროვანის კვლევას სიონის უბანზე სწორედ ამ მიმართულებით აქვს პერსპექტივა.

თრხილიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა მთლიანად შეესაბამება საერთო კოტექსტს. ზედა ჰორიზონტში წამყვანი განვითარებული შუა საუკუნეების კერამიკა, მინა, ლითონისა და ქვის ნივთებია, მაშინ როდესაც ქვედა დონეზე, ბაზალტოვან დედაქანთან სიახლოვესა და უშუალოდ, მის ნაპრალებში შავპრიალა კერამიკა და ობსიდიანის ანამტვრევ-ანატკეცები და მზა იარაღი ჭარბობს.

მომავალ წელს იგეგმება O17 თხრილის სიახლოვეს სადაზვერვო შურფების გაჭრა, რაც ნაქალაქარის ამ უბნის შესახებ წარმოდგენას კიდევ უფრო სრულყოფილს გახდის.

### **სიონის უბანზე ჩატარებული გათხრითი სამუშაოების შეჯამება**

• N8, O8 და O17 თხრილების კვლევამ კიდევ უფრო გაამყარა მოსაზრება სამშვილდის სიონის ტაძრის ჩრდილოეთით ტაძრის ფუნქციონირების პერიოდში საგანგებო, კირითა და თიხით მომზადებული „მოედნის“ არსებობის შესახებ. კვლავაც მიგვაჩნია, რომ აღნიშნული „მოედანი“ ერთი მხრივ ბაზალტოვანი დედაქანის უსწორმასწორო ზედაპირს ათანაბრებდა, მეორე მხრივ კი აწესრიგებდა ტაძრის მიმდებარე ტერიტორიას.

• სიონის საკათედრო ტაძრის ჩრდილოეთით ინტენსიური ცხოვრების კვალი დასტურდება. ეს ასახულია აქ გამოვლენილ სამეურნეო ორმოებში და მძლავრ კულტურულ ფენაში. სამეურ-

ნეო ორმოებიდან და კულტურული ფენიდან მომდინარე მასალა გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ნაქალაქარის ამ უბანზე სამი განსხვავებული ისტორიული პერიოდის - ქვის ხანის, ბრინჯაოს ეპოქისა და შუა საუკუნეების სხვადასხვა ფაზის უძრავი ფენების აღმოჩენაა მოსალოდნელი.

• სიონის უბანზე, ტაძრის ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით შესწავლილი თხრილებიდან მომდინარე სამარხები სტრატეგრაფიულად გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება და შესაძლებელია, სამშვილდეში ერთ-ერთი შემოსევის დროს (ჯაჰან-შაჰის შემოსევა 1440 წ.) დახოცილი სამშვილდელი მოქალაქეების სამარხებს წარმოადგენდეს. კვლევის ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ გვიანდელი შუა საუკუნეების სამშვილდის სამაროვანი სიონის საკათედრო ტაძრის ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიას მოიცავს და კვლევები სწორედ ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს, რათა დადგინდეს სამაროვანის გავრცელების საზღვრები და ამავე დროს, გამოვლინდეს მის ქვეშ განლაგებული კიდევ უფრო ადრეული პერიოდის ისტორიული ობიექტები.

### **ხრამის ხეობის არქეოლოგიური დაზვერვის შედეგები**

სტაციონარული არქეოლოგიური გათხრების პარალელურად სამშვილდის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაზვერვები განახორციელა ხრამის ხეობაშიც რის შედეგადაც ლოკალიზებულ იქნა სხვადასხვა პერიოდისა და ხასიათის ძეგლები (სურ. 18).

არქეოლოგიური დაზვერვითი ტური დაიწყო სამშვილდის ისტორიული ნაქალაქარის შესასვლელიდან, იმ ადგილზე, სადაც გზა ორად იყოფა: ერთი

მიემართება უშუალოდ სამშვილდის სიონისკენ - აღმოსავლეთით, ხოლო მეორე პირღებულის მონასტრისკენ - დასავლეთით. გზაგასაყარიდან პირღებულის მონასტრის გადასახვევამდე მიმავალი გზა 7-8 კმ-ია, უმეტესად კლდიანი და რთული რელიეფის. პირღებულის მონასტრიდან კი იწყება მკვეთრი დაღმართი რომელიც ჩადის ხრამის ხეობაში, მდ. ხრამისა და მდ. კორხრამი შესართავთან. სწორედ აქ მდებარეობს ისტორიული ხიდის ნაშთი, რომელიც წარსულში ერთმანეთს აკავშირებდა სამშვილდესა და ფარავნახალქალაქს და რომელიც ცნობილი „აბრეშუმის გზის“ ჩრდილოეთ განშ-

შვილდის შიდა ციხეს. კონსტრუქციული თვალსაზრისით კი მდინარის ორსავე ნაპირზე განლაგებულ ბურჯებზე გადადებული თალი უნდა ყოფილიყო, ადვილი მოსალოდნელია წყალში საყრდენების გარეშე. ბურჯებს შორის მანძილი 20-25 მ-ია, სიგანე კი 3 მ. აღნიშნული ხიდი 1968 წელს მოინახულა აკადემიკოსმა ლ. ჭილაშვილმა და ცნობები მის შესახებ გამოაქვეყნა მონოგრაფიაში - „ქალაქები ფეოდალურ საქართველოში“. ჩვენ მიერ მოხდა ნახიდურის ზუსტი გეოგრაფიული კოორდინატების (GPS) განსაზღვრა, შემორჩენილი ბურჯების ფოტოგადაღება და მიმდებარე ტერიტორიის დათვალიე-



სურ. 18 Pic.

ტოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გადასასვლელს წარმოადგენდა. ისტორიული ხიდი დღეს დანგრეულია და მხოლოდ ნახიდურის სახით არის შემორჩენილი. შენების ტექნიკით და ქვების წყობით იგი ძლიერ უახლოვდება სამ-

რება. დადგინდა, რომ ამ ხიდიდან მდ. ხრამის მარცხენა ნაპირის გასწვრივ იწყება ბილიკი, რომელიც სამშვილდის კონცხის წვერისკენ მიემართება. აღნიშნული პუნქტიდან მარშრუტი განვაგრძეთ მდ. ხრამის მარცხენა ნა-



პირზე, აღმოსავლეთის მიმართულებით, სადაც 2.5 კმ მოშორებით მოზრდილი ნასოფლარი დავაფიქსირეთ. აქ, დღესაც კი, აშკარად შეიმჩნევა მშრალი წყობითა და ქვითკირით ნაგები სათავსოების ნაშთები (სურ. 19). ნასოფლარი მდინარის დონიდან 20-30 მ სიმაღლეზე არსებულ ტერასას მოიცავს და განსხვავებული ფართობის მქონე შე-

ძეგლია, რომელიც შესაბამის კვლევასა და შესწავლას საჭიროებს. თავისთავად ცხადია, რომ მდ. ხრამის ნაპირის გასწვრივ ასეთი ტიპის დასახლება შემთხვევითი არ უნდა იყოს და მისი სახით გაცხოველებულ სავაჭრო-ეკონომიკურ თუ კულტურულ ურთიერთობებში ჩართულ დასახლებულ პუნქტთან უნდა გვექონდეს საქმე.



სურ. 19 Pic.

მოზღუდული სივრცეებით ხასიათდება. ზედაპირულმა დაკვირვებამ აქსხვადასხვა სიმძლავრის კედლები და სათავსო-ნაგებობები დაადასტურა, რომელთა ინტერიერშიც ჩამსხვრეული კრამიტების ფრაგმენტები მოჩანს. ისტორიული ცნობები ამ პუნქტის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დაცული არ არის და ფაქტიურად, შეიძლება ითქვას, რომ იგი აბსოლუტურად უცნობი

ნასოფლარის აღმოსავლეთით, მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე, მდინარის დონიდან 8-10 მ სიმაღლეზე იხილება მღვიმური კომპლექსი, რომელიც აბსოლუტურად შეუსწავლელია (სურ. 20). ჩვენ მიერ მოხდა ამ მღვიმეების ფოტოფიქსაცია და ადგილდებარეობის ზუსტი გეოგრაფიული კოორდინატების განსაზღვრა. იმის გათვალისწინებით, რომ ხრამის ხეობაში მდებარე



სურ. 20 Pic.

მღვიმეები ძალზე დიდი რაოდენობით სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიურ მასალას შეიცავს (როგორც ისტორიული, ისე პრეისტორიული პერიოდის) ცხადია, აუცილებელია აღნიშნული მღვიმეების ინტერიერში სადაზვერვო შურფების გაკეთება და აუცილებლობის შემთხვევაში მათი სტაციონარული შესწავლა. მსგავსი ტიპის მღვიმეებში, რომლებიც ასევე ხრამის კანიონში მდებარეობს, 2015-2016 წლებში საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ქვის ხანის ფინალური ეტაპის, ბრინჯაოს ხანის სხვადასხვა პერიოდისა და შუა საუკუნეების სხვადასხვა ფაზის არქეოლოგიური მასალა გამოავლინა.

ჩვენ მიერ განხორციელებული დაზვერვების უმნიშვნელოვანესი შედეგი მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე, მდინა-

რის დონიდან 40-50 მ სიმაღლეზე მდებარე ტერასაზე განლაგებული მოზრდილი ზომის სამონასტრო კომპლექსის დადასტურებაა.

სადღეისოდ, ამ მონასტრის შესახებ სამეცნიერო ინფორმაცია ფაქტიურად არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით ვახუშტი ბატონიშვილთან დაცული შემდეგი სახის ტექსტს, სადაც იგი სამშვილდესა და მის მიმდებარე ხეობას აღწერს:

„... ციხე ორბეთი, აწ წოდებული სამშვილდე. აღაშენა ქართლოს, და პირველმან მეფემან ფარნაოზ ჰყო საერისთოდ და ქალაქი. არამედ იყო ჰგ მეფის სჯონისამდე ქალაქი. არს ფრიად მაგარი, სამკრით უდის ქცია, ჩდილოთ უდის ჭივჭივა; საშორისსა ზედა არს გარდავლებული კრამით კრამამდე ზღუდე განიერი და მაღალი...“

... ამის ძირს, ქციის პირს, არს მო-

ნასტერი მცირე, აწ ხუცის სამარ. ხოლო ქვის კრამი აქ არს სიმაღლით ს მჯარი და მეტიცა, და განით ფე მჯარი, და ჭიჭივის კრამი ს მჯარი...“

როგორც ტექსტიდან ჩანს ვახუშტისათვისაც კი უცნობი იყო თუ რომელი წმინდანის სახელობის ტაძარი მდებარეობდა მონასტერში, ან როდის, და ვის მიერ იყო იგი აშენებული. არც აკადემიკოს ლ. ჭილაშვილს აქვს უფრო ვრცელი ცნობები აღნიშნული მონასტრის შესახებ, როდესაც ზემოთ დასახელებულ მონოგრაფიაში იგი ამ ადგილს მხოლოდ ჯვრის სიმბოლოთი აღნიშნავს.

შესაბამისად, ჩვენ შევეცადეთ მაქსიმალური ინფორმაციის მოგროვება, მონასტერში შემავალი სხვადასხვა ნაგებობების ფოტოფიქსაცია, გეოგრაფიული კოორდინატების დაზუსტება და გადაუდებელი არქეოლოგიური სამუ-

შაოებისა და უბნების განსაზღვრა. მონასტერი ორი დარბაზული ტიპის ეკლესიას აერთიანებს, პირობითად მთავარ ტაძარსა და მცირე ეკლესიას. მთავარი ტაძრის ზომებია 9x5 მ (ზუსტი ზომების განსაზღვრა ნაყარი მიწის ფენისაგან გაწმენდამდე ვერ ხერხდება), იგი ნაგებია ბაზალტის ფლეთილი ქვითა და გათლილი ქვიშაქვის კვადრებით (სურ. 21). დასავლეთისა და აღმოსავლეთის სარკმლები მოჩუქურთმებული ყოფილა, ჩუქურთმიანი ქვები და სხვადასხვა არქიტექტურული დეტალები ტაძრის ირგვლივ ფოთლებით დაფარულ შრეშიც დავაფიქსირეთ. ინტერიერში მოზრილი და საშუალო ზომის ქვებია, რომლებიც ფარავს იატაკის დონეს, თუმცა, მაინც ცხადია, რომ ტაძრის იატაკი ექსტერიერის დონესთან შედარებით 80 სმ-ით დაბლაა. მთლიანად



სურ. 21 Pic.

გასაწმენდია ეკლესიის ჩრდილოეთის მხარე, სადაც ნანგრევისა და ნაშალი ფენის სიმძლავრე 3 მ-ს აღწევს და თითქმის ეკლესიის კარნიზს უტოლდება. ჩვენს მიერ მოხდა ტაძრის სამხრეთ, დასავლეთ და აღმოსავლეთ ფასადების ჩახატვა და არქეოლოგიურად გასაწმენდი მონაკვეთების განსაზღვრა.

ფრაგმენტები, მოჩანს ლოფრინის ქვებიც. ვიდრე არ მოხდება მცირე ტაძრის მთლიანი არქეოლოგიური შესწავლა მისი ზომების დაზუსტება და პარამეტრების განსაზღვრა შეუძლებელია.

ეკლესიების გარდა კომპლექსი აერთიანებს სამ საერო ნაგებობას, რომელთაგან ერთი მთავარი ტაძრის აღმოსავ-



სურ. 22 Pic.

მცირე ტაძარი (სურ. 22) რომელიც კომპლექსის მთავარი ეკლესიის დასავლეთით მდებარეობს ნაგებია ბაზალტის გათლილი კვადრებით. მისი კარის ღიობის სამხრეთით მდებარეობს და თალური მოყვანილობისაა. ტაძარი დასავლეთის, აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან მთლიანად მოქცეულია სხვადასხვა სიმძლავრის ნანგრევი-ნაყარი ფენის ქვეშ და გაწმენდას საჭიროებს. ტაძრის გადახურვა შენარჩუნებულია, აქა-იქ ჩართულია კრამიტის

ლეთით, მეორე სამხრეთით, მესამე კი დასავლეთით მდებარეობს. სამივე ნაგებობა ნაშენია დამუშავებული ბაზალტის ქვითა და ქვითკირის ხსნარით. ორი მათგანის სასახლე-ნაგებობის, ერთი კი კოშკის (?) შთაბეჭდილებას ტოვებს (სურ. 23). ვიდრე არ მოხდება მათი სრული არქეოლოგიური შესწავლა, რთულია რამე დაზუსტებით ითქვას მათი რაობისათუ დანიშნულების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ნაგებობები დაფარული და ჩახერგილია ქვის ნა-

ყართა და ნანგრევებით კედლების წყობაში მაინც მოჩანს სარკმლებისა და ფანჯრების ღიობები, ბუხრის თახი და სხვადასხვა ზომის ნიშა-თაროები.

მთლიანად კომპლექსი შემოსაზღვრულია ქვის მშრალი წყობით ნაგები კედლით, რომელიც განსაკუთრებით კარგად იკითხება აღმოსავლეთ მხარეს. რჩება შთაბეჭდილება, რომ მონასტერს გალავანი შემოსაზღვრავდა და მასში შესასვლელი დასავლეთის მხრიდან

(საითაც მდებარეობს მოხსენიებული ნამოსახლარი) უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ჯგუფს კომპლექსის ტერიტორიაზე სადაზვერვო შურფები არ გაუკეთებია, ზედაპირულად მაინც დიდი რაოდენობით კერამიკის ფრაგმენტები აიკრიფა (კრამიტები, მოზრდილი და საშუალო ზომის საყოფაცხოვრებო კერამიკა), რაც აქ მძლავრი სამოღვაწეო კერის არსებობას ადასტურებს.



სურ. 23 Pic.

### გამოყენებული ლიტერატურა

ბერიკაშვილი, დ., გრიგოლია, გ., ყვავაძე, ე., მიულერი, ა., კუპალი, ი. (2017). *სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის 2017 წლის სამეცნიერო ანგარიში*. ხელნაწერი. თბილისი. საქართველოს უნივერსიტეტი.

ყვავაძე, ე. (2017). *საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2017 წლის ივლისში მოპოვებული მასალის პალინოლოგიური კვლევის შედეგები*. ხელნაწერი. თბილისი. საქართველოს უნივერსიტეტი.

ფიცხელაური, კ. (2005). *ცენტრალურამიერკავკასიური არქეოლოგიური კულ-ტურა ძვ.წ. XIV-XIII სს-ში*. თბილისი.

ჯაფარიძე, ო. (1991). *საქართველოს არქეოლოგია*. თბილისი.

Mueller-Bieniek, A. (2017). *The preliminary results of Archaeo-Botanical Studies from Samshvilde settlement in 2017*. The scientific results of Samshvilde Archaeological Expedition of the University of Georgia. Tbilisi. The University of Georgia.

Coupal, I. (2017). *Interim Anthropological report Samshvilde Archaeological Expedition in 2017*. The scientific results of Samshvilde Archaeological Expedition of the University of Georgia. Tbilisi. The University of Georgia.

### სურათების აღწერილობა

სურ. 1. სამშვილდის ციტადელი. №60, 67, 68 და 69 თხრილები. აეროფოტოსურათი.

სურ. 2. სიონის უბანი. N8 და O17 თხრილები. აეროფოტოსურათი.

სურ. 3. სამშვილდის ციტადელი. №69 თხრილში გამოვლენი კარის ღიობი.

სურ. 4. სამშვილდის ციტადელი. №69 თხრილი. კერამიკული მიღებით მოწყობილი ჰიდროლოგიური სისტემის ნაწილი.

სურ. 5. სამშვილდის ციტადელი. №68 თხრილი. შუა საუკუნეების კედლების ქვეშ გამოვლენილი ორმოები.

სურ. 6. სამშვილდის ციტადელი. №67 თხრილი. გვინდელი შუა საუკუნეების სათავსო, ინტერიერში დაფიქსირებული ქვევრის ნაშთებით.

სურ. 7. სამშვილდის ციტადელი. №60 თხრილი. სათავსოს ნანგრევების ქვეშ აღმოჩენილი მოჭიქული ჯამი.

სურ. 8. სამშვილდის ციტადელი. №60 თხრილი. სათავსოს ნანგრევების ქვეშ აღმოჩენილი სხვადასხვა ჯიშის ქვებისა და მინერალების „განძი“.

სურ. 9. სამშვილდის ციტადელი. ჰიდროლოგიური სისტემის ნაწილი №69 თხრილში.

სურ. 10. თრიალეთის კულტურის კერამიკისათვის დამახასიათებელი წერტილოვანი ორნამენტით შემკული შავპირილა ნატეხი. სამშვილდის ციტადელი. №68 თხრილი.

სურ. 11. სამშვილდის ციტადელში შესწავლილი არქეოლოგიური თხრილებიდან მომდინარე მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები.

სურ. 12. სიონის უბანი. N8 და O8 თხრილები. აეროფოტოსურათი.

სურ. 13. სიონის უბანი. N8 თხრილში გამოვლენილი ბაზალტოვანი დედაქანი და სამეურნეო ორმოები.

სურ.14. განვითარებული შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკა სიონის უბნიდან.

სურ.15. სასანური პერიოდის ბიტუმის ბულლა სიონის უბნიდან.

სურ. 16.სამარხი №2სიონის უბნიდან. თხრილი N8.

სურ. 17.სამარხი №7სიონის უბნიდან. თხრილი O17.

სურ. 18. დაზვერვების მარშრუტი ხრამის ხეობაში.

სურ. 19. მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე დაზვერვების დროს მიკვლეული ქვითკირის ნაგებობის ნაშთი.

სურ. 20. მღვიმური კომპლექსი მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე.

სურ. 21. ხრამის ხეობაში მდებარე სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძარი.

სურ. 22. ხრამის ხეობაში მდებარე სამონასტრო კომპლექსის მცირე ტაძარი.

სურ. 23. სამონასტრო კომპლექსის შემავალი ნაგებობა (კოშკი ?).

## Archaeological excavations in Samshvilde in 2017

*Berikashvili David,*

*The Head of Samshvilde Archaeological Expedition,  
The University of Georgia*

### Summery

In 2017 Samshvilde Archaeological Expedition of the University of Georgia renewed the field archaeological works on two sections of the city-site – Samshvilde citadel and near Sioni cathedral [Berikashvili; Grigolia..., 2017]. In parallel to the expeditions, palynological [Kvavadze, 2017], archaeobotanical [Mueller-Bieniek 2017] and anthropological surveys [Coupal, 2017] were conducted.

Prior to commencement of the field works, the sections which had to be excavated within the timeframes defined by the plan were precisely identified, in particular: trenches №60, №67, №68 and №69 in the citadel and trenches N8 and O17 of Sioni sections. The outcomes obtained at this stage of the research and the conclusions made on the basis of the archaeological material are presented in this article.

### Preliminary outcomes of archaeological works conducted in the citadel in 2017

It is possible to make the following conclusions as a result of archaeological surveys in Samshvilde citadel at this stage or research.

In trenches No. 60, 67, 68 and 69, the cultural layer of the late medieval period containing remnants of buildings and structures of the same period is located at the depth of 20-30 cm under the grass layer. It is presented by “pavement” arranged

with ashlar and walls of various thickness. The wine-cellar discovered in trenches No. 67 and 68 must also belong to the same period.

• The layer and the ruins of the late medieval period are replaced by a thick layer of the developed medieval period in all four trenches. This layer contains three construction horizons (plastered floor levels of the rooms) and levels. This layer starts at the depth of 80-90 cm from the ground surface and according to the present data, spreads to the deepest level -2.40 m. In the trench No. 68 it is presented by a strong cultural layer, while in the trench No. 69 – by stone mortar thick wall and the room under which the water system is arranged.

• The rounded-modified basalt boulders discovered in the trench No. 68 and the thick mortar plastering observed at their level must be indicative of existence of a large structure in Samshvilde citadel in the developed medieval period. Stratigraphically, middens where black glossy ceramic fragments of the Bronze period were discovered are placed under this level.

• The black glossy ceramics discovered in middens on which triangles and geometric figures are drawn by pounced ornament must be indicative of existence of cultural layers earlier than the medieval period on the territory of Samshvilde Cape. Several fragments are distinguished in the black glossy ceramics which are almost identical to the Middle Bronze era ceramics discovered in Trialeti and Zurtaketi barrows and



date back to the first half of the II millennium BC. [Japaridze, 1991].

- Ceramics is the leading material in the material of the developed medieval period. It includes both ceramic products (tiles, brick, water pipes) and tableware. The latter is presented by glazed and simple fragments among which the ceramics glazed in various colors and straw-colored thin-walled drinking vessels are important for identification of the period.

- It should also be mentioned that on the whole area of excavations, the number of obsidian fragments and flakes is reduced at the depth and is almost not found at the depth of 2.30-2.50 m. At the same time, their quantity under the grass layer, near the ground surface was almost equal to the quantity of ceramics of the developed medieval period. Such reduction of obsidian fragments and flakes at the depth requires further observation and analysis.

### **Summary of excavation works conducted on Sioni section in 2017**

- Survey of trenches N8, O8 and O17 has strengthened the opinion about existence of a special “ground” made of mortar and clay to the north of Samshvilde Sioni cathedral during the period of its functioning. We still consider that the above “ground” levelled the uneven surface of the basalt rock on the one hand and organized the adjacent area of the temple on the other hand.

- The trace of intensive life to the north of Samshvilde Sioni cathedral is confirmed. It is reflected in the middens and the thick cultural layer discovered here. The material obtained from middens and the cultural layer allows us to assume that discovery of immovable layers of various phases of three different historical periods - Stone

Age, Bronze epoch and medieval period is expected on this section of the city-site.

- The burial grounds discovered in trenches studied to the north and the north-east of the cathedral on Sioni section stratigraphically belong to the late medieval period and may represent the burial grounds of Samshvilde citizens punished during one of invasions to Samshvilde (invasion of Jahan Shah in 1440). At this stage of the research it may be said that Samshvilde burial mound of the late medieval period covers the territory to the north and north-east of Sioni Cathedral and surveys must continue in this direction to identify the burial mound dissemination borders and at the same time, discover historical objects of earlier period located under it.

### List of Illustrations

Pic. 1. Samshvilde Citadel. Trenches №№60, 67, 68, 69.

Pic. 2. Sioni Section. Trenches N8 and O17.

Pic. 3. Samshvilde Citadel. Trench №69. The portal to the palace (?).

Pic. 4. Samshvilde Citadel. Trench №69. The fragment of hydrological system of the palace.

Pic. 5. Samshvilde Citadel. Trench №68. The pits under the medieval walls.

Pic. 6. Samshvilde Citadel. Trench №67. The wine cellar of the late medieval period and the fragments of „kvevri“.

Pic. 7. Samshvilde Citadel. Trench №60. The glazed bowl of the 12-13 cc. A.D.

Pic. 8. Samshvilde Citadel. Trench №60. The minerals and various pebbles from the floor level.

Pic. 9. Samshvilde Citadel. The fragments of the hydrological system in the trench №9.

Pic. 10. The fragment of Middle Bronze Period (Trialeti Culture) from the trench №68. Samshvilde Citadel.

Pic. 11. The fragments of glazed pottery. Samshvilde Citadel.

Pic. 12. Sioni section. Trenches N8 and O8.

Pic. 13. Sionis section. The basalt bedrock and the pits in the trench N8.

Pic. 14. The pottery of the High Medieval Period from Sioni section.

Pic. 15. The Sasanian Bulla from Sioni section.

Pic. 16. The grave №2. Trench N8, Sioni section.

Pic. 17. The grave №7. Trench O17, Sioni section.

Pic. 18. The direction of the archaeological surveys in Khrami ravine.

Pic. 19. The ruins of the building at the left side of the riv. Khrami.

Pic. 20. The cave complex at the right side of riv. Khrami.

Pic. 21. The main church in the monastic complex of Krami Ravine.

Pic. 22. The small church in the monastic complex of Krami Ravine.

Pic. 23. The unknown building of the monastic complex in Khrami Ravine.

## ნოქალაქევის ტოპოგრაფია ძვ.წ. I ათასწლეულში

*მურლულია ნიკოლოზი,  
ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი,  
საქართველოს ეროვნული მუზეუმი*

### შესავალი

სოფ. ნოქალაქევი მდებარეობს სენაკის მუნიციპალიტეტში, მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე, ქ. სენაკიდან 16 კმ-ზე. ნოქალაქევის (იგივე ციხეგოჯი, არქეოპოლისი) ნაქალაქარი საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპლექსური ძეგლია. 3 კმ-ის სიგრძის გალავნით გარშემორტყმული ნაქალაქარის ტერიტორია 15 ჰა-მდე ფართობს მოიცავს (სურ. 1).

ტეხურის აუზი, სადაც ნოქალაქევი მდებარეობს, იკავებს კოლხეთის დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთსა და ეგრისის ქედს. რეგიონი ყოველთვის განსაკუთრებული სტრატეგიულობით გამოირჩეოდა, რის გამოც ნაქალაქარის ტერიტორიაზე ცხოვრება უწყვეტად თითქმის თხუთმეტი საუკუნე გაგრძელდა. რეგიონი, ისევე როგორც ტეხურის აუზის ყველა სხვა დანარჩენი პუნქტი, სადაც სხვადასხვა დროის არქეოლოგიური ძეგლებია გამოვლენილი, მდებარეობს აუზის ქვემო წელში, რომელიც გაშლილია დასავლეთ საქართველოს ორი გეომორფოლოგიური ოლქის - კოლხეთის დაბლობისა და სერებად დანაწილებული პლატოს შესაყარზე. აქ რელიეფის სამი მორფოლოგიური ტიპი გამოიყოფა: გორაკ-ბორცვები, მდინარეთა გაგანიერებული ხეობები და დაბლობი (საქართველოს გეოგრაფია, 2001, გვ. 266-269), რაც ერთის მხრივ მოსახერხებელ თავდაცვით და სამხედრო-სტრატეგიულ


გარემოს ქმნიდა, იმავდროულად კი თავისი ბუნებრივი ლანდშაფტით იდეალური ადგილი იყო დასახლებათა გაჩენისათვის. რეგიონის სიმდიდრე საშენი მასალებით - ხე-ტყით, სხვადასხვა ჯიშის ქვებით, კერამიკული თიხებით, კვარცის ქვიშებით, ძვირფასი და ნახევრადძვირფასი მინერალებით (ობსიდიანი, გიშერი, ქალცედონი, სარდიონი, აქატი), მეტალურგიისათვის საჭირო ნედლეულით, გარკვეული რაოდენობით ოქროს მარაგები მდ. ენგურის, ცხენისწყლის, ტეხურის და რიონის ქვიშებში, ქმნიდა საფუძველს დასახლებათა ხანგრძლივი დროით არსებობისათვის. კოლხეთში სასარგებლო ბუნებრივი სიმდიდრეების არსებობა იწვევდა პოზიტიურ ძვრებს წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებაში (გამყრელიძე, 1999, გვ. 13).

უშუალოდ ნაქალაქარის ტერიტორია განთავსებულია რთულ რელიეფზე, მას ჩრდილოეთიდან 200 მეტრ სიმაღლის მთა და მდინარე ტეხურის ვიწრო ხეობა ეკვრის, რომელიც ტერიტორიას დასავლეთიდანაც შემოსაზღვრავს; სამხრეთიდან ნაქალაქარს 20-25 მეტრი სიმაღლის ფერდობი და მდინარე ტეხური ესაზღვრება; აღმოსავლეთით კი მეტ-ნაკლებად თანაბარი რელიეფის ფართობები იშლება (სურ. 2).

ნოქალაქევის ნაქალაქარს შესწავლის ხანგრძლივი ისტორია აქვს. ნოქალაქევის ნაქალაქარის შესწავლით პირველად XIX ს-ის 30-იან წლებში უცხოელი მოგზაური დიუბუა დე მონპერე დაინტერესდა, რომელმაც ნოქალაქევი

მოგზაურობის შემდეგ მისი აღწერილობაც დაგვიტოვა (Dubois, 1839). მის შემდეგ ნოქალაქევი ჩასულა ა. მურავიოვი, რომელიც ასევე აღწერს იგივე ნაგებობებს, რასაც დიუბუა (Муравьев, 1848). ასევე საინტერესოა მარი ბროსეს

აღწერილობა, რომელიც ბევრ შემთხვევაში მისი წინამორბედების იდენტურია (Brosset, 1851). XIX ს-ის 50-იან წლებში ნოქალაქევის ეწვია პ. იოსელიანი, შემონახულია მისი აღწერილობაც (Иоселиани, 1850). 1900 წელს ნოქალაქევი



სურ. 1 Pic.

დაუთვალეირებია თ. ჟორდანის, რომელიც ნაქალაქარს ერისთავჭუჯის ციხე-გოჯთან აიგივებს (ჟორდანია, 1900). 1903 წელს კი ნოქალაქევეში იმოგზაურა ცნობილმა სიძველეთამცოდნემ კ. განმა, იგი ვრცლად მიმოიხილავს უცხოურ და ქართულ წყაროებს ნოქალაქევის შესახებ, ადარებს ნაქალაქარის არსებულ მდგომარეობას დიუბუას დროინდელს და გამოაქვს დასკვნა რომ, ძველი კიდევე უფრო მეტად არის განადგურებული (Ган, 1907).

სამუშაოების საერთო ხელმძღვანელობა დაევალა სპეციალურად შექმნილ კომისიას ივ. ჯავახიშვილის, გ. ჩუბინაშვილის, გ. ნიორაძის, ს. ყაუხჩიშვილის და სხვათა შემადგენლობით. ექსპედიციამ 1930 წლის დეკემბრიდან 1931 წლის იანვრის ჩათვლით იმუშავა. გათხრების შედეგები გამოქვეყნდა გერმანულ სამეცნიერო ჟურნალში: "Forschungen und forschritte 1931". გარდა ამისა, შემონახულია გ. გოზალიშვილის და დ. მუსხელიშვილის, როგორც სა-



სურ. 2 Pic.

პირველი არქეოლოგიური გათხრები ნოქალაქევის ნაქალაქარზე XX ს-ის 30-იან წლებში ჩატარდა, როდესაც, განათლების სახალხო კომისარიატის მოწვევით, საქართველოში ჩამოვიდა გერმანელი ზიზანტიისტი-არქეოლოგი, ფრაიბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალფონს მარია შნაიდერი. გერმანელ მეცნიერს ნოქალაქევის ნაქალაქარზე არქეოლოგიური სამუშაოების ხელმძღვანელობა დაეკისრა, ველზე მას ახლდნენ გ. გოზალიშვილი და დ. მუსხელიშვილი. არქეოლოგიური

ველე დღიური, ასევე მოხსენებითი ანგარიში, სადაც აღწერილია ნოქალაქევი წარმოებული სამუშაოები, გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრებები ძველზე გამოვლენილ არქეოლოგიურ მასალასთან და მათ თარიღებთან დაკავშირებით.

1946 წლის თებერვალში ნოქალაქევი დაზვერა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. საქ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნ. ხოშტარის (ხელმძღვანელი), ი. ციციშვილის და ი. გრძელიშვილის შემადგენლობით. 1948

წელს ი. გრძელიშვილმა გამოაქვეყნა წერილი, რომელიც ნოქალაქევის ნაქალაქარის გეოლოგიური პირობების, მშენებლობის ტექნიკის და ქრონოლოგიის ზოგიერთ საკითხს ეხება (გრძელიშვილი, 1948, გვ. 323-328).

1968 წელს ნოქალაქევის ნაქალაქარზე დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა დასავლეთ საქართველოს საძიებო არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გ. გრიგოლიას (ხელმძღვანელი), გ. ფხაკაძის მ. ბარამიძის და გ. ლორთქიფანიძის შემადგენლობით, რომლებსაც შიდა ციხის ტერიტორიაზე საცდელი თხრილები გაუჭრიათ, სადაც ელინისტური ხანის ფენები დაუფიქსირებიათ (გრიგოლია, 1973, გვ. 36).

იმავე არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნოქალაქევი 1972 წელს კიდევ ერთხელ დაზვერა. ისევე, როგორც პირველ შემთხვევაში ამ წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიშიც გამოქვეყნებულია (გრიგოლია, 1972, გვ. 29-31).

მუზეუმის ს. ჯანაშიას საქართველოს მუზეუმის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია. 1973-1991 წლებში ექსპედიციამ ნაყოფიერი სამუშაოები ჩაატარა ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე და ციტადელში. შედეგად გამოვლინდა და შესწავლილია 4 ეკლესიის ნაშთი, ორი აბანო, წყლის რეზერვუარი, სამეფო სასახლე და სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობების ნაშთები. ექსპედიციამ ქალაქობის დროინდელი (IV-VIII სს) ფენების გარდა მიაკვლია და შეისწავლა ადრეანტიკური ხანის კულტურული ფენები და ელინისტური ხანის ნამოსახლარი და ვრცელი სამაროვანი. აღნიშნულ წლებში ჩატარებული სამუშაოებისა და კვლევების შედეგები 1981, 1987 და 1993 წლებში გამოქვეყნდა სერიის სახით - ნოქალაქევი-არქეოპოლისი I, II, და III ტომებად (რედ. პ. ზაქარაია). ამასთანავე 1991 წელს პ. ზაქარაიას და თ. კაპანაძის თანავტორობით გამოიცა წიგნი „ციხეგოჯი-არქეოპოლისი-



სურ. 3 Pic.

1973 წლიდან ნოქალაქევი ინტენსიურ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებს საქართველოს ეროვნული

ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება“, რომელიც ნოქალაქევისა და მის შემოგარენში გამოვლენილი არქიტექტურუ-


ლი ნაგებობის ვრცელ კვლევას წარმოადგენს.

1983-1986 წლებში ექსპედიციის წევრებმა (დ. ლომიტაშვილი) ნაქალაქარის ქვედა ტერასის აღმოსავლეთ ნაწილში, VII უბანზე, ე.წ. „გალავნებთ-შორისში“ მიაკვლიეს ძვ.წ. VIII-VII სს-ის არქეოლოგიურ ფენებს. ამ აღმოჩენამ ნოქალაქევის ისტორია 5 საუკუნით დააძველა (ლომიტაშვილი, 1993, გვ. 147-157).

აღნიშნულ ფენებში გამოვლინდა საწარმო-ნამოსახლარი, სადაც აღმოჩნდა მცირე მეტალურგიული და ნახევრად-მიწვრთმის ქვების მძივების დასამზადებელი სახელოსნო. ამ პერიოდის ანალოგიური საწარმო-ნამოსახლარები საქართველოში სოფ. მუხურჩასა და სოფ. ოჩხომურშია გამოვლენილი. თუმცა მათგან განსხვავებით საწარმო-ნამოსახლართან ერთად ნოქალაქევიში გამოვლენილია თანადროული რიტუა-

ლური მოედანი, სადაც, როგორც ჩანს, რთული რელიგიური რიტუალი სრულდებოდა - კულტურულ ფენებში გამოვლინდა თიხისაგან დამზადებული ორმხრივპროტომიანი ზოომორფული ფიგურები (ხარი, ირემი, ცხენი, ღორი და სხვ.), რომლებიც მრავალ ნაწილად იყო დამტვრეული (სურ. 3). მსგავსი რიტუალური მოედანი გამოვლენილია ვანის ნაქალაქარზეც, თუმცა იქ თანადროული საწარმო-ნამოსახლარი არ აღმოჩენილა. საინტერესოა, რომ ორივე ამ კომპონენტის (საწარმო-ნამოსახლარი და რიტუალური მოედანი) შერწყმა დღემდე მხოლოდ ნოქალაქევიშია დაფიქსირებული. ამ მხრივ ნოქალაქევი ანალოგი მთელი საქართველოს მასშტაბით არ მოეპოვება (ლომიტაშვილი, 2003).

2001 წლიდან ნოქალაქევიში არქეოლოგიური სამუშაოები განაახლა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ქარ-



სურ. 4 Pic.

თულ-ინგლისურმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. 2001-2016 წლებში ექსპედიციამ სამუშაოები აწარმოა ნაქალაქარის ქვედა ტერასის სხვადასხვა უბანზე. სამუშაოების მთავარი მიზანი 80-იან წლებში დადგენილი სტარტიგრაფიის გადამოწმება და ზოგადად, ნაქალაქარზე ძვ.წ. I ათასწლეულში ცხოვრების ინტენსივობის დადგენა იყო. წარმოებულმა გათხრებმა და მიღებული შედეგების 70-80-იან წლებში გაკეთებულ აღმოჩენებთან შედარებით ანალიზმა ძალიან საინტერესო შედეგები მოიტანა. აღნიშნულ წლებში სრულად იქნა შესწავლილი ოთხი უბანი - A B C და D თხრილები. დღეისათვის კვლევა ხორციელდება კიდევ სამ უბანზე - E, F და G თხრილებზე (სურ. 4).

### ძვ.წ. VIII-VII საუკუნეები

წარმოებული კვლევების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ნოქალაქევი პირველი სამოსახლო სულ ცოტა ძვ.წ. VIII ს. გაჩენილა. ამ პერიოდში ადამიანებს ათვისებული აქვთ ნაქალაქარის ქვედა ტერასის აღმოსავლეთ ნაწილი - კომკი სამრეკლოდან მეგრულ ოდა სახლამდე, 175 მეტრ სიგრძისა და 55 მეტრ სიგანის ანუ დაახლოებით 1 ჰა ტერიტორია (სურ. 4). აღნიშნულ ფართობზე გამოვლენილია ინტენსიური კულტურული ფენები, ვრცელი რიტუალური მოედანი და საწარმო ნამოსახლარის ნაშთები, სადაც მცირე მეტალურგიული და ნახევრად ძვირფასი ქვების მძივების დასამზადებელი სახელოსნოები უნდა ყოფილიყო განთავსებული. არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალებით დგინდება, რომ მოსახლეობა ხელოსნობის გარდა, ინტენსიურად მისდევდა მონადირეობას, მეთევზეობას, მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას. ძვ.წ. VIII

-VII საუკუნეების ფენებში გამოვლენილი კერამიკული ჭურჭელი მხოლოდ ადგილობრივი წარმოებისაა. ნაწარმი ძირითადად ჩარხზეა ნაკეთები. განსაკუთრებით ტიპურია „ჩაიდნისებური“ ჭურჭლების სხვადასხვა ზომის ეგზემპლარები, რქისებრშვერილიანი (ზოომორფული) მასიური ყურები, კონუსისებრი ძირიანი სასმისების ფრაგმენტები, სხვადასხვა ზომის ქოთნები, კანელურებიანი კერამიკა, შიგნით პირგადახრილი ბრტყელძირა ჯამები. უმრავლესი მათგანი ნაპრიალებია. შემკულობა ძირითადად გეომეტრიული ხასიათისაა: ტალღისებური, თევზიფხური, დამტრიხული სამკუთხედები და სხვ. (ლომიტაშვილი, 2003, გვ. 45-46).

როგორც უკვე აღინიშნა, ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე ინტენსიური კვლევა მიიწიება 1973 წლიდან მიმდინარეობს, ხოლო ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების სამოსახლო 1983 წლიდან შეისწავლება. თუმცა, სამწუხაროდ, ამ ხნის მანძილზე ვერ მოხერხდა აღნიშნული პერიოდის არქიტექტურის კვალისა და სამაროვნის გამოვლენა, რასაც შესაძლოა რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს. საფიქრებელია, რომ ამ პერიოდში ნოქალაქევი, ისე როგორც დანარჩენ კოლხეთში, გავრცელებული იქნებოდა ძელურ-ბათქაშიანი არქიტექტურა, რომელიც ჩვენი აზრით სხვა (მეგლების მაგალითების მოშველიებით) შეიძლება ხის სამირკველზე იყო გამართული. საქმე იმაშია, რომ კოლხეთის სხვა მეგლები, სადაც მსგავსი ნაგებობებია გამოვლენილი (ჭალადიდი, ნოსირი და სხვ.) განლაგებულია დაჭაობების ზონებში და ხის კონსტრუქციებმა დღევანდლამდე სწორედ ამიტომ მოაღწია. ხოლო ნოქალაქევის ნაქალაქარი მდებარეობს კლდოვან მასივზე და შესაბამისად, აქ ხის კონსტრუქციები არ შე-



მონახულა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ფენებში ნოქალაქევეში მრავლად არის დაფიქსირებული თიხის ბათქაშები, რაც სწორედ ხის სახლების შელესილობა უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება სამაროვანს, სამწუხაროდ მრავალწლიანი კვლევა-ძიების მიუხედავად ძვ.წ. VIII-VII სს-ის ნამოსახლარის სიახლოვეს თანადროული სამაროვანი ჯერ არ გამოვლენილა, ანუ ნოქალაქევის ქვედა ტერასის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე (60X130 მ.) ის არ იძებნება. ჩვენი აზრით შესაძლებელია სამაროვანი ნაქალაქარის აღმოსავლეთით არსებული მთის სამხრეთ კალთებზე იყოს. თუმცა სამწუხაროდ დღეს ამ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის კარ-მიდამოებია განლაგებული და მათი ინტენსიური შესწავლა ჯერჯერობით არ ხერხდება.

VI-IV საუკუნეების ვრცელი ნამოსახლარი და კულტურული ფენებია გამოვლენილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის კულტურული ფენების გავრცელების არეალი ფაქტიურად ზუსტად ემთხვევა წინარე ხანის ნამოსახლარის მდებარეობას, ანუ ძვ.წ. VIII საუკუნიდან IV საუკუნემდე ადგილობრივ მოსახლეობა საცხოვრებელი ადგილი არც შეუცვლია და სავარაუდოდ, არც გაუფართოებია. ისევე როგორც, ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში, შემდგომ პერიოდშიც კულტურული ფენებიდან უმთავრესად ადგილობრივი კერამიკული ჭურჭელი ამოდის, ესენია - ჩალისფრად, ლეგად და ყავისფრად გამოძწვარი პირგადაშლილი დერგები, ყურმილიანი დოქები, ფეხიანი სასმისები და კათხები და სხვა სამზარეულო, სასურე თუ სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელი. მცირე რაოდენობით გვხვდე-



სურ. 5 Pic.

**ძვ.წ. VI-IV საუკუნეები**

ძვ.წ. VI საუკუნიდან ნაქალაქარის ტერიტორიაზე ცხოვრება კიდევ უფრო ინტენსიური ხდება. ნოქალაქევეში ძვ.წ.

ბა იმპორტული კერამიკაც, ძირითადად ატიკური შავლაკინი ჭურჭლის ფრაგმენტები. საინტერესოა, რომ ამავე პერიოდის ფენაში გამოვლინდა ბრინჯაოს აბჯრის ფირფიტა (სურ. 5), რომე-

ლიც სწორედ ადრეანტიკური პერიოდისათვის არის დამახასიათებელი და შესაძლოა წარმოადგენდეს როგორც ძველ ბერძნულ, ისე სკვითურ ნაწარმს, რადგანაც ასეთი ტიპის ბრინჯაოს ფირფიტებიან აბჯრებს იყენებდნენ როგორც ბერძნები, ისე სკვითები. ასევე საინტერესოა, რომ უკანასკნელ წლებში ექსპედიციამ გამოავლინა და შეისწავლა ძვ.წ. VI-V საუკუნეების (ნაგებობა დათარიღდა სტრატეგრაფიული მონაცემებით) ნაგებობის ნაშთი (სურ. 6). ამ პერიოდის ნაგებობის ნაშთის გამოვლენა ნოქალაქევის ნაქლაქარის შესწავლის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე პირველ შემთხვევას წარმოადგენს. ეს არის დიდი ზომის ნაგებობის სამირკველი, რომელიც, უხეშად გათლილი კირქვებით არის ნაგები. რომელზეც შემდგომში ხის ძეღური კედლები იქნებოდა გამართული. შენობა დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზეა დამხრობილი; ზომები: შიდა - 2.80 მ X 4.60 მ; გარე - 3.10 მ X 5.70 მ; შენობის სიგანეები (2.80 მ; 3.10 მ) პირობითია, რადგანაც ნაგებობის სამხრეთი ნაწილის შესწავლა ვერ მოხერხდა, იმის გამო რომ ის თხრილის კიდის გარეთ გადის, რომელსაც ზემოდან IV-V საუკუნეების რიყის ქვით მოკირწყლული ქუჩის ფრაგმენტი ეფარება. როგორც უკვე აღინიშნა, სამშენებლო მასალად კლდის ქვა არის გამოყენებული, თუმცა ელინისტური ხანის ნაგებობებისაგან განსხვავებით ამ შენობის სამირკველის მოსაწყობად დიდი ლოდებიც (ზომები: 0.70-0.90-1.10 მ) გამოუყენებიათ - ეს ეხება ნაგებობის ჩრდილოეთ კედელს. შენობის დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლები კი საშუალო ზომის ქვებით არის ნაშენები (20X30 სმ).

ნაგებობის ჩრდილოეთ კედლის სამირკველი დიდი ლოდებით სავარაუდოდ იმისათვის მოაწყვეს, რომ ამ მხრი-

დან ნაგებობას მთა ემიჯნება და შესაბამისად, ფერდობიდან ჩამოტანილი მიწის მასებისა და ნიაღვრის შესაჩერებლად ასეთი ზომის სამირკველის მოწყობა მეტად ეფექტური იქნებოდა. ნაგებობის შიდა სივრცეში გამოვლინდა მოშავო-მონაცრისფრო შეფერილობის ფენა (283), რომელშიც ამოვიდა ადრეანტიკური ხანის საოჯახო დანიშნულების კერამიკული ჭურჭელი - ქოცოების, ხუფების, დოქების სასმისების ფრაგმენტები. ამავე ფენაში აღმოჩნდა მოწითალო შეფერილობის ქვისგან დამზადებული სფეროსებრი ფორმის მძივი, ლეგა შეფერილობის ყურმილიანი დოქი და მცირე ზომის ორმხრივპროტომიანი კერამიკული ფიგურის თავის და კისრის ფრაგმენტი.

სამწუხაროდ ნოქალაქევაში აღნიშნული პერიოდის სამაროვანი დღემდე გამოვლენილი არ არის. ვფიქრობთ, ისევე, როგორც ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ნამოსახლარისა და სამაროვნის შემთხვევაში, ადრეანტიკური ხანის სამაროვანიც ნაქალაქარის აღმოსავლეთით არსებული მთის სამხრეთ კალთებზე იყოს განთავსებული.

### ძვ.წ. III-I საუკუნეები

ქართული წერილობითი წყაროების, კერძოდ კი ლეონტი მროველის ცნობით, ძვ.წ. III საუკუნეში ფარნავაზ მეფის მოკავშირე ეგრისის მთავარ ქუჯის დაუარსებია ციხე-გოჯი: „მაშინ ფარნავაზ მისცა დაა თჳსი ოვსთა მეფესა ცოლად, და მეორე დაა თჳსი მისცა ქუჯის ცოლად. და მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვთგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ. და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი“ (მროველი, 1955, გვ. 24).



სურ. 6 Pic.

ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგა ხანია დადასტურებულია ციხე-გოჯის და ნოქალაქევის იდენტობის საკითხი (ლომოური, ა. 1981, გვ. 18-47; ლომოური, ბ. 1981, გვ. 48-76). თუმცა, მრავალწლიანი არქეოლოგიური კვლევა-ძიების მიუხედავად ნოქალაქევში დღემდე მეფე ფარნავაზის და ერისთავ ქუჯის პერიოდის ციხე-ქალაქის ნაშთები აღმოჩენილი არ არის. 1973-1990 წლებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნოქალაქევის ნაქალაქარის აღმოსავლეთ ნაწილში (კომპი სამრეკლოდან მუზეუმამდე) ელინისტური პერიოდის მდიდარი კულტურული ფენები, ვრცელი სამაროვანი და ორი სამოსახლო გამოვლინდა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ელინისტური ხანის კულტურული ფენებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა რაოდენობრივად საგრძნობლად აღემატება ნოქალაქევის ქალაქობის დროინდელ (ახ.წ. IV-VI სს) კულტურულ ფენებში დადასტურებულ მასალას. რაც ერთის მხრივ, შეიძლება სოციალ-ეკონომიკური წყობილების სხვადასხვაობით აიხსნას. თუმცა, მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ ანგარიშგასაწევი ფაქტია, რომ ელინისტური ხანის ფენებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა ეგრისის სამეფოს დედაქალაქის კულტურული ფენების მასალას რაოდენობრივად აღემატება. ჩვენი აზრით, ეს ფაქტი ელინისტურ ხანაში ნოქალაქევში უმნიშვნელოვანესი დასახლებული პუნქტის არსებობაზე აშკარად მიუთითებს.

1983-1986 წლებში ნოქალაქევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ნაქალაქარის აღმოსავლეთ სექტორში, VII უბანზე, ე.წ. „გალავნებთმორისში“ გაჭრილ თხრილში (უბნის ხელმძღვანელი - დ. ლომიტაშვილი) ელინისტური ხანის ნაგებობის ნაშთები დააფიქსირა

(ლომიტაშვილი, 1993, გვ. 151-154). ეს ნოქალაქევის შესწავლის ისტორიაში ელინისტური ხანის ნაგებობის აღმოჩენის პირველი ფაქტი იყო. 2006-2011 წლებში ექსპედიციამ ნაქალაქარის ქვედა ტერასის ორ უბანზე (A და B თხრილები) ელინისტური ხანის რამდენიმე ნაგებობის ნაშთი გამოავლინა და შეისწავლა.

ყველა გამოვლენილი ნაგებობა მშენებლობის ტექნიკის და სამშენებლო მასალების თვალსაზრისით ერთმანეთის იდენტურია და ზოგადად, კოლხური სახლის ერთ-ერთი სახესხვაობა უნდა იყოს. ეს არის, გრუნტზე ერთ რიგად დალაგებული უხეშად გათლილი კლდის ფლეთილი ქვების ხაზი, დუღაბის გარეშე, რომელზეც შემდგომში ძელები იდებოდა, რომელიც თავის მხრივ თიხით ილესებოდა (სურ. 7).

ელინისტური ხანის მოსახლეობის შესახებ ნოქალაქევის კულტურული ფენებიდან მოპოვებული მასალა საინტერესო ინფორმაციას იძლევა. ნოქალაქევში ძირითადად გვხვდება ადგილობრივი სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი (ქვევრი, ამფორა, დერგი, დოქი, ჯამი, თეფში და სხვ.).

ელინისტური ხანის კერამიკა ტიპოლოგიურად ადრეანტიკური პერიოდის გენეტიკურ გაგრძელებას წარმოადგენს, თუმცა სახეზე გვაქვს რიგი ცვლილებებიც. კერამიკული ნაწარმის კეცი წინამორბედი ხანის კერამიკის კეცთან შედარებით უკეთაა დამუშავებული და გამომწვარი, ზედაპირი ხშირად გაპრიალებულია. შემკულობა ნაკლები გულმოდგინებითაა შესრულებული, თუმცა ორნამენტის შესრულების ტექნიკა უფრო მრავალფეროვანია (გაპრიალება, ამოღარვა, ამოკაწრვა და სხვ.). გვხვდება საღებავით შესრულებული შემკულობაც.



სურ. 7 Pic.

იმის ფონზე, რომ ადრეული ხანის ჭურჭლის ზოგიერთი ფორმა ელინიზმში ძალზე იშვიათად გვხვდება (ყურმილიანი დოქები, საწურები, სასმისები), მრავლად გვხვდება ჭურჭლის ახალი ფორმები (ლუთერიუმები, ჯამები), რაც ბერძნული გავლენით უნდა აიხსნას.

ელინისტური ხანის იმპორტული კერამიკა ძირითადად წარმოდგენილია შავლაკიანი, წაბლისფერლაკიანი და წითელლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტებით. მათგან ზოგიერთი ნიმუში, რომელიც კარგად განლექილი ნაცრისფერი კვით და კარგი ხარისხის მდგრადი შავი ლაკით გამოირჩევა, ატიკური ნაწარმი უნდა იყოს (ძვ.წ. III ს).

წინა პერიოდებისგან განსხვავებით, ნოქალაქევი ელინისტური ხანის ვრცელი სამაროვანია გამოვლენილი - 1973-1988 წლებში ექსპედიციამ ნოქალაქევი ვრცელი ელინისტური სამაროვანი გამოავლინა და შეისწავლა ნაქალაქარის აღმოსავლეთ გალავნების გა-

რეთ დაახლოებით 1 ჰა ფართობ ტერიტორიაზე. კვლევის შედეგად გამოვლენილი სამარხები ქრონოლოგიურ-ტიპოლოგიური თვალაზრისით გაერთიანდა სამ ჯგუფში:

1. ძვ.წ. IV ს-ის ბოლო - III ს-ის შუა ხანები - ორმოსამარხები ძლიერ მოკრუნჩხული მიცვალებულებით;

2. ძვ.წ. III ს-ის შუა ხანები - II ს-ის ბოლო - ქვევრსამარხები;

3. ძვ.წ. II ს-ის ბოლო - I ს-ის ბოლო - ორმოსამარხები სუსტად მოკუნტული მიცვალებულებით (გვინჩიძე, 1988, გვ. 25).

2003-2010 წლებში ნაქალაქარის ქვედა ტერასის აღმოსავლეთ სექტორში მდებარე A თხრილში 100 მ<sup>2</sup> ფართობზე გამოვლინდა 20 ერთეული ელინისტური ხანის სამარხი, რომლებიც ტიპოლოგიურად ოთხ ძირითად ჯგუფში ერთიანდება: 1. ორმო სამარხი, 2. კრემაციული ორმო-სამარხი, 3. დერგ-სამარხი და 4. ამფორა-სამარხი. აქვე უნ-

და აღინიშნოს, რომ მათგან ბოლო სამი ტიპი აქამდე უცნობი იყო ნოქალაქევისათვის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნოქალაქევი ცხოვრების ინტენსივობა ელინისტურ ხანაში პიკს აღწევს. გამოვლენილ არქეოლოგიურ მასალებზე ანალიზის მიხედვით, ადგილობრივ მოსახლეობას მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები აკავშირებს ბერძნულ და რომაულ სამყაროსთან. გამოვლენილი სამაროვნისა და ნამოსახლარის მასშტაბები მოსახლეობის მატებაზე და იქ მნიშვნელოვანი ეკონომიკურ-ადმინისტრაციული ცენტრის არსებობაზე მიუთითებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შესაძლებელი ხდება ნოქალაქევი ძვ.წ. I ათასწლეულში არსებული დასახლების განვითარების წარმოდგენა პერიოდების მიხედვით:

### **ნოქალაქევი ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში**

- რიტუალური მოედანი, ორმხრივ-პროტომიანი ზოომორფული ფიგურებით;
- საწარმო-ნამოსახლარი - მძივების დასამზადებელი სახელოსნო;
- საწარმო-ნამოსახლარი - მცირე მეტალურგიული სახელოსნო;
- მხოლოდ ადგილობრივი კერამიკა;
- არ არის გამოვლენილი - ნაგებობები და სამაროვანი.

### **ნოქალაქევი ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში. ადრეანტიკური ხანა**

- კულტურული ფენები;
- ძირითადად ადგილობრივი კერამიკა, მცირე რაოდენობით იმპორტი;
- გამოვლენილია საცხოვრებელი ნაგებობის ნაშთი;
- არ არის გამოვლენილი - სამაროვანი.

### **ნოქალაქევი ძვ.წ. III-I საუკუნეებში. ელინისტური ხანა**

- კულტურული ფენები;
- ადგილობრივი და იმპორტული კერამიკა;
- გამოვლენილია საცხოვრებელი ნაგებობები;
- გამოვლენილია სამაროვანი - ორმოსამარხები, კრემაციული სამარხები, ქვევრ-სამარხები, ამფორა-სამარხები, დერგ-სამარხები;
- არ არის გამოვლენილი - ციხე-ქალაქის ნაშთები.

### **დასკვნა**

როგორც ზემოთ გამოჩნდა ძვ.წ. VIII-I საუკუნეების ნამოსახლარის ნაშთები ნაქალაქარის მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილშია დაფიქსირებული. დასავლეთ მონაკვეთზე (ორმოცმოწამეთა ეკლესიიდან გვირაბამდე) წარმოებული გათხრების შედეგად მხოლოდ ქალაქობის დროინდელი (ახ.წ. IV-VIII საუკუნეები) კულტურული ფენები ვლინდება. ერთი შეხედვით ნაქალაქარის დასავლეთ მონაკვეთი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა დასახლების გაჩენისთვის - ის სამი მხრიდან (ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი) ბუნებრივად იყო დაცული მაღალი მთითა და მდ. ტეხურის ხეობით, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ ძვ.წ. I ათასწლეულში ადგილობრივი მოსახლეობა ამ ტერიტორიებზე არ ცხოვრობდა. რასაც ცხადია, თავისი მიზეზები ჰქონდა. XX საუკუნის 90-იან წლებში პროფ. დავით ლომიტაშვილს ნაქალაქარის სამხრეთ ნაწილში, სამოქალაქო აზანოს ადგილად კლდის მასივის დათვალიერებისას დაუფიქსირებია დიდი ზომის ლოდებით ამოვსებული ბუნებრივი ხევი (დ. ლომიტაშვილის პირადი კომენტარი). მოგვიანებით ეს ხევი გეოლოგებთან ერთად

ჩვენც დავაფიქსირეთ. ეს არის 25 მეტრ სიგანის ხევი, რომელიც ნაქალაქარის ჩრდილოეთით არსებული მთიდან, დაახლოებით ორმოცმოწამეთა ეკლესიის აფსიდის გასწვრივ ეშვება სამხრეთით მდ. ტეხურისაკენ (სურ. 8). როგორც ჩანს ნაქალაქარის ბუნებრივი გარემო ქალაქის დაარსებამდე (IV ს.) საგრძნობლად განსხვავდებოდა დღევანდელისგან. კერძოდ, მის დასავლეთ ნაწილს აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა ღრმა და განიერი ხევი, რის გამოც ამ ნაწილში სამოსახლოს დაარსება უსაფრთხოების თვალსაზრისით, შესაძლოა, გამართლებული ყოფილიყო, თუმცა მდინარესთან წვდომა გაჭირდებოდა. საქმე იმაშია, რომ ნაქალაქარის ამ ნაწილში მდ. ტეხურის ხეობა დაახლოებით 15-20 მეტრი სიმაღლისაა, განსხვავებით აღმოსავლეთ ნაწილისა, სადაც მდინარემდე უფრო ნაკლები დამხრობის ფერდობია. შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ად-

გილის შერჩევის პროცესში გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო მდინარესთან სიახლოვე და სწორედ ამის გამოა, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის დასახლებები და სამაროვანიც ნაქალაქარის მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში ფიქსირდება (სურ. 9). როგორც ჩანს, ახ.წ. IV საუკუნეში, როდესაც ნოქალაქევის ტერიტორიაზე ქალაქის დაარსება გადაწყდა, მშენებლობის დაწყებამდე ნაქალაქარის ტერიტორიაზე არსებული ხევი დიდი ზომის ლოდებით ამოავსეს და შექმნეს ხელოვნური პლატო, სადაც მოხდა კიდევ ქალაქის მნიშვნელოვანი ნაგებობების (აბანოები, სასახლეები, ეკლესიები) მშენებლობა.


დღეისათვის ნოქალაქევის ექსპედიცია გეგმიურ სამუშაოებს აწარმოებს ნაქალაქარის ქვედა ტერასის აღმოსავლეთ ნაწილის სამ უბანზე, სადაც ამჟამად ძვ.წ. VIII-VI სს-ის კულტურული ფენები, ძვ.წ. III-II სს-ის ნაგებობის ნაშთი და IV-VIII სს-ის კულტურული



სურ. 8 Pic.

ფენების შესწავლა ხდება. ვფიქრობთ, ნაქალაქარზე მიმდინარე და დაგეგმილი არქეოლოგიური სამუშაოები სამო-

მავლოდ მეტ სიცხადეს შეიტანს ნოქალაქევის ძვ.წ. I ათასწლეულის ტოპოგრაფიის კვლევის საქმეში.



სურ. 9 Pic.

### გამოყენებული ლიტერატურა:

გამყრელიძე, გ. (1999). *ბიოგეოგრაფიის ზეგავლენის შესახებ ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე*. სამეგრელო, კოლხეთ-ოდიში. თბილისი-ზუგდიდი.

გვინჩიძე, გ. (1988). *ელინისტური ხანის კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის*. თბილისი.

გრძელიშვილი, ი. (1948). *ნოქალაქევის ციხე-ქალაქის მშენებლობის გეოლოგიური პირობებისა და ტექნიკის ზოგიერთი საკითხი*. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. IX, № 5. თბილისი.

გრიგოლია, გ., ოქროპირიძე, ნ., ჯაფა-

რიძე, ვ., წირღვავა, ვ., ჩართოლანი, შ. (1972). *დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის ჩატარებული მუშაობის შედეგები*. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1972 წ. თბილისი.

გრიგოლია, გ., ფხაკაძე, გ., ბარამიძე, მ., ლორთქიფანიძე, გ. (1973). *დას. საქართველოს საძიებო არქეოლოგიური ექსპედიციის 1968 წ. მუშაობის ანგარიში*. მსკა, V. თბილისი.

ზაქარაია, პ., კაპანაძე, თ., (1991). *ციხეგოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება*. თბილისი.



მროველი, ლ. (1955). *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I. თბილისი.

ლომიტაშვილი, დ. (1993). *სტრატეგია ნოქალაქევის ნაქალაქარზე (VII უბნის მიხედვით, ნოქალაქევი-არქეოპოლისი III*. (რედ. პ. ზაქარაია). თბილისი.

ლომიტაშვილი, დ. (2003). *ცენტრალური კოლხეთი ძვ. წ. VIII–ახ. წ. VI ს. (ციხეგოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი)*. დისერტაცია ისტ. მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

ლომოური, ნ. (1981). *ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხე-გოჯი*. ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I. (რედ. პ. ზაქარაია). თბილისი.

ლომოური, ნ. (1981). *ნოქალაქევის შესწავლის ისტორია*. ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I. (რედ. პ. ზაქარაია). თბილისი.

*ნოქალაქევი-არქეოპოლისი*. (1981). ტ. I, (რედ. პ. ზაქარაია).

*ნოქალაქევი-არქეოპოლისი* (1987). ტ. II, (რედ. პ. ზაქარაია).

*ნოქალაქევი-არქეოპოლისი*. (1993). ტ. III, (რედ. პ. ზაქარაია).

ჟორდანია, თ. (1900). ციხე ქუჯისა, ანუ ციხე-გოჯი. *ერთი უძველესთა ნიშნთაგანი საქართველოს სიძველეთა*, ივერია, №№ 192, 193.

*საქართველოს გეოგრაფია*. (2001). ტ. I. თბილისი.

Ган, К. (1907). *Экспедиция в Накалакеви летом 1903 г.* Известия Кавк. отделения импер. московского археол. об-ва, вып. II.

Иоселиани, П. (1850). *Города существовавшие и сушиствующие в Грузии*. Тифлис.

Муравьев, А. Н. (1848). *Грузия и Армения*. ч. III, СПб.

Brosset, M. (1851). *Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et dans l'Arménie*. SPB.

Dubois De Montpereux, F. (1839). *Voyage autour du Caucase*. t. III. Paris.

Everill, P., Armour, N., Lomitashvili, D., Murgulia, N., Grant, K., Neil, B., Slater, A. *AGEN Trench A Results: 2001-2010*. Nokalakevi • Tsikhegoji • Archaeopolis. Archaeological excavations 2001–2010. Anglo-Georgian Expedition to Nokalakevi. BAR International series 2612, Archaeopress, Oxford, England.

### სურათების აღწერილობა

1. ნოქალაქევის ნაქალაქარის გეგმა;  
2. Google Earth გამოსახულება - ნოქალაქევის ნაქალაქარის ხედი სამხრეთიდან;

3. ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ზომორფული ფიგურები;

4. აერო-ფოტო - ნოქალაქევის ნაქალაქარის ქვედა სექტორი შესწავლილი უბნების ჩვენებით;

5. ძვ.წ. VI-V საუკუნეების ბრინჯაოს აბჯრის ფირფიტა;

6. ძვ.წ. VI-V საუკუნეების ნაგებობის საძირკველი;

7. ძვ.წ. III-II საუკუნეების ნაგებობების საძირკველები;

8. ნაქალაქარის სამხრეთ ნაწილში დაფიქსირებული ამოვსებული ხევის ჭრილი;

9. აერო-ფოტო - ნოქალაქევის ნაქალაქარის ქვედა სექტორი ძვ.წ. I ათასწლეულში ათვისებული და აუთვისებელი ტერიტორიებისა და მათი გამყოფი ხევის მდებარეობის ჩვენებით;

## Topography of Nokalakevi in the 1st Millennium BC

*Murgulia Nikoloz,*

*The head of Nokalakevi Archaeological Expedition,  
Georgian National Museum*

Nokalakevi site is multi-chronological Archaeological-Architectural complex. Several periods' cultural layers have been discovered and investigated during the long term research of the site territory:

1. 8<sup>th</sup>-7<sup>th</sup> cc BC
2. 6<sup>th</sup>-4<sup>th</sup> cc BC
3. 3<sup>rd</sup>-2<sup>nd</sup> cc BC
4. 4<sup>th</sup>-6<sup>th</sup> cc AD

The archaeological investigation of the three areas on the lower terrace brought very interesting results for the understanding occupation areas of Nokalakevi territory in the 1st Millennium BC. We determine areas where the settlement survived

from the 8<sup>th</sup> c BC to the 1st c. BC, but there is no evidence of life in the 1st Millennium BC in some areas at all.

We could define main social, economic and geographic reasons, why and how was populated only some areas of the Nokalakevi territory in the 1st Millennium BC.

The current article discusses chronological and physical interrelation of the 1st Millennium BC cultural layers, settlement and cemetery, discovered in Nokalakevi territory. Also, similarities and disparity of the different period discoveries are discussed widely in the article.

### List of Illustrations

1. Plan of Nokalakevi Site;
2. Google Earth Image - View of the Nokalakevi Site from the South;
3. 8<sup>th</sup>-7<sup>th</sup> cc BC Zoomorphic Figurines;
4. Aerial Photography - lower terrace of Nokalakevi Site showing investigated areas;
5. The 6<sup>th</sup>-5<sup>th</sup> cc BC Bronze Armour plate;
6. The 6<sup>th</sup>-5<sup>th</sup> cc BC Building foundation;
7. The 3<sup>rd</sup>-4<sup>th</sup> cc BC Building foundation;
8. The section of the ravine, found in the south part of the site;
9. Aerial Photography - lower terrace of Noka-lakevi Site showing occupied and unoccupied areas of the site and ravine line in the 1st Millennium BC.

## ზოგიერთი დაკვირვება იორ-ალაზნის ორმდინარეთის ტოპონიმის წარმომავლობაზე

ლალიაშვილი გიორგი,  
საქართველოს უნივერსიტეტი

იორ-ალაზნის ორმდინარეთის ადგილთა დასახელებებმა, კავკასიოლოგიის ჩასახვისთანავე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. ერთ-ერთი პირველთაგანი ვინც ამ საკითხზე გაამახვილა ყურადღება, იყო გერმანელი სწავლული ი. რაინეგის, რომელიც გარკვეულ ხანს ერეკლე მეორის კარზე იმყოფებოდა და ადგილობრივ წეს-ჩვეულებებსა და კულტურას სწავლობდა. იგი თვლიდა, რომ მდინარე ალაზნის სახელწოდება სატომო (კავკასიის ალბანთა) სახელიდან უნდა მომდინარეობდეს, შესაბამისად, წარსულში ალაზნის ველი ალბანეთის კუთვნილად მიაჩნდა (პაპუაშვილი, 2013).

აკად. ივანე ჯავახიშვილი, ადასტურებდა რა სამხრეთ კავკასიაში ნახურ-დაღესტნურ და სკვითურ-სარმატულ სახელებს, თვლიდა, რომ წარსულში ეს რეგიონი დასახლებული იყო ჩრდილო-კავკასიელი ტომებით (ჯავახიშვილი, 1950). სხვასთან ერთად, ესეც გახდა ამოსავალი წერტილი მისი თეორიის დადგენილი საქართველოს ტერიტორიაზე ქართველთა მოსულობის შესახებ. აკად. გიორგი მელიქიშვილი ყურადღებას ამახვილებდა აღმოსავლურ ქართულში დამოწმებულ ზოგიერთ, წარმოშობით ნახურ-დაღესტნურ ლექსიკურ ელემენტზე და მიაჩნდა, რომ ქართულში მათი შემოსვლა, დროის გარკვეულ მონაკვეთსა და გარკვეულ რეგიონში ქართული და ჩრდილოკავკასიური ეთნოსების თანაცხოვრების პირობებში უნდა მომხდარიყო. ასეთ რეგიონად კი, მეცნიერი იორ-ალაზნის

აუზს თვლიდა (მელიქიშვილი, 1965).

იორ-ალაზნის აუზის ისტორიული და ეთნიკური გეოგრაფიის საკითხების კვლევისას აკად. დავით მუსხელიშვილმა შემოგვთავაზა საყურადღებო დაკვირვებანი ამ რეგიონის ქართულ ტოპონიმთა წარმომავლობის შესახებ. მეცნიერმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ისტორიული ჰერეთის (იორ-ალაზნის აუზის შუა და ქვემო წელი) ტოპონიმულ მემორება აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონთა (შიდა ქართლი, კახეთის მთიანეთი) ადგილთა დასახელებები. ეს, მისი აზრით, „ქართების აღმოსავლეთით ინფილტრაციით“ უნდა აიხსნას (მუსხელიშვილი, 1997, გვ. 48-50). იმავე დროს, ეს მოვლენა მეცნიერს მიაჩნია ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტად იმისა, რომ აღმოსავლურ ქართულში ეთნოსმა მოახდინა იორ-ალაზნის ორმდინარეთის ავტოქტონური მოსახლეობის (ჰერების) ასიმილაცია (ავტორის სიტყვით „ქართიზაცია“), რომელიც თავის მხრივ არა ქართული, არამედ ალბანური მოდემის ტომი უნდა ყოფილიყო\*. ამავე კონექსტში, მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს

\* ჩვენი აზრით, ის ფაქტი, რომ იორ-ალაზნის ორმდინარეთის ტოპონიმულ მემორება ქართლოსიანთა განსახლების არეალში (ქართლი, კახეთ-კუხეთი) დადასტურებულ ადგილთა დასახელებები, არ გამოდგება ჰერეთის თავდაპირველი მოსახლეობის არაქართველობის სამტკიცებლად. ერთადერთი, რაზეც ამ რიგის ფაქტები შეიძლება მიუთითებდნენ არის ის, რომ სხვადასხვა დროს ჰერეთის ტერიტორიაზე აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებიდან მოსახლეობის გარკვეული ჯგუფები გადმოსახლებულან.

ზოგიერთ ტოპონიმზე, რომელიც, მისი აზრით, ალბანური წარმომავლობისაა. ასეთებად მას მიაჩნია „უტოს უბანი“ ახმეტაში, რომელსაც ალბანთა გაერთიანებაში შემავალი ერთ-ერთი მსხვილი ტომის - უდების სატომო სახელს უკავშირებს. ასევე „ალვანი“ იმავე ახმეტის მუნიციპალიტეტში<sup>\*</sup> (მუსხელიშვილი, 1977, გვ. 184) და სხვ. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ალაზნის ველზე ალბანური ტომების შეჭრას, მართალია დროის შეზღუდულ მონაკვეთში, მაგრამ მაინც ჰქონდა ადგილი. შესაბამისად, ამ რიგის ტოპონიმების აქ დადასტურება არ უნდა იყოს მოულოდნელი. აქედან გამომდინარე, ეს მაინცამაინც არ უნდა გულისხმობდეს (ისტორიულ ხანაში რასაკვირველია) ადგილობრივი მოსახლეობის არაქართველობასა და მით უფრო ალბანელობას.

პროფ. რამინ რამიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და კახეთის ბარში ადასტურებდა რა „დასავლური იერის“ (იგულისხმება ზანურ-სვანური) ტოპონიმებს, ფიქრობდა, რომ ისინი შემოტანილი უნდა იყოს კოლხურ-სვანური, ნარევი ეთნიკური ნაკადის მიერ. ასეთ ეთნიკურ ნაკადად კი მეცნიერი წანარებს მიიჩნევდა. თუმცა, ამ მოსაზრებას რ. რამიშვილი არ თვლიდა მყარად დასაბუთებულად და არც იმის შესაძლებლობას გამორიცხავდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში (მათ შორის იორ-ალაზნის აუზში) დადასტურებული დასავლური წარმომავლობის ტოპონიმები ენობრივი ერთობის დროინდელად განგვებილა (რამიშვილი, 1981, გვ. 132-133).

\* ამ უკანასკნელის ეტიმოლოგია ისევე შეიძლება უკავშირდებოდეს „ალბანს“ (ალბანეთს), როგორც ქართულ „ალვას“ (მცენარის სახელს). ამგვარი წარმომავლობის ტოპონიმები ქართულში ხომ უამრავია: ვერხოვანი, თელოვანი, ვაშლოვანი და სხვ.

ამრიგად, როგორც ვხედავთ განსახილველი საკითხი მჭიდროდ უკავშირდება: ერთი მხრივ რეგიონის ავტოქტონური მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის პრობლემას; მეორე მხრივ კი იმ საენათმეცნიერო საკითხებს, თუ როდის და რა გზით გაჩნდა ალაზნის ველზე ჩრდილოკავკასიური თუ სხვა ენებიდან მომდინარე დასახელებები.

წინამდებარე სტატიას ვერ ექნება ამ მეტად რთული სამეცნიერო პრობლემების სრულყოფილი გაშუქების, მით უფრო მისი გადაწყვეტის პრეტენზია. ჩვენ მხოლოდ ყურადღებას ვამახვილებთ იორ-ალაზნის აუზში დამოწმებული რამოდენიმე ტოპონიმის ეტიმოლოგიაზე და წარმოვადგენთ ზოგიერთ ჩვენ დაკვირვებას. ამასთან არ მივდივართ კატეგორიულ დასკვნებამდე და მხოლოდ საკითხის დასმით შემოვიფარგლებით. გარდა ამისა, ვფიქრობთ, რომ არქეოლოგიური კვლევა-ძიების უახლესი შედეგები, საშუალებას გვამლევს ზემოთ ნახსენები ზოგიერთი პრობლემის სხვაგვარად გააზრების საკითხიც დაისვას.

ზემოთ აღინიშნა, რომ ალაზნის აუზში დასტურდება, როგორც ნახურ-დალესტურ-ალბანურიდან, ასევე ქართულიდან (უფრო კონკრეტულად აღმოსავლურ ქართულიდან) მომდინარე ტოპონიმები. მათ გვერდით კი, ჩვენი დაკვირვებით, წარმოდგენილია იმ რიგის ადგილთა დასახელებები, რომელთა ეტიმოლოგიის ახსნა, დასახელებულ ენათა მონაცემებით არ ხერხდება.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს ტოპონიმთა ერთი ჯგუფი, რომელთა ძირია - „ხორ“: ხორანთა, ხორნაბუჯი. ყველა მათგანის ძირია - „ხორ“ - „ხორი“, რომელიც არაფერს ნიშნავს თანამედროვე აღმოსავლურ ქართულში და ვერც ჩრდილოკავკასიურ ენებში მივაკვლიეთ მასთან მეტნაკლებად ახლოს მდგომ, რაიმე ტერმინს.

ხორანთა<sup>\*</sup>, შესაძლებელია დაიშალოს ამგვარად: ხორ-ან-თა. „ან“ - ნათესაობის აღმნიშვნელი ბოლოსართია ჭანურში; ხოლო - „თა“ კუთვნილების აღმნიშვნელი სუფიქსი ქართულში. მსგავსი სუფიქსით გაფორმებული ტოპონიმი ქართულში უამრავია: გურიანთა, უძილაურთა, მლეთა, მცხეთა და სხვ. „თა“ სუფიქსი რიგ შემთხვევებში ზანურსაც ახასიათებს, მაგ. „ზანათა“ სენაკის სანახებში.

როგორც ვხედავთ, „ხორანთას“ ძირია „ხორ“. ეს სიტყვა შემოგვინახა ზანურმა, სადაც მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. მეგრულში „ხორ“ - ფუძე, სახლის მცნებასაც გამოხატავს (ხორუა), აგრეთვე ფუძეა სახელწოდებებისა: ხორგიხურგი - იგივე საზღვარი; ხორუა - სახლობა, სახლ-კარი, სასახლე; ხორგილი - ხერგილი, ხერგის გროვა; ხორგიმი - ხერგის ღობე; ხორგული - ვაკე ადგილი მხარე.

სიტყვა „ხორ“ ჭანურში ნიშნავს ხარს (თანამედროვე მეგრულში ხარის აღმნიშვნელია „ხოჯი“).

ხორანთას ეტიმოლოგია, შესაძლოა დაგვეკავშირებინა მეგრულში შემონახულ ძირ „ხორ“ - თან (სახლი, სახლობა, სასახლე). ნაქალაქარის სახელწოდების ამგვარი ძირიდან წარმოშობა ერთი შეხედვით თითქოს ლოგიკური უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ ჭანურ „ხორ“-ს (ხარი). თუნდაც იმიტომ, რომ „ხორ-ან-თა“ გაფორმებულია იმავე ჭანური „ან“ ბოლოსართით. გარდა ამისა, ამგვარად წარმოებული ტოპონიმი დღესაც არის შემორჩენილი ჭანეთში - სოფელი ხორანი ართვინის პროვინციაში. ეს და-

\* ჰერეთის ძველი დედაქალაქი, რომლის მშენებლობას ქართული საისტორიო ტრადიცია ჰერთა ეთნარქ - ჰეროსს მიაწერს. ნაქალაქარი ლოკალიზებულია იორ-ალაზნის შუამდინარეთის უკიდურეს ქვემო წელზე, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე.

სახელებაც შეიძლება ამგვარად დაიშალოს: „ხორ“-„ან“-„ი“. ხორ - ძირი, „ან“ - ნათესაობის აღმნიშვნელი ბოლოსართი, „ი“ - ბრუნვის ნიშანი. როგორც ვხედავთ, ეს ტოპონიმი, ფაქტობრივად იმეორებს „ხორანთას“ ეტიმოლოგიას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელს დაერთვის სუფიქსი „თა“, რის გამოც შეკვეცილია ბრუნვის ნიშანი „ი“ (რაც ამგვარ შემთხვევებში ჩვეულებრივი მოვლენაა).

ასე, რომ ხორ-ან-თა-ს ეტიმოლოგია ამრიგად წარმოგვიდგება: სიტყვის ძირია ჭანური - „ხორ“ (ხარი), „ან“ - ნათესაობის აღმნიშვნელი ჭანური ბოლოსართი; „თა“ კუთვნილების აღმნიშვნელი ქართული სუფიქსი. საერთოდ, „ხორ“ ფუძიანი ტოპონიმები დამახასიათებელია, მთლიანად ქართველური ენების გავრცელების გეოგრაფიული არეალისათვის. მაგალითად: ზემოთ ხსენებული სოფელი ხორანი ართვინის პროვინციაში; ხორში სამეგრელოში (სენაკის მუნიციპალიტეტი). ხორხი აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინეთში და სხვ. ასე, რომ „ხორ“ - იდან წარმოებული ადგილთა დასახელებები მთლიანად ქართველური ტომების საცხოვრისში დასტურდება.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს ტოპონიმთა მეორე ჯგუფი, რომელშიც ფიგურირებს ტერმინი - „ზანი“: ოზანი, მუკუზანი, მირზანი, არტოზანი და სხვ. ამგვარი ტოპონიმები საქართველოს ტერიტორიაზე უამრავია: ზანავი - შიდა ქართლში, სამეგრელოში, ზუგდიდთან ზანა მდინარის სახელიც არის და სოფლისაც. სენაკთან არსებობს ტოპონიმი ზანათა და მდ. ზანას წყალი (ჯავახიშვილი, 1950, გვ. 43). აკად. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ მსგავსი დასახელებები წყლის ოდინდელი მნიშვნელობის კვალობაზე იყო წარმოქმნილი (ჯავახიშვილი, 1950, გვ. 54). თუმცა, აკ-

ად. ნ. ბერძენიშვილს მიაჩნდა, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ზან-ის შემცველი ტოპონიმები სატომო სახელ ზანს (ზანებს) უკავშირდება (ბერძენიშვილი, 1991, გვ. 467). ეს უკანასკნელი მოსაზრება ზოგიერთი ტოპონიმის წარმომავლობისათვის, ჩვენ მისაღებად მიგვაჩნია. მაგალითად, ცნობილი საზანო: „სა“ - ქართულიდან მომდინარე დანიშნულების (ხშირად კუთვნილების) გამომხატველი თავსართია (ჯავახიშვილი, 1950, გვ. 148), ხოლო ზან-ის სატომო სახელთან დაკავშირება წინააღმდეგობას არ უნდა აწყდებოდეს, რადგან ქართულში ამგვარად წარმოებული ადგილთა დასახელებები მრავლად გვაქვს: სა-თუშო, სა-ბერიო (იბერიო?) სა-ჯავახო, ბოლოს და ბოლოს სა-მცხე, რაც მესხთა სამოსახლო ადგილს ნიშნავს.

განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნა ის ფაქტი, რომ შინაარსობრივად „საზანოს“ ზუსტი შესატყვისი მოგვეპოვება დღევანდელ ქიზიყში (კამბეჩოვანი, ბერძნულ-რომაული წყაროების კამბისენე), სოფელი - ოზაანი. ცნობილია, რომ ქართულ თავსართ „სა“-ს თანასწორად ჭანურში გვხვდება თავსართი „ო“ (ჯავახიშვილი, 1950, გვ. 148). ამრიგად, თუ დასავლეთ საქართველოს „სა-ზანო“ ქართიზებული ფორმით არის წარმოდგენილი, იგივე საზანო (ო-ზაანი), კახეთში თავდაპირველი ფორმით არის შენარჩუნებული. გარდა განხილული ტოპონიმებისა, იორ-ალაზნის აუზში მრავლად მოიპოვება ადგილთა ისეთი დასახელებები, რომლებიც დასავლურ იერს ატარებენ. მაგალითად: ოჟიო, ჯუმას ყურე, კარდენახი და მდ. კარდიახის ხევი, მაჩხანი და სხვ.

რით უნდა აიხსნას საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ კუთხეში ამ ამკარად დასავლურ ქართული წარმომავლობის ტოპონიმთა არსებობა? ყვე-

ლაზე იოლი გზა ამ პრობლემის გადაწყვეტისა იქნებოდა ის, რომ გვევლინებოდა დროის რომელიღაც მონაკვეთში მეგრულ-ჭანების ინფილტრაცია ამ რეგიონში, მაგრამ, ამ მოსაზრების განვითარებას ის გარემოება ეღობება წინ, რომ არ მოგვეპოვება არანაირი მოწმობა, არც წერილობითი და არც არქეოლოგიური იმისა, რომ ოდესღაც ამგვარ მოვლენას ჰქონდა ადგილი. ჩვენ ვაყენებთ სამუშაო ჰიპოთეზას: ხომ არ შეიძლება ეს დასახელებანი წარმოქმნილი იყოს მაშინ, როდესაც ქართულ-ზანური ერთობა, ანდა უკიდურეს შემთხვევაში, ლექსიკასა და გრამატიკულ წყობაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი სიახლოვე არსებობდა? თუ ეს ასეა, მაშინ ცხადი უნდა იყოს, რომ უძველესი დროიდანვე ეს რეგიონი ქართველური ტომებით ყოფილა დასახლებული. სხვა შემთხვევაში, ვფიქრობთ, ვერაფრით ავხსნიდით აღნიშნული ტოპონიმის აქ არსებობას.

ქართველური ენების დიფერენციაციის შესახებ ენათმეცნიერებაში სხვა და სხვა მოსაზრება არსებობს. უფრო გავრცელებული აზრის მიხედვით, საერთო ქართველური, ფუძე ენიდან თავდაპირველად სვანური უნდა გამოცალკეებულიყო (გლოტოქრონული დათარიღებით, სავარაუდოდ ძვ.წ. III-II ათასწლეულები), ძვ.წ. II ათასწლეულში არსებობდა ქართულ-ზანური ერთობა, რომელიც ძვ.წ. I ათასწლეულის დამდეგს უნდა დაშლილიყო (მელიქიშვილი, 1970).

ბოლო ხანებში, ქართველურ ენათა დიფერენციაციის შესახებ განსხვავებული თეორია წამოაყენა უდროოდ გარდაცვლილმა მეცნიერმა, პროფ. მიხეილ ქურდიანმა. იგი ეჭვქვეშ აყენებდა გლოტოქრონული მეთოდით მიღებულ ზემოაღნიშნულ დათარიღებას და ფიქრობდა, რომ საერთო ქართველური, ფუ-

ძე ენის დიფერენცირება უნდა მომხდარიყო შემდეგი სახით: საერთოქართველურიდან ცალ-ცალკე უნდა გამოყოფილიყო ქართული და სვანურ-ზანური ერთობა, ხოლო ამ უკანასკნელის დაშლის შედეგად მიგველო სვანური და მეგრული (ქურდიანი, 2007, გვ. 127). ამრიგად, პროფ. ქურდიანის თეორიაში აღარ არის საუბარი ქართულ-ზანურ ერთობაზე, რაც თითქოსდა საფუძველს აცლის ჩვენს ჰიპოთეზას. მაგრამ, ამ ზანურ-სვანური ერთობის კონტექსტში საყურადღებო უნდა იყოს ჰიდრონიმი „ინწობა“. ეს დასახელება პირდაპირი გამეორებაა თანამედროვე სვანურში შემონახული ზმნისა „ენ-წობ-ე“, რაც მოწრუპვას, მოსრუტვას ნიშნავს (ქურდიანი, 2007, გვ. 957). მსგავსი დასახელების გაჩენა მდინარის აღსანიშნავად, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს მოულოდნელი. თუ კი გავიზიარებთ პროფ. ქურდიანის მოსაზრებას ქართველურ ენათა დიფერენციაციის შესახებ, ხომ არ შეიძლება განხილული ტოპონიმებისა (და ჰიდრონიმის) საერთოქართველურიდან წარმომავლობის საკითხიც დაისვას?

ამრიგად, იმისგან დამოუკიდებლად, როდის და რა სახით მოხდა საერთო ქართველური, ფუძე ენის დაშლა, ცხადი უნდა იყოს, რომ განხილული სახელები იორ-ალაზნის ორმდინარეთის ტოპონიმის უძველეს ფენას წარმოადგენენ, რომელთაც შემოუნახავთ ინფორმაცია ამ ქვეყნის ავტოქტონური მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის შესახებ... აქედან გამომდინარე საჭიროა, ამ კუთხით წარიმართოს ენათმეცნიერთა კვლევა-ძიება.

დასაწყისში აღინიშნა, რომ ზოგიერთი მკვლევარი მდ. ალაზნის სახელწოდებას, ალბანთა სატომო სახელს უკავ-

შირებდა და ამ საფუძველზე ალაზნის ველს ალბანური ტომებით დასახლებულ ოლქად განიხილავდა. ეს მოსაზრება, ჩვენ არამართებულად მიგვაჩნია. გარდა საკუთრივ კახეთის ბარის ალაზნისა, თუშეთში გვაქვს ამ დასახელების კიდევ ორი მდინარე - პირიქითის ალაზანი და თუშეთის ალაზანი. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ქართული წერილობითი წყაროები, ზოგჯერ მდ. იორსაც „მცირე ალაზნის“ სახელით მოიხსენიებენ. ასე, რომ ჰიდრონიმი ალაზანი ჩვენ წყლის, მდინარის, აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინიდან წარმოშობილი გვეგონია (ისევე როგორც არაგვი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში) და არ უნდა იყოს მართებული მისი დაკავშირება ალბანთა სატომო სახელთან.

რაც შეეხება ნახურ-დაღესტნურ-ალბანურ თუ სკვითურ სახელებს (რომლებსაც თავიანთი თეორიების დასაყრდენად იხდიდნენ ამ რეგიონის ისტორიული და ეთნიკური გეოგრაფიის მკვლე-ვარები), აშკარაა, რომ ესენი შედარებით გვიანდელი დანაშრევია. უახლეს არქეოლოგიურ გამოკვლევებზე დაყრდნობით, ვფიქრობთ შესაძლებელი ხდება განისაზღვროს კიდევ დრო, როდესაც აღნიშნულენოვანმა ტომებმა შეადწიეს იორ-ალაზნის ორმდინარეთში. დასაწყისში ვიტყვით, რომ ეს არ ყოფილა ერთიანი მოვლენა და სხვადასხვა ტომის, თუ ხალხის შემოსვლა ხორციელდებოდა რამოდენიმე ტალღად, რომლებმაც თავისი კვალი დატოვეს ამ რეგიონის მატერიალურ კულტურაში (და ალბათ ადგილთა დასახელებებშიც).

ბოლო დროს ჩვენს არქეოლოგიურ ლიტერატურაში (ფიცხელაური, 2014) ყურადღება მიექცა იმ სიახლეებს, რომლებიც უეცრად ჩნდება სამხრეთ კავკასიის შუაბრინჯაოს ხანის დასასრულ-

\* მდ. ალაზნის მარცხენა შენაკადი ყვარლის მუნიციპალიტეტში.

ლისა და გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის მატერიალურ კულტურაში. ამ სიახლეთა შემოსვლას უკავშირებენ ჩრდილოკავკასიის სტეპებში არსებული ე.წ. „კატაკომბური კულტურის“ გავლენას. კერძოდ, აკად. კ. ფიცხელაური ფიქრობს, რომ აღნიშნული კულტურის მატარებელი ტომები, ლითონის ნაწარმის მზარდი მოთხოვნის კვალდაკვალ ისწრაფვიან სამხრეთისაკენ, შემოდიან ამიერკავკასიაში და საბოლოო ჯამში ასიმილაციას განიცდიან ადგილობრივ მოსახლეობასთან. კატაკომბელთა ექსპანსიის კვალდაკვალ, ივარაუდება მათგან შევიწროვებული ვეინახური ტომების ჩამოსახლება (ფიცხელაური, 2014, გვ. 90). „კატაკომბელისა“ და ვეინახების ჩამოსახლების არეალში, სამხრეთ კავკასიის სხვა რეგიონთა შორის, რასაკვირველია იორ-ალაზნის ორმდინარეთიც იგულისხმება. ამ რეგიონის დამხვდური მოსახლეობის მატერიალურმა კულტურამ შეასრულა ერთგვარი სუბსტრატის როლი, თავის წიაღში მიიღო და შეითვისა გარკვეული ელემენტები შემოსული კულტურისა (ფიცხელაური, 2014). ამგვარი მოვლენა ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია ენობრივი თვალსაზრისითაც. მსგავს ენობრივ (ლექსიკურ) კონტაქტებზე, როგორც აღინიშნა ჯერ კიდევ აკად. გ. მელიქიშვილი ამახვილებდა ყურადღებას. მაგრამ, თუ მეცნიერისათვის იორ-ალაზნის ორმდინარეთის უძველესი მოსახლეობა ნახურ-დაღესტურენოვანი იყო და ქართულ ელემენტს აქ გვიანდელ შემოსულად თვლიდა, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით პირუკუსურათი გვაქვს.

ჩრდილოეთიდან წამოსული მეორე დიდი ტალღა, ცნობილია სკვითებისა და კიმერიელების ლაშქრობების სახით (ძვ.წ. VIII-VII სს). იორ-ალაზნის ორმდინარეთში შესწავლილი იმ დროის

პრაქტიკულად ყველა ნამოსახლარი სკვითური ისრისპირების მომხმარებელი მომხვდურისაგან ჩანს განადგურებული (ფიცხელაური, 2013). სკვითების ალაზნის ველზე ხანმოკლე ყოფნის ფაქტიც არქეოლოგიურად დადასტურებულია (მამაიაშვილი, 1980). მათ კვალს ადგილობრივ ტოპონიმკაშიც ვხვდებით, მაგალითად - „შირაქი“ - ველი ივრის ზეგნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (ივრისა და ალაზნის ქვემო დინებებს შორის). სკვითურ ტომ „სირაკებს“, იცნობს ჯერ კიდევ ჰეროდოტე. ვფიქრობთ არ ცდებოდა აკად. ივ. ჯავახიშვილი, როდესაც ამ ტოპონიმში სწორედ „სირაკების“ სატომო სახელს ხედავდა (ჯავახიშვილი, 1950).

იორ-ალაზნის ქვემო წელზე, ძვ.წ. I საუკუნეში უეცრად ჩნდება ე.წ. „იალო-ილუთეფეს კულტურა“, რომელიც ცალსახად ალბანური ტომების კუთვნილია (გაგოშიძე, 2007; Исмизаде, 1956; Тревер, 1959) ქართულ არქეოლოგიურ ლიტერატურაში იყო მცდელობა ეს კულტურა ამ რეგიონის ავტოქტონური მოსახლეობის (ჰერების) კუთვნილად მოეაზრებინათ (რამიშვილი, 1959), თუმცა ამ მიმართულებით კვლევამ ნაყოფი არ გამოიღო (ლორთქიფანიძე, 2014). უახლესი გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ ეს კულტურა იორ-ალაზნის ორმდინარეთის ქვემო წელზე იჭრება ალაზნის უკიდურესი ქვემო დინების მარცხენა (აღმოსავლეთი) სანაპიროდან - კავკასიის ალბანეთის ტერიტორიიდან (ლაღიაშვილი, 2013). ამასთან თავისი არსებობის (ძვ.წ. III-I სს) უკანასკნელ ეტაპზე (ძვ.წ. I ს.) (ლაღიაშვილი, 2013-ა). რაც ყველაზე მთავარია, მთელი ელინისტური ხანის განმავლობაში ჰერეთში არსებობს ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ავტოქტონური მატერიალური კულტურის საფუძველზე



წარმოქმნილი ადგილობრივი კულტურა, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს იალოილუთეფეს კულტურასთან (Пицхელაური, 1977). ახ.წ. I საუკუნეში, იორ-ალაზნის ორმდინარეთიდან იალოილუთეფეს კულტურა ისევე უეცრად გაქრა, როგორც გამოჩნდა (გაგოშიძე, 2007). ისე, რომ აქ მისი განვითარების არანაირი კვალი აღარ შეინიშნება. იალოილუთეფეს კულტურის ალაზნის ქვემო წელზე გამოჩენას, ალბანური ტომების ხანმოკლე ექსპანსიას უკავშირებენ. თუმცა, ახ.წ. I საუკუნიდან იორ-ალაზნის ორმდინარეთში მათი (იალოილუთეფეს კულტურის მატარებელი ეთნიკური ელემენტი) მოსახლეობის არანაირი კვალი აღარ შეინიშნება. ამრიგად, არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებენ იორ-ალაზნის ქვემო წელზე ალბანური ტომების შეჭრას, რაც შესაძლოა ასახულიყო კიდეც ადგილობრივ ტოპონიმიკაში\*. მაგრამ, როგორც ვნახეთ ეს არ არის არგუმენტი საიმისოდ, რომ იორ-ალაზნის ორმდინარეთის ავტოქტონური მოსახლეობის ალბანელობა ვამტკიცოთ.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი მსჯელობიდან ცხადი ხდება, რომ იორ-ალაზნის ორმდინარეთში, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ინფილტრაციას ჰქონდა ადგილი. აქედან გამომდინარე, მოულოდნელი აღარ უნდა იყოს ამ რეგიონში ნახურდალესტურ-ალბანური თუ სკვითური სახელების არსებობა. იმავე დროს, სავალდებულო არ არის ეს ფაქტი გავიხა-

დოთ ამოსავალ წერტილად ამ რეგიონის ავტოქტონური მოსახლეობის არაქართველობის სამტკიცებლად. რადგან, როგორც ზემოთ დავრწმუნდით იორ-ალაზნის ორმდინარეთის ტოპონიმიკაში იკვეთება ფენა, რომელიც წარმოქმნილია ქართველურ ენათა განვითარების უადრეს საფეხურზე. ეს ფაქტი კი რეგიონის ავტოქტონური მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის პრობლემის დასმისას, ქართველური ტომებისათვის მიგვაპყრობინებს ყურადღებას. მოტანილ მსჯელობას, როგორც დასაწყისშიც ითქვა, ვერ ექნება დასმული პრობლემების გადაწყვეტის პრეტენზია. აქ მხოლოდ ჩვენი ჰიპოთეტური მოსაზრებები გადმოვეცით. ხოლო, მათი გადაწყვეტის გზას, ენათმეცნიერული და არქეოლოგიური მონაცემების მონარჯვებით განხორციელებულ კომპლექსურ, სიღრმისეულ კვლევაში ვხედავთ.

\* იორ-ალაზნის ორმდინარეთში ჩვენ გვეგულება ერთადერთი ტოპონიმი, რომელიც უეჭველად ალბანური წარმომავლობისაა. ეს არის - კაბალი ლაგოდების მუნიციპალიტეტში. მსგავსი ტოპონიმი დადასტურებულია დღევანდელ აზერბაიჯანშიც, სადაც არსებობდა ასეთივე სახელწოდების ქალაქი („კაბალა“), რომელიც გარკვეულ ხანს კავკასიის ალბანეთის პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა.

### გამოყენებული ლიტერატურა

ბერძენიშვილი, ნ. (1990). *საქართველოს ისტორიის საკითხები*, თბილისი.

გაგომიძე, ი. (2007). *ქართლის სამეფოს (იბერიის) საზღვრები ქ. წ. I საუკუნეში*. იბერია-კოლხეთი №3, თბილისი.

ლაღიაშვილი, გ. (2013). *იალოილუთეფეს კულტურის გენეზისის პრობლემა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე*. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. №№ 1-2. თბილისი.

ლაღიაშვილი, გ. (2013). *აღაზნის ველზე გამოვლენილი იალოილუთეფეს კულტურის ძეგლების ქრონოლოგიის საკითხები*. „ონლაინარქეოლოგია“ №5. თბილისი. (იხ. [www.heritagesites.ge](http://www.heritagesites.ge)).

ლორთქიფანიძე, გ. (2014). *ქართული ანტიკური ხანის არქეოლოგიის ისტორიოგრაფია XX-XXI სს. მიჯნაზე*. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. №1 თბილისი.

მამაიაშვილი, ნ. (1980). *სკვითურ ინვენტარიანი სამარხები იორ-აღაზნის აუზიდან*. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, ტ. IV. თბილისი.

მელიქიშვილი, გ. (1970). *ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი*. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბ.

მელიქიშვილი, გ. (1965). *საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის*. თბილისი.

მუსხელიშვილი, დ. (1997). *ქიზიყის ძველი ისტორია*. თბილისი.

მუსხელიშვილი, დ. (1977). *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები*. თბილისი.

პაპუაშვილი, ნ., რაინესი, ი., კობი, კ. (2013). *კავკასიის აღმანეთის მთაწმინდალთა შესახებ*. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტი, არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. „კავკასიოლოგია III საერთაშორისო კონგრესის მასალები“. თბილისი.

რამიშვილი, რ. (1959). *კამარახევის სამაროვანი*. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. II. თბ.

რამიშვილი, რ. (1981). *მთისა და ბარის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი არაგვის ხეობის ახალი არქეოლოგიური მასალების მიხედვით*. კრებ. „ჭინვალის ექსპედიცია“ (მეორე სამეცნიერო სესიის მასალები). თბილისი.

ფიცხელაური, ვ. (2014). *სამხრეთ კავკასია და ჩრდილო-სტეპური სამყარო ძვ.წ. II-I ათასწლეულებში*. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 2. თბილისი.

ფიცხელაური, ვ. (2013). *სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ეთნოკულტურული სისტემა ბრინჯაო-რკინის ხანაში*. თბ.

ქურდიანი, მ. (2007). *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები*. თბ.

ჯავახიშვილი, ივ. (1950). *საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები*. თბ.

ჯავახიშვილი, ივ. (1937). *ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა*. ტფ.

Пицхелаури, К. (1977). *Памятники второй половины I тысячелетия до н. э. на территории Кахетии*. Советская археология. Москва.

Исмизаде, О. (1956). *Ялойлутепинская культура*. Баку.

Тревер, К. (1959). *Очерки по истории культуры Кавказской Албании (IV в. до н.э. - VII в. н.э.)* Изд-во Академия наук СССР. Москва- Ленинград.

## Some observations on the origin of the Iori-Alazani river basin Toponymics

*Lagiashvili Giorgi,  
The University of Georgia*

### Resume

The article discusses the etymology of some toponyms in the Ior-Alazani river basin (Hereti, the modern Kakheti of Georgian Historic Tradition). It is suggested that a number of toponyms should be formed at the early stage of differentiation of the Kartvelian languages. The author does not agree with the researchers who consider the tribes of the region as the North Caucasian or Albanian (Albania of the Caucasus). On the basis of analysis of archaeological material, it is shown that at different times, there were various ethnic streams in the territory of Hereti. For example: in XV-XIV centuries of old BC, in this region enters the ethnic stream living in the steppes of the North Caucasus, which eventually assimilates with the local population.


In VII-VI centuries of old BC, in Hereti enter Scythians and in I century of old B.C., on the lower zone of a river Alazani, the short expansion of Albanian tribes has a place. These ethnic flows, of course were leaving the trace in the topography of Hereti, but this circumstance does not provide the base for the fact that the autonomous population of the Iori-Alazani river basin should be considered as non-Georgian ethnos, because as it was mentioned above in the toponymic of this region there is a layer that comes from the Kartvelian linguistic world. Therefore, we should consider not only North Caucasian or Albanian but Georgian ethnic elements as the autonomous population of Hereti.

## კოლხურ სამაროვნებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ქალი მხედრების იკონოგრაფიის შესახებ

ვაჩაგე გვანცა,

არქეოლოგია/პალეოანთროპოლოგიის პროგრამის დოქტორანტი,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში კოლხური კულტურის გარესამყაროსთან ურთიერთობების კვლევისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კოლხურ კოლექტიურ სამარხებში აღმოჩენილ ქალი მხედრების ბრინჯაოს ქანდაკებებს (ტაბ. I). ნივთების ამ ჯგუფის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია კუნძულ სამოსზე, ჰერაიონში აღმოჩენილმა ცხენზე მჯდომარე ქალის ფიგურამ, რომელსაც ხელში ბავშვი უჭირავს და იკონოგრაფიულად პირდაპირ იმეორებს მუხურჩაში აღმოჩენილ ქალი მხედრის ფიგურას. ნივთების ეს ჯგუფი ინტერესს იწვევს როგორც კოლხეთის, ისე საბერძნეთის არქეოლოგიური მასალის მკვლევართა შორის (მიქელაძე, 1985, გვ. 62-64; ლორთქიფანიძე, 2002, გვ. 188-190; პაპუაშვილი, 2010, გვ. 46 - 58; Schweitzer, 1969, გვ. 193; Jantzen, 1972, გვ. 80 - 84; Heilmeyer, 1979, tab. 36, pic. 310; Voyatzis, 1990, გვ. 106-108, Licheli, 2008, გვ. 221 - 240). გარდა ბავშვიანი მხედრებისა, კოლხეთშიცა და საბერძნეთშიც აღმოჩენილია მხოლოდ ცხენოსან მხედართა ფიგურებიც. ამგვარად, ორ, საკმაოდ დაშორებულ რეგიონში არსებობს ერთი და იგივე ტიპის გამოსახულება, რომელიც ან ცალსახად მეორდება, ან მცირე ვარიაციებით არის წარმოდგენილი. იმის გასარკვევად, თუ რა გარემოებამ გამოიწვია კოლხეთში ამ იკონოგრაფიული სახის გაჩენა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის დადგენას, თუ რა იყო „მიღმა“.



ტაბ. I Tab.


ცხენზე გვერდულად მჯდომარე ბრინჯაოს ქალი მხედრები აღმოჩენილია იმ კოლექტიურ სამარხებში, რომლებიც რ. პაპუაშვილის კოლხურ სამაროვანთა ქრონოლოგიური კლასიფიკაციის შედეგად ძვ. წ. VIII საუკუნის მეორე ნახევარსა და ძვ. წ. VII საუკუნეში ექცევა (პაპუაშვილი, 2010ა, გვ. 42; პაპუაშვილი 2015, გვ. 24). ყველაზე დიდი რაოდენობით ეს ფიგურები აღმოჩენილია ცაიშის სამაროვანზე, რომლის პირველ სამარხულ კომპლექსში, ბრინ-

ჯაოს მცირე პლასტიკა წარმოდგენილია მხედარი ქალის სამი (ტაბ. I, 1, 2, 3), ხარის რვა და ვერძის სკულპტურული გამოსახულებით (პაპუაშვილი, 2015, გვ. 13, 15), მხედარი ქალისა და ცხოველის ქანდაკება აღმოჩნდა მუხურჩის ქვედა სამაროვანზე (ტაბ. I, 4) (Горадзе, 1977, გვ. 60–71), მხედარი ქალისა და სამი ხარის ფიგურაა მოპოვებული ერგეტას სამაროვნის მესამე სამარხში (ტაბ. I, 5) (Mikleadze, 1995, გვ. 15). და ბოლოს, მხედარი ქალის ძლიერ დაზიანებული ქანდაკება აღმოჩნდა მახვილაურში (ტაბ. I, 6) (კახიძე, 2016, გვ. 32).

ცხენზე ანფასში მჯდომარე, ბრინჯაოს მხედრის ფიგურა აღმოჩნდა საბერძნეთში - თეგეაში, ათენა ალეას ტაძარში, საკურთხეველის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ბრინჯაოსა და თიხის მასალას შორის (ტაბ. II, 1). მეორე ძეგლი, სადაც ნაპოვნია ცხენზე მჯდომარე მხედრის ორი ფიგურა, მდებარეობს არკადიაში, არტემიდეს საკურთხეველში, ლოუსოიში (ტაბ. II, 2,3). აქვე არის აღმოჩენილი ადრეული, ტერაკოტული ნიმუში მხედრისა, რომელიც ვიზუალურად ძალზე ახლოს დგას ბრინჯაოს მხედრებთან (ტაბ. II, 4) (Voyatzis, 1990, გვ. 103–104). ცნობილია ბრინჯაოს ცხენოსანი მხედრების ქანდაკებები ოლიმპიიდან (ტაბ. II, 5). და სამოსიდან (ტაბ. II, 6). ოლიმპიის მხედარი აღმოჩნდა სტადიონის მეორე, სამხრეთ კედელთან. სამოსში ცხენისა და მხედრის ფიგურა აღმოჩენილია ჰერას საკურთხეველში, ფართო სამსხვერპლოს სამხრეთ ნაწილში (Voyatzis, 1990, გვ. 105).

კოლხეთსა და საბერძნეთში აღმოჩენილი ფიგურების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ აშკარა პარალელი შეიძლება გავავლოთ, მხოლოდ სამოსსა და მუხურჩაში მოპოვებულ მხედართა ფიგურებს შორის, რომელთა მსგავსება, როგორც უკვე აღნიშნულია, ვლინდება

წვრილმან დეტალებშიც კი, როგორცაა სავარძლის ფორმა, მისი საზურგის შემკობა მრგვალი ფირფიტებით, მხრებზე ვერტიკალურად ჩამოშვებული შეკრული თმა და ა.შ. (პაპუაშვილი 2010, გვ. 51). რაც შეეხება სხვა ნივთებს, კოლხურ და ბერძნულ ცალებს შორის მსგავსება ნაკლებად იკითხება. კოლხური ფიგურები ბერძნული ვარიანტებისაგან ყოველთვის განსხვავდება: მხედრებს გამოსახული აქვთ ნაკვთები, ყელსაბამი, გვირგვინი ან თმა, ყველა შემთხვევაში ქალი ზის უნაგირზე, ცაიშის ბავშვიანი ქანდაკებებისა და ერგეტის მხედრის ცხენებს შემორჩენილი აქვთ აღკაზმულობის ნაშთი. მუხურჩისა და ცაიშის ორი ნიმუში წარმოდგენილია ბავშვითა და სასმისით ხელში. მახვილაურისა და ცაიშის მესამე ნიმუშს გამოსახული აქვთ მკერდი, რაც მათ მდედრობით სქესს უსვამს ხაზს.



ტაბ. II Tab.

დღეისათვის ცნობილ ბერძნულ ცხენოსან ფიგურებს შორის, დეტალების დამუშავებით, მხოლოდ სამოსური ქანდაკება გამოირჩევა. ყველა დანარჩენი ფიგურა შედარებით დაუდევრად არის მოდელირებული და არც ცალკეული დეტალების დამუშავების მხრივ გამოირჩევა. უკანასკნელ წლებში საბერძნეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს ცხენოსანთა ფიგურები შეისწავლა მ. ე. ვოიატზისმა. თეგურის ფიგურის მარტივი და ტლანქი გარეგნობა და ის ფაქტი, რომ თეგეაში არსებობს როგორც ცხენის, ასევე ადამიანის ლოკალური პარალელები, მ. ე. ვოიატზისის იმის დასტურად მიაჩნია, რომ აღნიშნული ნივთი ადგილობრივი წარმოებისა უნდა იყოს (Voyatzis, 1990, გვ. 104). არკადიაში აღმოჩენილი ორივე ფიგურა გამოსახულია უნაგირიან ცხენზე, ისინი ზოგადი სტილით გვანან ერთმანეთს, თუმცა მათ შორის სხვაობაა, მაგალითად ცხენის ფაფრის შემკულობასა და ხელების პოზიციაში. ამათგან ერთერთს დატანილი აქვს მკერდი. მსგავსად ამ უკანასკნელისა, ოლიმპიაში აღმოჩენილ მხედარს აქცენტირებული აქვს მკერდი და სახეზე სქემატური ნაკვთები აღენიშნება, იგი აღმოჩნდა სტადიონის მეორე, სამხრეთ კედელთან. ზოგადი ფორმებით ეს ნიმუში დასახელებულ სამ ფიგურას მეტნაკლებად ჰგავს. დაბოლოს, სამოსში, ჰერაიონში აღმოჩენილი მხედარი არის მაღალი ქალის ფიგურა, რომელიც ატარებს ყელსაბამს და ზურგს უკან გადაწეული თმა აქვს. ზის რა გულმოდგინედ დამუშავებულ უნაგირზე, მარცხენა მხარეს მკერდზე მიკრული ჰყავს ბავშვი. თუმცა, სამოსურსა და კავკასიურ/ლურისტანულ მასალას შორის მსგავსება ნამდვილად იკვეთება, ავტორს მიაჩნია, რომ სამოსური ნიმუშის ბერძნულ ეგზემპლარებთან

სტილისტური მსგავსებაც არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან (Voyatzis, 1990, გვ. 105).


საბერძნეთსა და კოლხეთში აღმოჩენილ ქალ მხედართა ბრინჯაოს ფიგურების ზოგადი ქრონოლოგიური ჩარჩო ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებითისაზღვრება. კოლხეთის არქეოლოგიურ მასალაში, ამ და წინარე პერიოდში ცხენოსანთა გამოსახულებები იშვიათად გვხვდება. მხედრის თითო-თითო ფიგურა დაცულია ბორჯომის, ცაგერისა და ზესტაფონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში, თუმცა მათი იკონოგრაფია, ადამიანთა ჯდომის მანერით, აბსოლიტურად განსხვავდება კოლხურ სამაროვნებში აღმოჩენილი მხედრებისაგან და სტილისტურად ცალკე ჯგუფში უნდა გაერთიანდეს.

ცხენზე გვერდულად მჯდომარე მხედრის ფიგურა დაცულია დაღესტნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, თუმცა მისი აღმოჩენის ადგილი და ვითარება უცნობია (Марковин, 1986, გვ. 96). ცხოველზე ანფასში მჯდომარე ფიგურების იკონოგრაფია უცხო არ ყოფილა არც აღმოსავლური სამყაროსათვის.

ისრაელის მუზეუმში დაცულია ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით დათარიღებული ცხენზე მჯდომარე ქალის ბრინჯაოს ფიგურა (ტაბ. III, 1), რომელიც გამოსახულია ანფასში. ამავე ჯგუფში ერთიანდება მამაკაცის გამოსახულება ცალ ხელში სასმისით (ტაბ. III, 2) და ორმაგპროტომიან ცხოველზე გვერდულად მჯდომი ორი ფიგურა (ტაბ. III, 3), რომლებსაც ერთმანეთზე ხელი აქვთ გადახვეული. ფიგურების ეს ჯგუფი პარალელს პოულობს ანალოგიური ტიპის იმ ფიგურებთან, რომლებიც ლურისტანის სამარხებშია აღმოჩენილი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ადამიანთა ფიგურები ცხენების მფარველ ღვთაებას განასახიერებდნენ. სხვა მო-

საზრებით, მათ სიმბოლიკას სიკვდილის შემდგომ სიცოცხლეს უკავშირებენ და მიიჩნევენ, რომ ან თავად მიცვალებულს განასახიერებდნენ, ან კი ღვთაებას, რომლის დანიშნულება უნდა ყოფილიყო მიცვალებულთა საბოლოო მოგზაურობის გაძღოლა მიღმიერ სამყაროში (Merhav 1981, გვ. 86-87). ცხენზე გვერდულად მჯდომი მხედრების ფიგურები, გვიან ბრინჯაოს ხანიდან, შემორჩენილია საბერძნეთში, კერძოდ, კრეტასა და კვიპროსზე. ტერაკოტული ფიგურების, გვიან ბრინჯაოს ხანით დათარიღებული, ჯგუფია აღმოჩენილი ფესტოსა და სილამოსში, სადაც ქალღვთაება წარმოდგენილია ცხენზე გვერდულად, ზეაპყრობილი ხელებით. ნივთები დაცულია ჰერაკლეონის მუზეუმში (ტაბ. III, 4) (Sakellarakis, 1981, გვ. 92), კრეტაზე აღმოჩენილი კრატერის მოხატულობაში გვხვდება ოთხფეხა ცხოველზე მოთავსებულ უნაგირზე მჯდომი ადამიანი. როგორც ირკვევა, აღმოსავლურ და კვიპროსულ ხელოვნებაში ეს იკონოგრაფიული სახე გამოიყენებოდა არა მხოლოდ ქალების, არამედ მამაკაცებისთვისაც. ძვ. წ. XIII საუკუნის დასაწყისში კვიპროსში აშკარად შეინიშნება ტრადიცია, უნაგირზე ამხედრებული მამაკაცების ანფასში გამოსახვის. ამათგან შეიძლება დავასახელოთ თიხის ცხენზე გვერდულად მჯდომი მამაკაცის ფიგურა, რომელიც დათარიღებულია ძვ. წ. 1100-1050 წლით (ტაბ. III, 5) (Papasteriou, 1985, Abb 28 – 37, Pic. 35). მოგვიანო ხანის ცხენისა და მხედრის ნიმუშები, რომლებიც ასევე გვერდზე მჯდომ პოზაში არიან წარმოდგენილნი, უმეტესად პელოპონესშია აღმოჩენილი. ისინი ტერაკოტულია და ძვ. წ. VII საუკუნით თარიღდება. სხვა პელოპონესური ნიმუშები ცნობილია სპარტადან, კორინთოდან, პერაკორადან. თითო ეგზემპლარი, პელო-

პონესის გარდა, მოპოვებულია ლესბოსსა და მეგარა ჰიბლეაში. გეომეტრიულ პერიოდში ცხენზე გვერდულად მჯდომი მხედრები მზადდებოდა კონკრეტულად საკურთხევლებზე მისაძღვნილად. როგორც ბრინჯაოს ხანის ფიგურების შემთხვევაში, გეომეტრიული ხანის ნიმუშები, როგორც ჩანს, ასევე რელიგიურ მნიშვნელობას ატარებდნენ ათენას, არტემიდესა და ჰერას საკურთხევლებში (Voyatzis, 1990, გვ.106-107).



ტაბ. III Tab.

ამრიგად, ვიღებთ შემდეგ სურათს: ცხენზე გვერდულად მჯდომარე ადამიანთა გამოსახულებები გავრცელებულია როგორც ბერძნულ, ისე აღმოსავლურ კულტურებში. სავარაუდოდ, ქალი ცხენოსნების ფორმები აღმოსავლური ან ეგვიპტური იკონოგრაფიიდან მოდის, რომელშიც მსგავსი გამოსახულებების დიდი ტრადიცია არსებობდა

და შეერია მინოსურ, ხოლო მოგვიანებით მიკენურ არტისტულ რეპერტუარს (Voyatzis, 1990, გვ. 106). კოლხეთსა და კავკასიაში ძვ. წ. VIII საუკუნემდე ამ სტილის იკონოგრაფია არ გვხვდება. შესაბამისად, ეს სახე კოლხეთში უნდა გაჩენილიყო გარე სამყაროსთან არსებული კონტაქტების გზით.

როგორც უკვე, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, მრავალგზის აღინიშნა, კუნძულ სამოსზე აღმოჩენილი მხედრის ფიგურა მოიაზრება კოლხურ ნაწარმად და დასტურია კოლხეთსა და საბერძნეთს შორის არსებული კონტაქტებისა, ჯერ კიდევ, კოლონიზაციამდელ პერიოდში. ამ იკონოგრაფიული სახის თავდაპირველი გამოჩენა კოლხეთში, კი დაკავშირებული უნდა იყოს ბერძნულ სამყაროსთან (Licheli 2012). რაც შეეხება ლურისტანის კულტურაში ძვ. წ. VIII – VII საუკუნეებში გავრცელებულ ცხენზე, ანფასში, მჯდომარე მხედართა ფიგურებს, სტილისტურად ისინი ნაკლებ საერთოს პოულობენ კოლხეთში აღმოჩენილ მხედართა ფიგურებთან. ლურისტანულ ნიმუშებზე ცხოველებს თავი მარცხნივ აქვთ გამოსახული, ხოლო პირსახის მოყვანილობით ისინი ხარს უფრო ჰგვანან, ვიდრე ცხენს. ამასთანავე, კოლხური ნიმუშებისაგან განსხვავებით, კომპოზიციაში არ გვხვდება უნაგირი. მიუხედავად ამისა, კოლხეთსა და ლურისტანში აღმოჩენილ ბრინჯაოს მხედრებს აქვთ ერთი, მნიშვნელოვანი მსგავსება, ორივე შემთხვევაში ისინი სამარხულ ინვენტარს წარმოადგენენ და ამდენად, შესაძლებელია მათ დანიშნულებაში გარკვეული იდეური თანხვედრაც იყოს. ამ პერიოდში კოლხეთისა და აღმოსავლურ სამყაროს შორის არსებული კონტაქტების დასტურად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ერგეტასა და დღვაბას კო-

ლექტიური სამარხების იმ ორმოებში, რომლებშიც აღმოჩენილია მხედართა გამოსახულებიანი ფიგურები, ნაპოვნია ე.წ. ახლოაღმოსავლური ტიპის სატევრებიც, ხოლო მზეთამზეს სამაროვანზე მოპოვებულ ბრინჯაოს სატევარს პირდაპირი პარალელი ლურისტანის არქეოლოგიურ მასალაში ეძებნება (Licheli, 2012).

გამომდინარე იქიდან, რომ საბერძნეთსა და კოლხეთში აღმოჩენილ მხედართა ფიგურებს სტილისტურად მეტი საერთო აქვთ, ვიდრე კოლხურ და ლურისტანულ ნიმუშებს, გამოსახულების ეს ტიპი კოლხეთში უნდა გაჩენილიყო, სწორედ, დასავლეთთან ურთიერთობის გზით, ისევე, როგორც ეს მოხდა ბრინჯაოს ფიგურებისა და ბრინჯაოს მცირე პლასტიკის შემთხვევაში, როგორებიცაა მაგალითად, ხარის ფიგურები თუ მეეტლის ქანდაკება მუხურჩიდან (ლორთქიფანიძე, 1999, გვ. 27).

კოლხურ სამაროვნებში აღმოჩენილი ქალი მხედრების ფიგურების რიგი თავისებურებების გამო, ჩანს, ამ „იკონოგრაფიული სახის“ გამოჩენისა და მისი სწრაფი ათვისების შემდეგ, ისინი იწარმოებოდა ადგილზე და საკულტო ნივთებს შორის თავიანთი განსაკუთრებული ადგილი ეკავათ ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების კოლხურ კულტურაში.



## გამოყენებული ლიტერატურა

- ელიავა, გ. (1987). *პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიური მასალა*. თბილისი.
- კახიძე, ა., მამულაძე, შ. (2016). *აჭარის არქეოლოგიური ძეგლები*. თბილისი.
- ლორთქიფანიძე, ო. (2002). *ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან*. თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მიქელაძე, თ. (1985). *კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები*. თბილისი. მეცნიერება.
- პაპუაშვილი, რ. (2010). *ანთროპომორფული გამოსახულებები ცაიშიდან, კულტურულ-საისტორიო ძიებანი*. თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- პაპუაშვილი, რ. (2010ა). კოლხურ სამაროვნანთა აბსოლუტური ქრონოლოგიისათვის. *არქეოლოგიური ჟურნალი № V*.
- პაპუაშვილი, რ. (2015). *ცაიშის სამაროვანი*. თბილისი.
- Гогодзе, М. (1977). “*Работы Носири-Мухурчцской экспедиции за 1974-1975 гг.*”, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები №5, თბილისი.
- Heilmeyer W. D. (1979). *Frühe Olympische bronzenfiguren, die tiervotive*. Berlin.
- Jantzen, U. (1972). *Aguptische und orientalische Bronzen aus dem Heraion von Samos*. Bonn.
- Licheli, V. (2008). *The bronze statuette of a Colchian horsewoman on Samos: Accident or design*, Pontika 2008, Resent research on the Northern and Eastern Black sea in ancient times. 2008.
- Licheli, V. (2012). *Ancient Colchis and intercultural relations*. Tbilisi.
- Марковин, В. И. (1984). *Культурная пластика Кавказа, Новое в археологии Северного Кавказа*. В собраниях гос. ермитажа. Москва.
- Mikeladze, T. (1995). „*Grosse kollektive grabgruben der frühen eisenzeit in Colchis*“. *Archäologischer Anzeiger*, Walter de Gruyter. Berlin.
- Merhav, R. (1981). *A Glimpse into the Past*. The Joseph Ternbach Collection, by Rivka Merhav et al, The Israel Museum. Jerusalem.
- Papasteriou, A. P. (1985). *Die bronzen tierfiguren aus kreta*. München.
- Sakellarakis, J. A. (1981). *PhD, Herakleion Museum, Illustrated guide to the museum, Ekdotike*. Athenon. S. A. Athens.
- Schweitzer, B. (1967). *Die Geometrischen kunst Griechenlands, Frühe formenwelt im Zeitalter Homers*. Cologne.
- Voyatzis, M. E. (1990). *The early sanctuary of Athena Alea at Tegea and other Archaic sanctuaries in Arcadia*. Göteborg. Paul Aströmos förlag .

## ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. 1,2,3 ცაიში 4. მუხურჩა 5. ერგეტა 6. მახვილაური.

ტაბ. II. 1. თეგა 2, 3, 4 ლუსოი 5. ოლიმპია 6. სამოსი.

ტაბ. III. 1,2,3 ჟოზეფ ტერნბახის კოლექცია 4. ჰერაკლეიონი 5. კვიპროსი.

## **For the iconography of women riders seating side saddled on a horse found in Colchian collective graves**

*Gvantsa Vachadze,*

*PhD student of Archaeology/Paleoantropology,*

*I. Javakhishvili Tbilisi State University*

Research of VIII-VII century Colchian culture and its interaction with surrounding civilizations is very much centered around the bronze statues of women, riding the horses; Given sculptures were mostly found in signature Colchian collective graves. Interest towards Colchian sculptures was triggered by the discovery of similar statue in Greece, in Herayon, Samos Island.

This type of iconography was not characteristic for Colchian culture, especially till VIII - th century BC. Hence, appearance of these statues is the result of import from outside, neighboring civilizations. Side seated raiders and their sculptures are characteristic for Greek and Eastern cultures. Side seated figurine of the woman can be seen in Museum of Israel (Jerusalem); VIII-VII century BC. figurine is made in bronze. Along with statue of men, with a cup in one hand, this group of statues have many analogies with ones recovered in burial places of Luristan. Besides, side seated horse rider sculptures of late bronze period are met in Greece, Crete and Cyprus. Terracotta figurines, also from late bronze period are discovered in Festos and Syllamos, where goddess is side seated on riding horse, with hands diverted to sky.

Lately, similar sculptures are mostly met in Pelopones archaeological fields.

When compared, Colchian figures are found to have more similarities with Greek items, than with ones discovered in Eastern lands. We can conclude that these patterns of sculptures were born in Colchis region, as a result of interaction with western civilizations. Story looks similar with appearance of bronze Fibulas and minor bronze items, Mukhurcha statues of bull or charioteer serve as an example. Items recovered in Lorestan are dissimilar, riders look stylistically different, but what they have common is their presence in burial places, seemingly having different outlines but maybe similar purpose. Unlike Colchis and Luristan nations, Greeks were using respective statues only inside altars for sacred rituals.

Statues of horse riding women recovered in Colchian culture have many unique details. After adopting the sculptures and integrating them into daily life, it seems Colchis soon introduced their own characteristic patterns of manufacturing the items, heavily influenced by the local past, and these statues finally found their honorable place in Colchian culture of VIII-VII centuries BC.

# სამშვილდე - ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“- ს მიხედვით

თვალაძე შოთა,  
ისტორიის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტი,  
საქართველოს უნივერსიტეტი

## შესავალი

საქართველოს უნივერსიტეტი ის სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც სამშვილდის ისტორიული ნაქალაქარის არქეოლოგიურ გათხრებს უკვე მეხუთე წელია აწარმოებს. უნივერსიტეტის სხვა სტუდენტების მსგავსად, მეც მქონდა შესაძლებლობა ამ სამუშაოებში, ჯერ კიდევ, 2012 წლიდან ჩავრთულიყავი. ამ დროიდან დღემდე ძეგლის ისტორიის შესახებ

მნიშვნელოვანი არქეოლოგიური სიახლეები დაგროვდა, რაც დაკავშირებულია ციტადელისა და სიონის მიმდებარე ტერიტორიის კვლევებთან. დღევანდელ ეტაპზე შესაძლებელია ამ ორი უბნის შესახებ ითქვას შემდეგი:

- **სამშვილდის ციტადელში**, ოთხივე თხრილში, კორდოვანი ფენის ქვეშ, 20-30 სმ სიღრმეზე მდებარეობს გვიანდელი შუასაუკუნეების კულტურული ფენა, რომელიც ამავე პერიოდის შენობანაგებობათა ნაშთებს შეიცავს. იგი წარ-



სურ. 1 Pic.

მოდგენილია ფლეთილი ქვით მოწყობილი „ქვაფენილითა“ და სხვადასხვა სიმძლავრის კედლებით. ამავე პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს №67 და №68 თხრილებში გამოვლენილი მარანიც, სადაც ჯერჯერობით სამი ქვევრი დაფიქსირდა (ბერიკაშვილი, გრიგოლია..., 2017, გვ. 8) (სურ. 1).

- გვიანდელი შუასაუკუნეების ფენასა და ნანგრევს, ოთხივე თხრილში, განვითარებული შუასაუკუნეების მძლავრი ფენა ენაცვლება, რომელიც თავის მხრივ სამ სამშენებლო ჰორიზონტსა (სათავსოების მოლესილიატაკის დონეები) და დონეს შეიცავს. ეს ფენა მიწის ზედაპირიდან 80-90 სმ სიღრმეზე იწყება და დღევანდელი მონაცემებით ყველაზე ღრმა ნიშნულამდე

- 2.40 მ-მდე ვრცელდება. 68-ე თხრილში იგი მძლავრი კულტურული ფენით, 69-ე თხრილში ქვიტკირის მძლავრი კედლითა და სათავსოთია წარმოდგენილი, რომლის ქვეშ წყალგაყვანილობის სისტემაა მოწყობილი (ბერიკაშვილი, გრიგოლია..., 2017, გვ. 8) (სურ. 2).

- 68-ე თხრილში გამოვლენილი დიდიფიცირებულ-მომრგვალებული ბაზალტის ლოდები და მათ დონეზე დაფიქსირებული მძლავრი კირის მოლესილობა, განვითარებულ შუასაუკუნეებში, სამშვილდის ციტადელში, დიდი ზომის ნაგებობის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. სტრატეგრაფიულად, სწორედ ამ დონის ქვეშაა მოქცეული სამეურნეო ორმოები, საიდანაც ბრინჯაოს ხანის კერამიკის შავპრი-



სურ. 2 Pic.

ალა ფრაგმენტები მომდინარეობს (ბერიკაშვილი, გრიგოლია..., 2017, გვ. 8) (სურ.3).

- სამეურნეო ორმოებიდან მომდინარე შავპირილა კერამიკა, რომელზეც წერტილოვანი ორნამენტებით სამკუთხედები და გეომეტრიული ფიგურებია გამოყვანილი, სამშვილდის კონცხის ტერიტორიაზე შუა საუკუნეებზე გაცილებით ადრეული კულტურის ფენების არსებობაზე მიუთითებს. შავპირილა კერამიკაში გამოირჩევა რამდენიმე ნატეხი, რომლებიც თითქმის იდ-

ენტურია თრიალეთისა და ზურტაკეტის ყორღანებში აღმოჩენილი შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკისა და მათი თარიღი ძვ.წ II ათასწლეულის პირველი ნახევრითაა განსაზღვრული (ჯაფარიძე, 1991, გვ. 11).

- განვითარებული შუასაუკუნეების მასალაში მნიშვნელოვანია კერამიკა, რომელშიც განირჩევა როგორც სამშენებლო ნაწარმი (კრამიტი), ისე საყოფაცხოვრებო ჭურჭელი. ეს უკანასკნელი მოჭიქული და სადა ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი, რომელთა შო-



სურ. 3 Pic.

\* აღნიშნული კერამიკის შესახებ საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის სპეციალობის სტუდენტმა ნ. გაბელიამ 2018 წელს დაიცვა საბაკალავრო ნაშრომი: “ბრინჯაოს ხანის კერამიკული მასალა სამშვილდის უახლესი გათხრებიდან“. მოწოდებული ინფორმაციისათვის მას მადლობას მოვასხენებ.

რის დამატარიღებელი მნიშვნელობა აქვს პოლიქრომულ კერამიკასა და თხელკედლიან, ჩალისფერ და კრემისფერ სასმისებს (სურ.4). აღსანიშნავია სარკმლის მინის ფრაგმენტები და გრეხილი მინის სამაჯურებიც. რკინის ლურსმნები, ლითონის მცირე ზომის

ზოდები და №60 თბილისის სათავსოში დაფიქსირებული კრისტალური სტრუქტურის მქონე სხვადასხვა ჯიშის ქვებისაგან შემდგარი განძი (ბერიკაშვილი, გრიგოლია..., 2017, გვ. 9).

• უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გათხრების მთელს ფართობზე დაღრმავებასთან ერთად ობსიდიანის ანამტვრევებისა და ანატკეცების რაოდენობა კლებულობს და 2.30-2.40 მ სიღრმეზე თითქმის აღარ გვხვდება. ეს მაშინ, როდესაც კორდოვანი ფენის ქვეშ, მიწის ზედაპირის სიახლოვეს მათი პროცენტული მაჩვენებელი თითქმის უტოდებოდა განვითარებული შუასაუკუნეების კერამიკის პროცენტულ მაჩვენებელს. ობსიდიანის ანამტვრევ-ანატკეცების რაოდენობის ასეთი კლება დაღრმავებასთან ერთად, შემდგომ დაკვირვებასა და ანალიზს მოითხოვს (ბერიკაშვილი, გრიგოლია..., 2017, გვ. 9).

• სიონის უბანზე, N8, N9 და O8 თხრილების კვლევამ კიდევ უფრო გაამყარა მოსაზრება სამშვილდის სიონის ტაძრის ჩრდილოეთით, მისი ფუნქციონირების პერიოდში საგანგებო, კირითა და თიხით მომზადებული „მოედნის“ არსებობის შესახებ. კვლავ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული „მოედანი“ ერთი მხრივ ბაზალტის უსწორმასწორო დედაქანის ზედაპირს ათანაბრებდა, მეორე მხრივ, კი ტაძრის მიმდებარე ტერიტორიას მნიშვნელოვნად აწესრიგებდა (ბერიკაშვილი, გრიგოლია..., 2017, გვ. 15).

• სიონის საკათედრო ტაძრის ჩრდილოეთით ინტენსიური ცხოვრების კვალი დასტურდება, რაც ასახულია აქ გამოვლენილ სამეურნეო ორმოებსა და მძლავრ კულტურულ ფენაში. სამეურნეო ორმოებიდან და კულტურული ფენიდან მომდინარე მასალა გვამღევეს



სურ. 4 Pic.

საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ნაქალაქარის ამ უბანზე სამი განსხვავებული ისტორიული პერიოდის - ქვის ხანის, ბრინჯაოს ეპოქისა და შუა საუკუნეების სხვადასხვა ფაზის უძრავი ფენების აღმოჩენაა მოსალოდნელი (ბერიკაშვილი, გრიგორია..., 2017, გვ 16).

● სიონის უბანზე, ტაძრის ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით შესწავლილი თხრილებიდან მომდინარე სამარხები სტრატოგრაფიულად გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება და შესაძლებელია, სამშვილდეში ერთ-ერთი შემოსევის დროს (ჯაჰან-შაჰის შემოსევა 1440 წ) დახოცილი სამშვილდელი მოქალაქეების სამარხებს წარმოადგენდეს (სურ.5). კვლევის ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ გვიანდელი შუასაუკუნეების სამშვილდის სამაროვანი სიონის საკა-

თედრო ტაძრის ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმდებარე ტერიტორიას მოიცავს და კვლევები სწორედ ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს, რათა დადგინდეს სამაროვნის გავრცელების საზღვრები და ამავე დროს, გამოვლინდეს მის ქვეშ განლაგებული კიდევ უფრო ადრეული პერიოდის ისტორიული ობიექტები (ბერიკაშვილი, გრიგორია..., 2017, გვ 16).

### ისტორიოგრაფიული მიმოხილვა

ქართული წერილობითი წყაროებიდან, სამშვილდის დაარსების შესახებ ცნობებს „ქართველთა ცხოვრება“ გვამლევს. წყაროს მიხედვით, ვიგებთ, რომ სამშვილდე ჯერ კიდევ ფარნავაზის ეპოქამდე, წარმოადგენდა მნიშვნელოვან ციხე-ქალაქს. „ცხოვრება ქართველ-



სურ. 5 Pic.

თა მეფეთასა პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“-ს მიხედვით ორბის ციხის მშენებლობა ქართლის დამაარსებელ ქართლოსს უკავშირდება:

„ამანვე ქართლოს აღაშენა ციხე ორბისა, რომელსა აწ ჰქვიან სამშვილდე“ (ყაუხჩიშვილი, 1955, გვ. 8).

ქართლოსის გარდაცვალების შემდეგ, მისი მეუღლე ორბის ციხეს ამღევს უმცროს ვაჟს - გაჩიოსს:

„გაჩიოსს მისცა ორბის ციხე და სკვირეთის მდინართგან ვიდრე თავადმდე აბოცისა“ (ყაუხჩიშვილი, 1955, გვ. 9).

ხაზარების შემოსვლისას სამშვილდე ერთ-ერთი ციხე-ქალაქია, რომლის აღება ვერ მოხერხდა:

„ვერ წინააღუდგეს თარგამოსიანნი, რამეთუ იყო სიმრავლე ურიცხვი ხაზართა, წარტყუნენს ქვეყანა თარგამოსიანთა, და შემუსრნეს ყოველნი ქალაქნი არარატისანი და მასისანი და ჩრდილოსანი. და დაურჩეს ციხე-ქალაქნი თუხარისი, სამშვილდე და მტურის-ციხე, რომელ არს ხუნანი, შიდა-ქართლი და ეგრისი“ (ყაუხჩიშვილი, 1955, გვ. 12).

ფარნავაზის დროს ქვეყნის ადმინისტრაციულად მოწყობისას დაარსდა სამშვილდის საერისთავო:

„მოთხე გაგ ზავნა სამშვილდის ერისთავად, და მისცა სკვირეთისა მდინართგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი“ (ყაუხჩიშვილი, 1955, გვ. 24).

ფარნავაზის ვაჟის - საურმაგის დროს, სამშვილდის საერისთავოს პატრონი მისი სიძე მირვან ნებროთიანი (იგივე აქემენიანი) ხდება:

„და მისცა გაჩიანი თვისი ასული ცოლად, ქალაქი და საერისთავო სამშვილდისა“ (ყაუხჩიშვილი, 1955, გვ. 27).

\* სწორი ფორმა აბოცისა არის აშოცი, რაც ძველმა სომხურმა ისტორიოგრაფიამ შემოგვინახა. ქართულში აბოცი ნუსხური „შ“ და „ბ“ ფონემების აღრევის შედეგად წარმოიშვა.

ძვ. წ I საუკუნეში სამშვილდე კვლავ სამეფო ოჯახის საკუთრებაა, ქართლის რიგით მესამე არტაშესიანი მეფის, ბარტამის“ სიკვდილის შემდეგ, მირვან II-მ (ქართლის მეფის ფარნაჯომის ვაჟმა) ძალით გამოიყვანა ბარტამის ცოლი სამშვილდედან და შეირთო ცოლად. III საუკუნეში, ამაზასპის დროს, მოიხსენიება სამშვილდის ერისთავი. ოსეთთან ომის აღწერისას მემატანე ჩამოთვლის ერისთავებს, რომლებიც მივიდნენ ამაზასპის დასახმარებლად და მათ შორისაა „ერისთავი სამშვილდისა“.

„მაშინ ამაზასპ მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისათა. და მოვიდეს ერისთავნი აღმოსავლისანი: ერისთავი კახეთისა, ერისთავი ხუნანისა, ერისთავი სამშვილდისა“ (ყაუხჩიშვილი, 1955, გვ. 33).

სამშვილდეში იმყოფებოდა მირიანის მომავალი მეუღლე, ქართლის მეფის ასული აბემურა“ სანამ ის მირიანს მისთხოვდებოდა (ყაუხჩიშვილი, 1955, გვ. 64).

„ქართველთა ცხოვრებიდანვე“, რომელიც ამ შემთხვევაში ჩვენთვის ერ-

\*\* ბარტამი იყო რიგით მეშვიდე ქართლის მეფე და მესამე არტაშესიანთა საგვარეულოდან. „ქართველთა ცხოვრება“, სომხური წერილობითი წყაროების მსგავსად სომხეთის მეფის არტაშესის მემკვიდრეებს არშაკუნიანებს უწოდება. რეალურად არშაკუნიანები დამკვიდრდნენ სომხეთში ახ. წ. 63 წლიდან, რაც შეეხება სომხეთის სამეფო საგვარეულოს „არშაკუნიანებამდე ისინი, როგორც არტაშესის მემკვიდრეები არტაშესიანებად უნდა მოვიხსენიოთ. არტაშესიანები მართავდნენ სომხეთს ძვ.წ 190 წლიდან. ამ საგვარეულოს პირველი წარმომადგენელი იყო არტაშეს I. სწორედ მისი ვაჟი დამკვიდრდა ქართლში ფარნაჯომის მოკვლის შემდეგაც (სანამ, 2016, გვ. 154. ).

\*\*\* აბემურა „ქართველთა ცხოვრებაში“, მცდარად, გამოყვანილია ასფაგურის ასულად, სინამდვილეში ის უნდა ყოფილიყო ამაზასპ II-ის ასული. ამ საკითხზე, უფრო დაწვრილებით, იხილეთ სანამ, მ. (2016). „ქართლის მეფეებისა და პატრიკიოსების ქრონოლოგია“. წიგნი III. გვ. 233.



თადერთი წყაროა, ვგებულობთ, რომ ქართლის მეფემ ბაკურ I მირიანის ძემ თავის სიმეს (დის ქმარს) რანის პიტიახშს ფეროზს გაუცვალა ქვეყანა - რანი თვითონ დაიჭირა, ხოლო ფეროზი სამშვილდეში დასვა. რის შემდეგაც ფეროზი და მთელი მისი სახლი გაქრისტიანდა.

ასე ჩამოყალიბდა ქართლის საპიტიახშო, ცენტრით სამშვილდეში და ქართლის პიტიახშების, ფეროზიანების საგვარეულო, თუმცა ამ ქართლის პიტიახშებს „ქართველთა ცხოვრება“ კვლავაც ერისთავებად მოიხსენიებს.

ქართლის მეფის ვარაზ-ბაკურის ვაჟს ფარსმანს, რომელიც მას ჰყავდა მეორე ცოლისაგან (ეს ქალი ფეროზიანთა საგვარეულოს ეკუთვნოდა) ზრდიდა მისი პაპა (დედის მამა) სამშვილდის ერისთავი, უფრო ზუსტები ვიქნებით თუ მას პიტიახშს ვუწოდებთ :

*„ხოლო მესამესა შვილსა, მეორისა ცოლისასა, ზრდიდა ერისთავი სამშვილდისა, რომელსა სახელი ერქუა ფარსმან“* (ყაუხჩიშვილი, 1955, გვ. 137).

მიუხედავად იმისა, რომ სამშვილდე მთელი ისტორიის განმავლობაში მნიშვნელოვან ციხე-ქალაქად გვევლინება, V ს-ის 60-იანი წლების დასაწყისში მისი მნიშვნელოვნების ზრდის თვალსაზრისით კიდევ ერთი ეტაპი შეიძლება გამოვყოთ. მართლაც, თუ აქამდე სამშვილდის ციხეში პერიოდულად მეფის ცოლები და ასულები აფარებდნენ თავს, ხოლო შემდეგ აქ მირიანის სიმე (ასულის ქმარი) ფეროზიანი პიტიახში მკვიდრდება, მეფე არჩილ I-ის მმართველობის (433-463/4 წწ.) ბოლო მონაკვეთში, მისი ვაჟის მირდატის რანის პიტიახშის ასულზე საგდუხტზე\* დაქორწინების შემდეგ, სამშვილდე ტახ-

ტის მემკვიდრე-უფლისწულის სატახტო ქალაქად იქცევა. ვახტანგ გორგასლის პაპამ, მეფე არჩილმა თავის ერთადერთ ვაჟს და ტახტის მემკვიდრეს მირდატს და მის მეუღლე საგდუხტს „მისცა . . . სამშვილდე ... საერისთაოთა მისითა და მუნ დასხდნენ მირდატ და საგდუხტ“ (ყაუხჩიშვილი, 1955, გვ. 142).

ვახტანგ გორგასლის დედამ, საგდუხტმა, რომელმაც მიიღო ქრისტიანობა, სამშვილდეში ააგო ეკლესია - სამშვილდის სიონი:

*„მაშინ საგდუხტ გულისხმაყო და იცნა ჭემშარიტი, დაუტევა ცეცხლის მსახურება, ნათელ იღო და იქმნა მორწმუნე. და მან აღაშენა სიონი სამშვილდისა“* (ყაუხჩიშვილი, 1955, გვ. 142).

ვახტანგ გორგასლის დროს, ცნობილია სამშვილდის ერისთავის, უფრო ზუსტად პიტიახშის სახელი - ადარნასე (ყაუხჩიშვილი, 1955, გვ. 185).

VI-VII სს-შიც სამშვილდე ქართლის პიტიახშთა ხელშია. VIII ს-ის II ნახევრის სამშვილდის სიონის სამშენებლო-ექტიტორული წარწერის (780 წ.) მიხედვით მისი მამშენებლები იყვნენ ვარაზ-ბაკურ და იოანე - “ნათესავით პიტიახშნი”, რაც პიტიახშთა შთამომავლებს, პიტიახშთა საგვარეულოსადმი კუთვნილებას ნიშნავს.

IX ს-ის ბოლოდან ძველი სამშვილდის, იგივე ქართლის საპიტიახშოს სომეხი ბაგრატუნები ეუფლებიან. სამშვილდე მათი სატახტო ქალაქი ხდება, რის გამოც, ისინი ქართულ წყაროებში „სამშვილდარებადაც“ მოიხსენიებიან. 1065 წელს ბაგრატ IV-მ სამშვილდე წართვა კვირიკე სომეხთა მეფეს:

*„სთხოვა სამშვილდე და არა მოსცეს, რამეთუ ერთი ძმა მათი ადარნასე შესრულ იყო სამშვილდეს. ხოლო მიიყვანეს სამშვილდეს და ამართეს ძელი, და გასუეს სომეხთა მეფე კვირიკე სამდე: ითხოვეს მშვიდობა და მოსცეს სამ-*

\* სახელი საგდუხტი საჰაკის ასულს ნიშნავს. ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 494; სანაძე, 2016, გვ. 304.

შვილდე“ (ყაუხჩიშვილი, 1955, გვ. 307). გიორგი II დროს მალიქ-შაჰმა, ქართველი დიდებულის ივანე ლიპარიტის ძის ღალატის მეოხებით სამშვილდე დაიკავა:

„და მოვიდა სულტანი მალიქ-შა ... მიაგება ივანე ძე მისი ლიპარიტ წინა, შეიწყნარა სულტანსა, და დაყო მის თანა მცირედი ხანი, და გამოეპარა. და მოვიდა სულტანი, და მოადგა სამშვილდესა, და წარულო სამშვილდე და ტყუე იქმნა ივანე თავითა, ცოლითა და შვილისშვილითა, და ყოველთა აზნაურთა დედაწულითა, და დაიჭირა სამშვილდე სულტანმან“ (ყაუხჩიშვილი, 1955, გვ. 316-317).

დავით აღმაშენებელმა სამშვილდე გაათავისუფლა 1110 წელს და ამის შემდეგ ის ბოლომდე ქართველთა გამგებლობაშია:

„მას ჟამსა მეფე გარდავიდა იმერეთს; და შეკრბეს გიორგი ჭყონდიდელსა და მწიგნობართუხუცესსა წინაშე თევდორე, აბულეთი და ივანე ორბელი, და სიმარჯვით მოიპარეს სამშვილდე“ (ყაუხჩიშვილი, 1955, გვ. 331).

1440 წ. ჯაჰან შაჰის შემოსევისას, 11000 სამშვილდელი მოქალაქე დახოცეს. რამაც ეს მძლავრი ციხე-ქალაქი საგრძნობლად დაასუსტა. ერთ ხანს ეს სამეფო ციხე-ქალაქი ბარათაშვილთა სათავადოს პროვინციულ ცენტრად იქცა. XVI ს-ის 70-იან წლებში თურქების შემოსევების შემდეგ, სამშვილდემ, როგორც ქალაქმა, არსებობა შეწყვიტა, თუმცა ციხე ერთ ხანს კვლავაც ინარჩუნებდა თავის მნიშვნელობას - 1748 წელს სამშვილდის ციხეს ერეკლე II ფლობს. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, სამშვილდის ციხემ თავისი მნიშვნელობა დაკარგა. ის თანდათან დაცარიელდა და XIX ს-ის დასაწყისიდან ნაქალაქარად გადაიქცა.

ახლა საგანგებოდ განვიხილოთ სა-

კითხი იყო, თუ არა სამშვილდე დედა-ციხე. „ქართველთა ცხოვრების“ ს. ყაუხჩიშვილისეულ გამოცემაში ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაპყრობილი ქართლის ქალაქების ჩამონათვალში სამშვილდე დედა-ციხედ მოიხსენიება:

„შემდგომად ამისსა განძლიერდა ალექსანდრე... და აღმოვიდა ქუეყანასა ქართლისასა. და პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა-ქართლ... და რუსთავი, და დედა-ციხე სამშვილდე, და მტურის-ციხე, რომელ არს ხუნანი, და კახეთისა ქალაქნი“ (ყაუხჩიშვილი, 1955, გვ. 17-18).

რაც ტექსტის არასწორად ინტერპრეტირების შედეგად მცდარად დასმული მძიმის ბრალია. სინამდვილეში აღნიშნული ტექსტი შემდეგნაირად უნდა იყოს წაკითხული:

„შემდგომად ამისსა განძლიერდა ალექსანდრე... და აღმოვიდა ქუეყანასა ქართლისასა. და პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა-ქართლ... და რუსთავი და დედა-ციხე, სამშვილდე და მტურის-ციხე, რომელ არს ხუნანი, და კახეთისა ქალაქნი“.

ტექსტი რომ მართლაც ასე უნდა გავიგოთ, ამას „ქართველთა ცხოვრების“ ბოლო, 2008 წლის გამოცემაც მოწმობს, სადაც აღნიშნული ადგილი ზემოთმოყვანილის მსგავსად ჩასწორდა (ქრ. ცხ., 2008, გვ. 37).

მართლაც სამშვილდე და დედა-ციხე სულ სხვადასხვა ციხეებია და მათი აღრევა დაუშვებელია. ამ ორ ციხეს დამაარსებლებიც კი სხვადასხვა ჰყავთ. „ქართველთა ცხოვრების“ მიხედვით სამშვილდეს ქართლოსი აარსებს: „შემდგომად ამისსა ამან-ვე ქართლოს აღაშენა ციხე ორბისა, რომელსა აწ ჰქვან სამშვილდე“; იმ დროს, როდესაც დედა-ციხის მშენებლობა ქართლოსის მეუღლეს უკავშირდება - „და შემდგომად ამისსა ცოლმან მისმან აღაშენა დედა-

ციხე, და მან-ვე აღაშენა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვან რუსთავი“ (ყაუხჩიშვილი, 1955. გვ. 8).

ქართლოსის გარადაცვალების შემდგომ, „ქართველთა ცხოვრებისე“ თანახმად, ორბის, ანუ სამშვილდის ციხის პატრონი ხდება მისი ვაჟი გაჩიოსი\_ „ხოლო გაჩიოსს მისცა ორბის ციხე და სკვრეთის მდინართგან ვიდრე თავადმდე აზოციას“ (ყაუხჩიშვილი, 1955. გვ. 9). დედა-ციხე კი კახოსთან (გაჩიოსის ძმასთან) მოიხსენიება - „რამეთუ დედაციხე კახოსის ხუედრი იყო“ (ყაუხჩიშვილი, 1955. გვ. 8).

დედა ციხე, ყოველთვის რუსთავთან ერთად მოიხსენიება, რაც აშკარას ხდის, რომ ის სწორედ რუსთავის დედა-ციხე იყო. რუსთავი კუხეთის ცენტრალური ქალაქი იყო. იმის გათვალისწინებით, რომ „ქართველთა ცხოვრებაში“ დაცული ლეგენდის თანხმად, კახოსის კუთვნილი დედა-ციხე ამ უკანასკნელს კუხოსისათვის გადაუცია, ეს ციხე რუსთავის სიახლოვეს კახეთ-კუხეთის საზღვარზეა საგულვეტელი.

„ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორის, არაგვთგან ვიდრე ტყეებადმდე, რომელი არს საზღვარი ჰერეთისა. და ამან კახოს აღაშენა ჩელეთი; კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა“ (ყაუხჩიშვილი, 1955. გვ. 9).

ლეგენდის თანხმად, როდესაც კახოსი იწყებს ჩელეთის ციხის მშენებლობას და მას დახმარებას უწევს მისი ძმა კუხოსი, დახმარებისათვის კახოსი დედა-ციხეს აძლევს კუხოსს\_ „და ამან კახოს აღაშენა ჩელეთი; კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა. რამეთუ დედაციხე კახოსის ხუედრი იყო. და მისცა კახოს შეეწენისათვის და შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რომელსა ბერ ერქვა პირველ შენებულსა კახეთისასა“ (ყაუხჩიშვილი, 1955. გვ. 9).

ლეგენდაში კარგად იკვეთება ის ტე-

რიტორიული დავა, რომელსაც ადგილი ჰქონდა VI-VIII სს-ში ორ ფეოდალურ სამფლობელოს - კახეთსა და კუხეთს შორის. დავის საგანი ყოფილა დედა-ციხე, ანუ, თუ ვის ეკუთვნოდა ის. აშკარაა, რომ დედა ციხე მნიშვნელოვან ციხეს წარმოადგენდა და თანაც კახეთისა და კუხეთის საზღვარზე მდებარეობდა. უფრო მეტიც, დედა-ციხე, სავარაუდოდ, კახეთის ტერიტორიაზე იდგა, ყოველ შემთხვევაში იმ კახეთის, როგორსაც მოიაზრებდნენ ამ ფეოდალური სამფლობელოს თანამედროვეები - VI-VIII სს-ის მცხოვრებლები, თუმცა ისიც აშკარაა, რომ ციხე სწორედ რუსთავს ეკუთვნოდა, მისი დედა-ციხე იყო, რუსთავი კი კუხეთის ცენტრალურ ციხე-ქალაქს წარმოადგენდა. ასე გახდა საჭირო ლეგენდა, რომელიც ახსნიდა, როგორ აღმოჩნდა დედა-ციხე კუხეთის ხელში. ლეგენდამ ასახვა ჰპოვა „ქართველთა ცხოვრების“ შესავალ მოთხრობაში - „ცხოვრება ქართველთა მეფეთასა პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, რომელსაც მოკლედ „მამათა ცხოვრება“ შეიძლება ვუწოდოთ. ლეგენდაში საუბარია იმაზე, თუ რატომ იქცა კახეთის ტერიტორიაზე მდგარი დედა-ციხე კუხეთის კუთვნილად. მემატიანემ ამ საკითხს „მამათა ცხოვრებაში“ შესაფერისი ახსნა მოუძებნა: კახოსი აშენებდა ჩელეთს, მისი ძმა კუხეთი კი მოეხმარა ჩელეთის შენებაში, ამიტომაც კახოსმა მადლობის ნიშნად გა-

\* „ქართველთა ცხოვრების“ შესავალი მოთხრობა „ცხოვრება ქართველთა მეფეთასა პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ XI ს-ში შექმნილი კომპილაციური ხასიათის თხზულებაა, რომლის ბირთვი შეადგინა ძველმა სომხურმა გენეალოგიურმა თხზულებამ თარგამოსსა და ჰაოსზე (ჰაიკზე) და VI-VIII სს-ში შექმნილმა ქართულმა გენეალოგიურმა თხზულებამ თარგამოსსა და მის შვიდ ვაჟზე (ქართლოსზე, ბარდოსზე, მოვაკანზე, ჰეროსზე, ეგროსზე, ლევანსა და კავკასზე). დაწვრილებით იხ. სანაძე, 2016, გვ. 39-83.

დასცა მას დედა-ციხე. ამგვარად დავაც ამოიწურა - რალა იყო სადავო, როდესაც ეს საკითხი ჯერ კიდევ წინაპრებს - კახეთსა და კუხეთს გადაეწყვიტათ.

### დასკვნა

ახალი არქეოლოგიური მონაცემებისა და სხვა და სხვა წერილობითი წყაროების გათვალისწინებით, ნაშრომში შევეცადეთ თავი მოგვეყარა ყველა იმ ინფორმაციისათვის, რომელიც ასახულია „ქართველთა ცხოვრება“-ში და ეხება ისტორიულ ციხე-ქალაქ სამშვილდეს. ჩვენი ინტერესის საგანი, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით ის ცნობები იყო, რომლებიც ეხება მისი არსებობის ადრეული შუა საუკუნეების პერიოდს. ამ ინფორმაციების კვლევისას აშკარა ხდება, რომ დედა-ციხე იყო არა სამშვილდის, არამედ ციხე-ქალაქ რუსთავის დამცავი ციხე, რის დამტკიცებასაც შევეცადეთ წარმოდგენილ ნაშრომში.

### გამოყენებული ლიტერატურა

ბერიკაშვილი, დ., გრიგოლია, გ., ყვავაძე, ელ., Meuller-Bieniek, A. Coupal, I. (2017). საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის 2017 წლის ანგარიში. (ხელნაწერი) თბილისი.

„ქართლის ცხოვრება“. (2008). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია, საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი მერიდიანი, არტანუჯი. თბილისი.

სანაძე, მ. (2016). „ქართლის მეფეებისა და პატრიკიოსების ქრონოლოგია“. წიგნი III. თბილისი. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

„ქართლის ცხოვრება“ (1955). სიმონ

ყაუხჩიშვილის რედაქტორობით. ტომი I. თბილისი.

ჯაფარიძე, ოთ. (1991). „საქართველოს არქეოლოგია“ (ქვისა და ბრინჯაოს ხანა). თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

### ტაბულების აღწერილობა

1. სამშვილდის ციტადელი. №67 და №68 თხრილებში გამოვლენილი სათავსო - მარანი.

2. №69 თხრილის სათავსოში გამოვლენილი წყალსადენის სისტემის მონაკვეთი.

3. შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკის ფრაგმენტი.

4. მოჭიქული ჯამი - XII-XIII სს.

5. სიონის უბანი. O8 თხრილი; სამარხი №2.

## Samshvilde-“the life of Georgian kings and forefathers and their family” by Leonti Mroveli

*Tvaladze Shota,*

*The student of the histori. The school of Art and Humanities of the University of Georgia*

### Summary

The article addresses a significant issue - location of Deda-tsikhe (Mother-Fortress) mentioned in “The Georgian Chronicles”. According to researches it appears that it is possible that Deda-tsikhe may be not Samshvilde and should be searched somewhere else. Samshvilde and Deda-tsikhe are absolutely different fortresses and it is inadmissible to mix them. Even the founders of these two fortresses are different. According to “The Life of Georgians”, Samshvilde was founded by Kartlos: “After that Kartlos built the fortress Orbi, which is now called Samshvilde”, during the time when the construction of Deda-tsikhe was associated with the wife of Kartlos, “After that his wife built Deda-tsikhe. She also built Bostan-kalaki, which is now called Rustavi”.

According to “The Life of Georgians”, after the death of Kartlos, his son Gachios became the master of the fortress Orbi, i.e. Samshvilde - “To Gachios she gave Orbis-tsikhe, the land from the river of Sk’vireti to the borders of Abotsi”. As for Deda-tsikhe, it is mentioned with Kakhos (brother of Gachios) – “though Deda-tsikhe belonged to K’akhos”.

Deda-tsikhe is always mentioned together with Rustavi which makes it clear that it was the mother-fortress of Rustavi. Rustavi was the central city of Kukheti. Considering that according to the legend provided in “The Life of Georgians”, Deda-tsikhe belonging to Kakhos was given

by the latter to Kukhos, it is thought that this fortress must be located near Rustavi, at the border of Kakheti-Kukheti.

“To K’akhos she gave the land between the Caucasus and the mountains of K’akheti, from the river Aragvi to the river T’q’et’ba, which is a border of Hereti. K’akhos built Cheleti, and K’ukhos helped him”.

According to the legend, when Kakhos started building Cheleti fortress and his brother Kukhos helped him, Kakhos gave Deda-tsikhe to Kukhos for his help – “K’akhos built Cheleti, and K’ukhos helped him. That is why, though Deda-tsikhe belonged to K’akhos, the latter gave it to K’ukhos as a token of his gratitude for his aid in the development of Cheleti, which, being the first in K’akheti, was given the name Ber”.

The territorial dispute between two feudal estates – Kakheti and Kukheti in VI-VIII centuries is clearly seen from the legend. The subject of the dispute was Deda-tsikhe, i.e. to whom it belonged. It is clear that Deda-tsikhe represented a significant fortress and it was located at the border of Kakheti and Kukheti. Moreover, presumably, Deda-tsikhe was located on the territory of Kakheti, in any case in Kakheti as it was considered by the contemporaries of this feudal estate – residents of VI-VIII centuries, however, it is also clear that the fortress belonged to Rustavi, was its mother-fortress, and Rustavi was the central city of Kukheti. Therefore, it became necessary to have a legend which

would explain how Deda-tsikhe appeared in the hands of Kukheti. The legend was reflected in the introductory story of “The Life of Georgians” – “History of the Kings and Patriarchs of the Georgians” which may be briefly called “The Life of Patriarchs”. The legend provides a narration of why Deda-tsikhe located on the territory of Kakheti became owned by Kukheti. The chronicler found an adequate explanation of this issue in “The Life of Patriarchs”: Kakheti built Cheleti and his brother Kukheti helped him in construction. That’s why, Kakheti gave Deda-tsikhe to Kukheti as a token of gratitude. Thus, the dispute was finished – there was nothing to dispute about – this issue had already been resolved by the ancestors – Kakheti and Kukheti.

### Illustrations

1. Samshvilde Citadel, the Cellar in the trenches №67 and №68.
2. The water supply system fragment inside the Citadel walls. Trench №69.
3. The Black pottery fragment of the middle Bronze Age.
4. Glazed bowl of the 12-13 cc. A.D.
5. Sioni section. O8 trench, grave №2.

## ნეოლითური ქვის ინდუსტრია სამშვილდედან

გრიგოლია გურამი,  
პროფესორ-ემერიტუსი,  
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბერიკაშვილი დავითი,  
სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, პროფესორი,  
საქართველოს უნივერსიტეტი

### შესავალი

სამშვილდე კავკასიის ისტორიულ ქალაქთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია. მისი მდებარეობა ისტორიულ ქვემო ქართლში, აბრეშუმის გზის ჩრდილოეთ განშტოების სიახლოვეს, თავიდანვე ხელს უწყობდა მის სწრაფ ეკონომიკურ და პოლიტიკურ აღმავლობას. უშუალოდ კონცხი, რომელზეც ქალაქი ყოფილა გაშენებული მდინარეების ხრამისა და ჭივჭავას ხერთვისთან მდებარეობს და 150-200 მ სიმაღლის ბაზალტოვანი განშრევეებისაგან წარმოქმნილ კლდოვან მასივს წარმოადგენს (სურ.1). აქ ადამიანის აქ-

ტიურობის კვალი უძველესი დროიდან ფიქსირდება, რაც საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ფაქტობრივად, დაადასტურა (ბერიკაშვილი, გრიგოლია, ბუხსიანიძე, გაბუნია, ოდილავაძე, ქებულაძე, 2015-2016).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 2016 წლის საველე სეზონი, როდესაც გათხრები ნაქალაქარის მთავარ საფორთიფიკაციო ნაგებობის - ციტადელის ეზოში და სიონის საკათედრო ტაძრის სიახლოვეს - „სიონის უბანზე“ მიმდინარეობდა. ამ უკანასკნელზე, განვითარებული და გვიანი შუა საუკუნე-



სურ. 1 Pic.

ების არქეოლოგიური ფენების ქვეშ, მიწის ზედაპირიდან 0.80-1.0 მ სიღრმეზე თავი იჩინა ბაზალტოვანმა დედაქანმა, რომლის ბუნებრივ ჩაღრმავებებსა და შუა საუკუნეების დროინდელ „სამეურნეო ორმოებში“ (სურ.2) ობსიდიანის, კაჟისა და არგილიტის იარაღები აღმოჩნდა. თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ეს მასალა არ განეკუთვნებოდა შუა საუკუნეებს და როგორც კულტურულად, ისე ქრონოლოგიურად განსხვავებულ კონტექსტს მიეკუთვნებოდა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სიონის უბნის იმ მონაკვეთებზე (თხრილი N8 და თხრილი O17), სადაც კლდოვანი დედაქანი ბოლომდე გაშიშვლდა, შუა საუკუნეების კულტურ-

წინამდებარე ნაშრომის მიზანი სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2015-2016 წლებში მოპოვებული ქვის ნამზადი იარაღის პუბლიკაცია და სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანაა. მიუხედავად იმისა, რომ მასალა რაოდენობრივად მცირეა, იგი მაინც უაღრესად მნიშვნელოვანია და წარმოდგენებს სამშვილდის ისტორიაზე მნიშვნელოვნად ცვლის.

### სამშვილდის ქვის ინდუსტრია

როგორც შესავალში იყო აღნიშნული, 2016 წელს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ სამშვილდეში, „სიონის უბანზე“, წარმოებულმა არქეოლოგიურმა



სურ. 2 Pic.

რულ ფენაზე ადრეული უძრავი შრეები არ დადასტურებულა. თუმცა, ქვის არქაული მასალის აქ აღმოჩენა სამშვილდის კონცხზე ასეთი ფენების არსებობაზე უნდა მიუთითებდეს.

გათხრებმა შუა საუკუნეების ხანის ძეგლებთან ერთად სრულიად ახალი მასალა გამოავლინა, რაც სამშვილდის ტერიტორიაზე პრეისტორიული ხანის ადამიანის ნაკვალევის არსებობას ადასტურებს.




როგორც აღმოჩენილი მასალის სტატისტიკამ გვიჩვენა, კოლქციაში ჭარბობს ობსიდიანის ინდუსტრია, რომელიც წარმოდგენილია შავი ფერის გაუმჭვირვალე და ნახევრად გამჭვირვალე ქანებით. მათ შორის, იშვიათად გვხვდება ყავისფერმარდვიანი ნიმუშებიც და თითო-ოროლა რქეულასა, თუ კაჟის იარაღ-ანატკეცები.


უნდა ითქვას, რომ მოპოვებული მასალის ნიშანდობლივი თავისებურებაა, როგორც პირველადი დამუშავება - ანუ ქვის ატკეცვის, ისე მეორადი დამუშავების - რეტუშირების დაბალი დონე, რაც ქვის ხანის მოგვიანო ძეგლების დამახასიათებელი თავისებურებაა.

მასალის უდიდესი ნაწილი წარმოდგენილია მოკლე, ფართო, შემთხვევითი ფორმის ანატკეც-ანამტვრევებით. მათი უმეტესობის ერთ-ერთი მასიური გვერდი, გარკვეულ მონაკვეთზე, ციცაბო რეტუშით არის გაფორმებული, რომელიც დამახასიათებელია საფხეკ-სახოკი იარაღებისათვის. ამ ნიმუშების მოპირდაპირე თხელი, ფხიანი გვერდი საჭრელ-საკვეთი დანის დანიშნულებით უნდა ეხმარათ, რასაც მოწმობს ამ მონაკვეთზე წარმოქმნილი მცირე ზომის ჩანატეხები (ტაბ. I. 5, 6). ასეთი ანატკეცების ნაწილი ე.წ. ზურგიან დანებს ემსგავსებიან, რომელთა ერთი ნაწილის სიგრძივი გვერდი გადამტვრეულია და დანის ყუა, ანუ ხმარებისათვის მოსახერხებელი თითის საყრდენი სიბრტყეა შექმნილი (ტაბ. I. 1, 2, 3, 4, 7). ორ შემთხვევაში დანის ასეთ ყუას კაჭრის ბუნებრივი ქერქი ფარავს.

სამშვილდის ნამზადების ჯგუფში შედის სამი ლამელა, რომელთა შორის ორი მთელი ნიმუშია (ტაბ. II. 6, 7), (სურ. 3, 4). ერთს თავი აკლია (ტაბ. II. 1), (სურ. 5), ხოლო ოთხი თავბოლოო წატეხილი ლამელების სწორკუთხა ნიმუ-



ტაბ. I Tab.



ტაბ. II Tab.

შებია (ტაბ. II. 2, 3, 4, 5). ყველა მათგანს ეტყობა გამოყენების ნიშნები. განსაკუთრებით ინტენსიურად არის გაფორმებული ერთი სწორკუთხა მოყვანილობის სამფერდა ლამელა, რომლის

ორივე სიგრძივი გვერდი, ზედა და ქვედა სიბრტყიდან დაკბილულ-ამოღარულია (ტაბ.II. 7). ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი დამოუკიდებელი იარაღია და დანა-საფხეკის სახით შეიძლება ეხმარათ.



სურ. 3 Pic.



სურ. 4 Pic.



სურ. 5 Pic.

რაც შეეხება ლამელის სწორკუთხა ნატეხებს, სავარაუდოა, ისენი შედგენილი იარაღის ნაწილებს წარმოადგენდნენ, რასაც მოწმობს მათ კიდეებზე ხმალების შედეგად წარმოქმნილი ჩანატეხები, მაშინ, როცა მეორადი გაფორმებარეტუშირების ნიშნები არ შეინიშნება.

სამშვილდის ქვის ნაკეთობათა კომპლექსში რვა ერთეულის სახით არის წარმოდგენილი ქვის ხანის ძეგლებსათვის დამახასიათებელი ისეთი ძირითადი სამეურნეო იარაღი, როგორცაა ბოლო რეტუშირებული საფხეკი. აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანი, ერთი გამონაკლისის გარდა, უხეშ ანატკეც-ანამტვრევზეა ჩამოყალიბებული და ყველა მათგანის რეტუშირებული სამუშაო მონაკვეთი იარაღის ბოლოშია მოწყობილი.

როგორც უკვე ითქვა, ბოლორეტუშირებული საფხეკისათვის დამახასიათებელია ტიპობრივი ფორმა მხოლოდ ორ იარაღს გააჩნია. ერთ-ერთი მათგანი ლამელისებურ ანატკეცზეა გაფორმებული, რომლის ბოლო უხეში რეტუშირით არის გაფორმებული და იგი პირამოლარულ იარაღთა კატეგორიას

განეკუთვნება (ტაბ.III. 3), (სურ.6). ამავე კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ კიდევ ერთი, საშუალო ზომის ანატკეცზე გაფორმებული იარაღი, რომლის ერთ-ერთი გვერდი ციცაბო რეტუმით არის ამოღარული (ტაბ.III. 4). გამო-რიცხული არ არის, რომ ეს ნიმუში რომელიმე გატეხილი იარაღის ნაწილსაც წარმოადგენდეს.




სურ. 6 Pic.

კოლექციაში შემავალი საფხევი ტიპის იარაღებიდან, პირის გაფორმების მიხედვით ერთი სწორპირაა (ტაბ.III. 7), (სურ.7), სამი პირმორკალული (ტაბ.III. 2, 5, 6) და ორიც ირიბრეტუმირებულ პირიან იარაღად შეიძლება ჩაითვალოს (ტაბ.III. 1, 8). ეს ორი უკანასკნელი გალელულ ნუკლეუსზე და ნუკლეუსისებურ ანატკეცზეა გაფორმებული, რომლის მასიური დარტყმის სიბრტყე დამატებით არის ატკეცილი. დამუშავების ასეთი ხერხი სამშვილდის ქვის მასალების დამახასიათებელ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს. გალელული ნუკლეუსების საფხეკების ნამზადებად გამოყენების ფაქტები ხშირად დასტურდება წოფის ენეოლითური ხანის ქვის

ინდუსტრიაშიც (ნეზიერიძე, 2010 გვ. 21; ტაბ. X. 10).



სურ. 7 Pic.




ტაბ. III Tab.

ამა თუ იმ ტიპის დასრულებული სახის ნუკლეუსები სამშვილდის კოლექციაში, ამჯერად, არ გვხვდება, რაც შეიძლება მასალის სიმცირით გამოწვეულ შემთხვევითობას მიეწეროს. არც ის არის გამორიცხული, რომ საიარაღ ნედლეულის პირველადი გადამუშავება ქანების მოპოვების ადგილზევე ხდებოდა. თუმცა, ასეთის დაშვების შესაძლებლობას გამორიცხავს კოლექციაში შემავალ ნაკეთობათა მნიშვნელოვანი ნაწილის ზედაპირზე შემორჩენილი კაჭრის ბუნებრივქერქიანი ნამზადების არსებობა. მოპოვებული მასალების ზედაპირზე შემორჩენილი კაჭრის ქერქის თავისებური ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ სამშვილდის ქვის ინდუსტრიისათვის საჭირო მასალების მოპოვება ხდებოდა მდინარეების ხრამისა და ჭივჭავის ხეობებში, სადაც თავმოყრილია წალკა-თრიალეთის ობსიდიანის ბუდობებიდან მდინარის მიერ ჩამოტანილი ქვის ნატეხები, ნაგორები ქვარგვალეების სახით. ერთ-ერთი ასეთი ობსიდიანის პატარა ნიმუში სამშვილდის კოლექციაშიც არის შემორჩენილი, დამახასიათებელი ფოროვანი ბუნებრივი ქერქით (ტაბ.IV. 8).

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით საგულისხმოა კომპლექსში შემავალი ერთი ფანქრისებური ნუკლეუსის მსგავსი ნიმუშის აღმოჩენა, რომელსაც თავბოლო წაწვეტებული აქვს და შესაძლოა ბურღისებური იარაღის მსგავსად სახვრეტი დანიშნულებით ეხმარათ (ტაბ.IV. 7), (სურ.8).

ბურღისებური სახვრეტი იარაღები ოთხი ერთეულის სახით არის აღმოჩენილი სამშვილდეში, რომელთა შორის ორის საბურღი შვერილი ანატკეცის ქვედა სიბრტყიდან არის გაფორმებული უხეში რეტუმით (ტაბ. V. 4, 6). დანარჩენი ორი იარაღი უფრო მცირე ზომის ანატკეცს წარმოადგენს, რომლებსაც ფაქიზი

რეტუმით გამოყვანილი სახვრეტი შვერილი აქვთ (ტაბ.V. 5, 7) (სურ.9,10).




ტაბ. IV Tab.



სურ. 8 Pic.

შრომითი იარაღები საჭრისების სახით, კომპლექსში სამი ერთეულის სახით არის წარმოდგენილი. ორი მათგანი კიდურა მარტივი საჭრისია (ტაბ.V. 1,3). რომელთაგან ერთს, სასაჭრისე ან-

ატკეცების გარდა, ერთ-ერთი სიგრძივი გვერდი და სასაჭრისე წახნაგის მოპირდაპირე ბოლო ციცაბო რეტუშით აქვს დაბლაგვებული. ყოველივე ეს კი მოწმობს, რომ ამ შემთხვევაში დუბლირებულ იარაღთან, საჭრის-საფხეკთან უნდა გვქონდეს საქმე (ტაბ.V. 1). ასევე



ტაბ. V Tab.

დუბლირებულ იარაღად შეიძლება მივიჩნიოთ ამ ჯგუფში შემავალი მესამე იარაღი, რომელიც, პირველ რიგში, ტიპური შუალა საჭრისია. იგი გაფორმებულია საშუალო ზომის ანატკეცზე, რომლის ბოლოში გარდი-გარდმო დარტყმებით, თითო ანატკეცის ჩამოცილების შედეგად, გვერდების შეხვედრის წერტილში სასაჭრისე წახნაგია წარმოქმნილი (ტაბ.V. 2) (სურ.11). იარაღის მოპირდაპირეფართონაწილის კიდეები სანახევროდ კაჭრის ქერქით არის დაფარული, ხოლო ნაწილი ციცაბოდაა რეტუშირებული, რაც საფხეკებისათვის არის ნიშანდობლივი. ე.ი. ეს იარაღიც კომბინირებულია და საჭრის-საფხეკი

დანიშნულებით უნდა ეხმარათ. როგორც განხილული მაგალითიდან დავინახეთ სამშვილდის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, საძიებო სამუშაოების ჩატარების შედეგად მოპოვებულია ქვის მასალის საყურადღებო კომპლექსი, რომელიც წარმოდგენილია შრომითი საქმიანობისათვის ცნობილი ტიპური იარაღებით: საფხეკებით, საჭრისებით, სახვრეტებით, ბურღებით, დანებით, ზურგიანი დანებით და სხვ. ბუნებრივია, ეს მასალები საშუალებას იძლევა წინასწარ გამოითქვას ვარაუდი ძეგლის თარიღის, გენეტიკური კავშირებისა და კულტურული რაობის შესახებ.



სურ. 9 Pic.



სურ. 10 Pic.

სამშვილდის ძეგლის თარიღზე და სხვა თეორიულ საკითხებზე გამოთქმულ ვარაუდებს, ქვის მასალის ზოგად მახასიათებლებთან ერთად, მეტ დამაჯერებლობას მატებს და განსაკუთრებით საყურადღებოა, კომპლექსში შემავალი დასრულებული სახის ცალკეული იარაღები, რომლის ანალოგიები შედარებით უფრო შეზღუდული ქრონოლოგიური ჩარჩოების მქონე ძეგლებიდან არის ცნობილი.

მელის ერთ-ერთი განივი გვერდი, რაც გვაფიქრებინებს, რომ იარაღი, ხის ან ძვლის ბუდეში ჩამაგრებული უნდა ეხმარათ განივი გვერდის რეტუმირება, ტარში ჩამაგრებული მეორე, ანალოგიურ, იარაღთან უკეთ მორგებას უნდა ემსახურებოდეს (ტაბ. IV. 4), (სურ. 12.1, 2). ალბათ ასეთივე მიზნით არის ნაკარნახები ნამგლის მეორე, სიგრძივი, გვერდის ფხისმიმცემი ანატკეცებით დამუშავება.



სურ. 11 Pic.

სამშვილდის ცაკლეული აღმოჩენებიდან მრავალმხრივ საყურადღებოა კაჟის ერთი ნამგლისპირი. იარაღის დასამზადებლად გამოყენებულია სწორკუთხა მოყვანილობის, თხელი, ქვედა სიბრტყისკენ ოდნავ მოხრილი ღია ფერის, ორფერდა ლამელა, რომლის ერთ-ერთ, სიგრძივ გვერდზე დამრეცი რეტუმით ოთხი კბილია გამოყვანილი. ეს იარაღი, არსებითად, ზურგიდან არის დამუშავებული, ქვედა სიბრტყეზე კი რეტუმში მხოლოდ ნამგლის კბილების გაფორმების მიზნითაა გამოყენებული და ვიწრო ზოლად დაუყვება იარაღის კიდეს. გარდა ამისა, ქვედა სიბრტყიდან ფაქიზი რეტუმითაა გაფორმებული ლა-



სურ. 12.1 Pic.



სურ. 12.2 Pic.

დაკბილული ნამგლის პირები ჩნდება მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვისთანავე (ნებიერიძე, 2010, გვ. 85) და ტიპურ იარაღს წარმოადგენს ე.წ. ნეოლითური ხანის საფეხურის ყველა ძეგლისათვის, როგორც არის ხუცუბანი, აპიანჩა, ჩხორთოლი, ხორში, ღუმურიში, ოდიში, მიწისციხე და სხვ. მაგრამ რამდენადაც მათ არ გააჩნიათ ჩასართის დახვეწილი ფორმა, მას მარტივად დაკბილულ იარაღებს უწოდებენ, თუმცა არ გამორიცხავენ ასეთი იარაღების სამიწადმოქმედო საქმიანობაში გამოყენების შესაძლებლობას ნამგლის დანიშნულებით (აფხაზეთის უძველესი მატერიალური კულტურა, 2013, ტაბ. XXXVII 5-21).

სამშვილდის მსგავსი დაკბილული ორი ნამგლის ჩასართი აღმოჩენილია წოფის ნამოსახლარზე (Корошкова, Есакия, 1979, стр. 59), რომლებიც „სამკელი“ მოხრილი იარაღის ტარში ჩასამაგრებლად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი (ნებიერიძე, 2010, გვ. 58; ტაბ. II. 1,15). ლამარა ნებიერიძის ვარაუდით წოფში მოხინადრე მიწადმოქმედი მოსახლეობის ქვის ინდუსტრიაში უკვე ისახება ნამგლების უფრო განვითარებული ფორმები (ნებიერიძე, 2010, გვ. 58; ტაბ. II. 1,15), დაახლოებით ისეთი იარაღები, როგორც სამშვილდის ნამგლის პირია.

სამშვილდის ნამგლის პირი მზა ნაკეთობათა ერთ-ერთი ის სახეობაა, რომელიც წოფი-სიონის კულტურის ძეგლებს დასავლეთ საქართველოს სამყაროსთან აკავშირებს (ნებიერიძე, 2010, გვ. 87; ტაბ. II. 1,15). ჩვენი იარაღი, როგორც ფორმით, ისე რეტუშირების ტექნიკით აშკარად განსხვავდება ადრე ბრინჯაოს ხანიდან განვრცელებულ ორმხრივდამუშავებული, ოვალური, განივკვეთიანი, დიდი ზომის ნამგლის პირებისგან და ნეოლითური ე.წ. დაკ-

ბილულ იარაღებსა და გვიანდელ (ადრე ბრინჯაოს) ნამგლის პირებს შორის გარდამავალ სახეობას უნდა წარმოადგენდეს.

რამდენადაც წოფის ნამოსახლარი როგორც ტერიტორიულად, ისე კულტურულად სამშვილდის უახლოესი ძეგლია, მისი ანალოგიური მონაპოვრები პირველ რიგშია გასათვალისწინებელი ჩვენთვის, მით უმეტეს ქრონოლოგიურ საკითხებზე მსჯელობისას (ნებიერიძე, 2010, გვ. 87; ტაბ. II. 1,15).

სამშვილდის კომპლექსში შემავალი ორიგინალური ნაკეთობაა ობსიდიანის ორფერდა, სწორკუთხა მოყვანილობის დანისებური ლამელა, რომლის თავბოლო სწორხაზოვნად არის გადამტვრეული. იარაღის ზედაპირის ერთი ფერდი მთლიანად, ხოლო მეორე ნაწილობრივ არის გაფორმებული მცოცავი რეტუშით, ხოლო სიგრძივ კიდეებს დაუყვება ხმარების შედეგად წარმოქმნილი წვრილი ჩანატეხები (ტაბ. IV. 3), (სურ. 13). როგორც ცნობილია, ასეთი იარაღები ნამგლის ჩასართებად არის მიჩნეული ე.წ. შულავერ-შომუთეფეს კულტურის ძეგლებისთვის.



სურ. 13 Pic.

ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა სიონის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ანალოგიური მასალები, რომელთაგან ოთხი ნიმუშის ზურგი, სამშვილდის იარაღის მსგავსად დამუშავებულია მცოცავი, წნეებით რეტუშით (მენაბდე, კილურაძე, 1981, გვ. 18-26; ნახ. 4). სიონის ნამოსახლარის პირველი შემსწავლელი თამაზ კილურაძე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ხსენებული ჩასართების ერთ-ერთ ნიმუშზე, რომელსაც იგი შომუთეფეს ტიპის ნაკეთობად მიიჩნევს და გვიანი ნეოლითური ხანით ათარიღებს (მენაბდე, კილურაძე, 1981, გვ. 18-22). მცოცავი რეტუშის გამოყენების არაერთი ფაქტია დადასტურებული საქართველოს და ჩრდილო კავკასიის ნეოლითური ხანის ისეთ ძეგლებზე, როგორცაა: სოსრუკოს გამოქვაბულის M3 ფენა (ჩრდ. კავკასია) (Замятнин, Акритас, 1959, ст. 445), პალურის „ჭირსუკის“ (სამეგრელო) ნეოლითური მასალები (გრიგოლია, 1977), სელო და ჯერმუხის (შიდა ქართლი) ნამოსახლარები (კალანდაძე, 1952, გვ. 8-9) და სხვ. ქვის ხანის მასალების მეორადი დამუშავების პროცესში ანალოგიური ტექნიკური ხერხების გამოყენების ერთეული შემთხვევები არ შეიძლება ამა თუ იმ ძეგლის გვიანდელი ასაკის მანიშნებლად მივიჩნიოთ. რასაკვირველია, შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს ე.წ. „ბედენის კულტურის“ ძეგლებში დადასტურებულმა ფაქტებმა, სადაც მცოცავი რეტუშირების ტექნიკა უმაღლეს დონეზეა აყვანილი, სადაც ამ ტექნიკური ხერხებით არის დამუშავებული ბედენის კულტურის ისრისწვერები. მას არაფერი აქვს საერთო სიონის ძეგლებთან, რომლებიც ადრესამიწადმოქმედო ხანის ნამგლის სამკელი დანების ჩასართებად არის მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ სიონის მასალებში, ზემოთ აღნიშნულ ნამგლის

ჩასართებს გარდა, კიდევ ოთხი მარტივი ფორმის ჩასართია აღმოჩენილი. ერთი მათგანი ჩამოყალიბებულია არგილიტის ლამელაზე, მეორე - არგილიტის ანატკეცზე, მესამე - კაჟის ლამელაზე და მეოთხე კაჟის კაჭრიან ანატკეცზე (მენაბდე, კილურაძე, 1981. ტაბ. III. 30). ლ. ნებიერიძის აზრით, როგორც ამ მასალებიდან ჩანს, ნამგლის სტანდარტული ფორმა ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული, რაც სიონის მასალის ადრეულობის მანიშნებელია და არც ერთი მათგანი „შომუთეფეს“ ტიპისა არ უნდა იყოს (ნებიერიძე, 2010, გვ. 85).

იგივე შეიძლება ითქვას სამშვილდის მონაპოვარზე, რაც სამშვილდის კოლექციაში, ერთი შეხედვით, უცხო სხეულის შთაბეჭდილებას ტოვებს. სამშვილდის კომპლექსში შედის კიდევ ერთი საინტერესო არგილიტის იარაღი, რომელიც ჩამოყალიბებულია ორფერდა, თავგადამტვრეულ, სწორკუთხა ლამელაზე, რომელიც ორმხრივ არის ატკეცილი. მისი ერთ-ერთი სიგრძივი გვერდი ზედა და ქვედა სიბრტყიდან დატანილი, დამრეცი რეტუშით არის გაფორმებული, ხოლო იარაღის ბოლოში, საგანგებოდ დათხელებული განივი გვერდის შეხვედრის კუთხეში ფრინველის „ნისკარტისებური“ შვერილია წარმოქმნილი. იარაღის მეორე სიგრძივი გვერდი სიბრტყის მიმცემი რეტუშით არის დამუშავებული, ისევე, როგორც სამშვილდის კაჟის ისრისპირის შემთხვევაში. იარაღის შვერილიან, რეტუშირებულ კიდეს ხმარების შედეგად წარმოქმნილი ბრწყინვალე ანარეკლი გააჩნია, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს იარაღიც, ნამგლისებურად, სამკელი დანიშნულებით სახმარი შედგენილი იარაღის პირის გასაწყობ ჩასართს უნდა წარმოადგენდეს (ტაბ.IV. 6) (სურ. 14 1,2). ასეთი შვერილიანი იარაღები სოლიდური რაოდენობით გვხვდება



სოსრუკოს მეზოლითურ და ნეოლითურ ფენებში (Замятнин, Акритас, 1959; Акримас, 1957, с. 436), ლებიქვის (ზემო სვანეთი) და პალურის მასალებში, სელოსა და ჯერმუხის სადგომებში (კალანდაძე 1953, ნახ. 137 1-23; საქართველოს არქეოლოგია, 1991, გვ. 216, ნახ. 137 18-19). ასეთი შვერილიანი იარაღები, რომელსაც კარგად განვითარებული „ნისკარტისებური“ შვერილის გამო „ანკესისებური“ უწოდეს, ფართოდ ვრცელდება ნეოლითის ხანაში და ე.წ.



სურ. 14.1 Pic.



სურ. 14.2 Pic.

„მთის ნეოლითური“ კულტურის დამახასიათებელი იარაღის სახეობად მიგვაჩნია (გრიგოლია, 1977). ადრეულ ეტაპზე მათ ჯერ კიდევ არ გააჩნიათ დახვეწილი ფორმები, საგანგებო ორმხრივი დამუშავება და სხვ. როგორც ეს სამშვილდის იარაღისათვის არის ნიშანდობლივი. სამშვილდის მსგავსი ტიპოლოგიური და ტექნიკური ნიშნების მქონე „ნისკარტისებურ“ შვერილიანი იარაღი აღმოჩენილია სიონის ნამოსახლარზე. მას ძეგლის შემსწავლელი - თ. კილურაძე „მეტად თავისებურ“ მონაპოვარს უწოდებს და ძეგლის გვიან ნეოლით-ენეოლითით დამატარებელ მნიშვნელობას ანიჭებს (მენაბდე, კილურაძე, 1981, გვ. 84). ასეთივე იარაღი აღმოჩენილია ბოლნისის რაიონის წითელსოფელში, რომელიც, ასევე, ენეოლითური ხანით თარიღდება (ნებიერიძე, 2010, გვ. 97-98, ტაბ. XXXV 3; Гогелия, Челидзе, Авалишвили, 1986, с. 61-62).

სამშვილდის, ერთეული სახით წარმოდგენილ, მონაპოვართა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ობსიდიანის წვეტანა თუ წვეტანისებური იარაღი (ტაბ. IV. 2) (სურ. 15). იგი ჩამოყალიბებულია ტოლფერდა სამკუთხა მოყვანილობის ფართო ლამელისებურ ანატაკეზე. მისი მარჯვენა გვერდი მთელ სიგრძეზე უხეში რეტუმით არის დაკბილულ-გაფორმებული. მეორე გვერდი სანახევროდ არის დამუშავებული ქვედა სიბრტყედან, ხოლო შუა ნაწილიდან წვერამდე გაფორმებულია საოცრად ფაქიზი, წვრილი, „მარგალიტისებური“, კიდევუ გაყოლებული რეტუმით, რაც იარაღის ხმარების პროცესში წარმოქმნილ ჩანატეხებში არ უნდა შეგვეშალოს. ამ სახით გაფორმებული გვერდების შეხვედრის წერტილში მახვილი წვერია წარმოქმნილი, რომელიც წარმატებით შეიძლება ყოფილიყო

გამოყენებული როგორც სახვრეტი, ისე საძვერებელი იარაღის დანიშნულებით.



სურ. 15 Pic.

წვეტანის ფართე ბოლო, იქ, სადაც დარტყმის სიბრტყე და ანატკეცის ბურცობის ადგილია, საგანგებოდ არის დათხელებული, კიდეებზე მიყენებული დარტყმით ჩამოცილებული განივი ანატკეცებით, რაც იარაღის ხელში მოხერხებული დაჭერისათვის ან მისი ტარზე დამაგრების მიზნით უნდა იყოს ნაკარნახევი (ტაბ. IV. 2).

სამშვილდის წვეტანის მსგავსი იარაღები დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი წოფის ნამოსახლარის კომპლექსში (ნებიერიძე, 2010, გვ. 53. ტაბ. VI 1-4). მათი უმეტესობა ჩამოყალიბებულია განიერ ლამელებზე ან ლამელისებურ ანატკეცებზე. მათი ერთ-ერთი სიგრძივი გვერდი უფრო ხშირად მარჯვენა, სამშვილდის იარაღის მსგავსად არის რეტუმირებული. მათ შორის გვხვდება მოპირდაპირე გვერდებზე სხვადასხვა სიბრტყიდან გაფორმებული იარაღებიც (ნებიერიძე, 2010, გვ. 53. ტაბ. I 11-12; ტაბ. II 17-18).

სამშვილდისა და წოფის წვეტანების ტიპოლოგიური და ტექნოლოგიური

მსგავსება, ამ ძეგლებს შორის ქრონოლოგიური და კულტურული საიხლოვის საგულისხმო მაჩვენებელია.

წოფის ნამოსახლართან სტადიურ და კულტურულ საიხლოვზე უნდა მიგვანიშნებდეს სამშვილდეში აღმოჩენილი გამჭვირვალე ობსიდიანის თხელ ანატკეცზე გაფორმებული ისრისწვერი, რომლის ქვედა კუთხეები მომრგვალებულია და იარაღს გულის მსგავსი მოყვანილობა აქვს მიღებული (ტაბ. IV.1) (სურ. 16). ისრისწვერის ორივე გვერდი, კიდეებიდან მიყენებული დარტყმებით ცენტრისკენ მიმართული თხელი ანატკეცებით არის დამუშავებული. იარაღის მორკალული ფუძეცა და სიგრძივი გვერდებიც ორივე სიბრტყიდანაა რეტუმირებული. სამწუხაროდ, მისი წვერის მარცხენა ნაწილი ჩამოტეხილია. სამშვილდის ისრისწვერი გამჭვირვალე ობსიდიანის ფაქტურით, ემსგავსება აზერბაიჯანის ბეიუკ კერიკის ენეოლითური ხანის ნამოსახლარზე აღმოჩენილ სწორფუძიან ისრისწვერებს, აქაც მსგავსი დანიშნულების იარაღების დასამზადებლად, მხოლოდ გამჭვირვალე ობსიდიანია გამოყენებული, რაც უთუოდ საგულისხმოა (Myceიбли, 2007, სტ. 131, Таб. XXIX 4-8). თარიღთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებოა წოფის ქვის იარაღთა კომპლექსში შემავალი ერთი ისრისწვერი, რომელიც, როგორც ფორმით, ისე მეორადი დამუშავებით და ზომებითაც კი ჩვენი იარაღის ზუსტი ორეულია (ნებიერიძე, 2010, გვ. 53. ტაბ. XXV 1). მათ შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ წოფის ისრისწვერი მცოცავი რეტუმით არის დამუშავებული. წოფის იარაღის ასეთი მეორადი დამუშავების საფუძველზე ლ. ნებიერიძეს გამოთქმული აქვს ფრთხილი ვარაუდი ისრისწვერის გვიანდელი წარმომავლობის შესახებ (ნებიერიძე,

2010, გვ. 53), რასაც ვერ გავიზიარებთ. როგორც ცნობილია, მეორადი დამუშავების ანალოგიური ხერხები, კავკასიის სხვადასხვა რეგიონის ნეოლითური ხანის ძეგლებისათვის (სოსრუკო, პალური, სელო, ჯერმუხი და სხვ.) გამოყენებულია პრაქტიკაში, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.



სურ. 16 Pic.

სამშვილდემი აღმოჩენილი წოვის მსგავსი ისრისწვერი, როგორც პირველადი, ისე მეორადი დამუშავებით სავსებით იმეორებს ნეოლით-ენეოლითური ხანის ქვის დამუშავების ტექნიკურ ტრადიციებს და მათი გვიანდელი ხანით დათარიღება გამორიცხებულია\* (გოგელია, ჭელიძე, გვ. 62, ტაბ. LII 2(9)). დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ სამშვილდის ქვის მასალაში შედის ერთი ოთხკუთხა განივკვეთიანი, მცირე ზომის, რიყის ქვის, ასანთის ღეროს მსგავსი ნივთი, რომელსაც ერთ-ერთ ბოლოში, ირგვლ ღარი შემოუყვება

\* ასეთი ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დმანისის რაიონში - სოფ. ჯავახში აღმოჩნდა ანალოგიური, წოვისა და სამშვილდის მსგავსი სამკუთხა, ორმხრივდამუშავებული, ირგვლივრეტუმირებული ისრისწვერი.

(ტაბ. IV. 5) (სურ. 17 1,2). ნივთი მინიატურულ სალეს ქვას ემსგავსება და შესაძლოა იგი მძივ-საკიდის სახით ყოფილიყო გამოყენებული.



სურ. 17.1 Pic.



სურ. 17.2 Pic.

ამრიგად, როგორც მასალის გაცნობისას დავინახეთ, სამშვილდის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, ორი (2015-2016) საველე სეზონის განმავლობაში ჩატარებული სამიეზო სამუშაოების საფუძველზე მოპოვებულია მცირე, მაგრამ საყურადღებო ქვის მასალა ობსიდიანის იარაღ-ანატკეცებისა და მათი

წარმოების ნარჩენების სახით. ასეთი მასალები აქ ადრე არ ყოფილა აღმოჩენილი, არც სამშვილდის ნაქალაქარისა და არც მისი შემოგარენი „ქვეყნის“ ტერიტორიაზე. როგორც ნაშრომის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, სამშვილდის ქვის პირველად დამუშავებაში გაბატონებული ადგილი უჭირავს ანატკეც-ანამტვრევთა ტექნიკას, რაც წარმოდგენილია იარაღ-ხელსაწყოების ნამზადებით და წარმოების ნარჩენებით. ანატკეცების დიდ ნაწილს ეტყობა გამოყენების კვალი, ამა თუ იმ გვერდებზე გამოსახული ჩანატეხების სახით. ანატკეცების დიდი ნაწილი შემთხვევითი ფორმისაა და აშკარაა, პირველადი დამუშავების დროს არ შეიმჩნევა წინასწარ გამიზნული მცდელობის ნიშნები, სასურველი მოყვანილობის ნამზადის მისაღებად. სამშვილდის ქვის კომპლექსის თავისებურებათა განსაზღვრისას, რომელიც ემყარება ტექნიკურ-მორფოლოგიურ მეთოდს, ასევე თვალში საცემია მეორადი დამუშავების დაბალი დონე, სადაც გაბატონებულია მსხვილფაცეტებიანი, თანმიმდევრულად ან წყვეტილი, ამოღარული, დამაბლაგვებელი და იშვიათად მცოცავი (ერთ შემთხვევაში) რეტუშირების ხერხები.

პირველადი და მეორადი დამუშავების ასეთი თავისებურებებით სამშვილდის მასალა შიდა ქართლის გვიანმეზოლითური და ნეოლითური ხანით დათარიღებული ისეთი ძეგლების მსგავსია, როგორცაა ჯერმუხი, სელო, ნაგუთნი I და II (კალანდაძე, 1953, გვ. 8-10; კალანდაძე, წერეთელი, 1971, გვ. 62-78; საქართველოს არქეოლოგია, 1991, გვ. 216-217; Любин, 1966, ст. 155-163) და დელისის ნამოსახლარი (აბრამიშვილი, 1992, გვ. 63).

როგორც კულტურულად, ისე ტერიტორიულად და ალბათ, ქრონოლოგიურადაც სამშვილდის უახლოესი ძეგ-

ლია ქვემო ქართლში აღმოჩენილი სიონის ნამოსახლარი, რომელიც გვიან ნეოლითური თუ ენეოლითური ხანით თარიღდება. ძეგლი მდებარეობს მარნეულის რაიონის სოფ. სიონში, ადგილ ფარეხებზე. იგი აღმოაჩინა და შეისწავლა თ. კილურაძემ, რითაც სათავე დაუდო მანამდე უცნობი, თავისებური ადრესამიწადმოქმესო კულტურის შესწავლას აღმოსავლეთ საქართველოში (მენაბდე, კილურაძე, 1981). ძეგლის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა მისი არსებითი განსხვავება ქვემო ქართლში გავრცელებული, ე.წ. შულავერ-შომუთეფეს ადრესამიწადმოქმედო კულტურასთან და ახლო მსგავსება დასავლეთ საქართველოს ძეგლებთან (Джапаридзе, 1989). სამშვილდის ქვის ნაწარმის განხილვისას აშკარაა, აქ არსებული ნეოლითისა და ენეოლითის ქვის ინდუსტრიისათვის დამახასიათებელი იარაღთა ფორმებისა და ნამზადის ხასიათის თავისებურებათა ერთობლიობა, რაც ძირითადად მასალის ტექნიკურ-მორფოლოგიურ მეთოდს ემყარება. სამშვილდის მასალები როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული მზა ნაწარმის ერთი ნაწილის ტიპოლოგიით („ნისკარტისებურშვერილიანი“ იარაღი, წვეტანისებური იარაღი, ფუძემომრგვალებული ორმხრივდამუშავებული ისრისწვერი, კაჟის ლამელაზე გაფორმებული ნამგლის პირი და სხვ), ახლო მსგავსებას პოულობს ე.წ. წოფისიონის ტიპის ძეგლებთან: სიონთან, წოფთან, წითელ სოფელთან, ჯავახთან, დელისთან და სხვ. რომლებიც თავის მხრივ, ხშირ შემთხვევაში, იმეორებენ დასავლეთ საქართველოში არსებული ნეოლითური კულტურების დამახასიათებელ ნიშნებს (ნებიერიძე, 2010).

სამშვილდის კულტურული და ქრონოლოგიურ საკითხებზე მსჯელობისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს

წოფის ნამოსახლარი, რომელიც მდებარეობს სამშვილდის მეზობელ რეგიონში, სოფ. წოფში, პატარა მდინარე ბანუშჩაის მარცხენა ნაპირზე. წოფის ნამოსახლარი აღმოვაჩინეთ 1957 წელს, როდესაც მონაწილეობას ვიღებდით ქვემო ქართლის საძიებო ექსპედიციაში და წოფის ციხის შემსწავლელ არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში (ხელმძღვანელი აკად. ნ. ბერიძენიშვილი) (გრიგოლია, ტატიშვილი, 1960, ტაბ. I). წოფში მოპოვებული ზედაპირული მასალის წინასწარი შესწავლის შედეგად, მაშინ როცა ჯერ კიდევ არაფერი იყო ცნობილი ე.წ. შულავერ-შომუთეფეს კულტურის არსებობის შესახებ, წოფი დავათარილეთ მტკვარ-არაქსის კულტურის წინარე ხანით, ანუ ენეოლითური პერიოდით (გრიგოლია, ტატიშვილი, 1960). წოფისათვის ჩვენ მიერ მინიჭებული თარიღი სავსებით დაადასტურა, მოგვიანებით, ტ. ჩუბინიშვილის მიერ, წოფში ჩატარებული ფართო მაშტაბის გათხრითი სამუშაოების შედეგად მოპოვებულმა მასალებმა (ჩუბინაშვილი, ჭელიძე, ნებიერიძე, 1994), რომელიც მონოგრაფიულად შეისწავლა და სოლიდური ნაშრომის სახით გამოსცა ლ. ნებიერიძემ (ნებიერიძე, 2010).

სადღეისოდ წოფის ტიპის ძეგლები კარგად არის ცნობილი კახეთში (Bapa-zაშვილი, 1992), მტკვრისა და არაგვის ხეობებში (ჩიქოვანი, 1999). წოფთან ერთად ხსენებული რეგიონების ძეგლებიდან მომდინარე მასალების ერთობლივი გააზრებით ლ. ნებიერიძე სავსებით მართებულად დაასკვნის, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს აღმოსავლეთ საქართველოს სრულიად ახალ, შულავერ-შომუთეფეს ძეგლებიდან განსხვავებულ, ადრესამიწადმოქმედო კულტურასთან, რომლის შესწავლას სათავე დაუდო წოფის ნამოსახლარმა (ნე-

ბიერიძე, 2010, გვ. 7).

როგორც უკვე ითქვა, ზოგადი ნიშნებით სამშვილდის მასალებს ბევრი რამ აქვს საერთო სიონის ნამოსახლართან, მაგრამ ცალკეული აღმოჩენების მიხედვით უფრო მეტ სიახლოვეს იჩენს წოფის ტიპის ძეგლებთან, რომლებიც ენეოლითური ხანით თარიღდებიან (ნებიერიძე, 2010, გვ. 122-138). უდავოა, რომ სამშვილდე წოფი-სიონის კულტურის წრეში შემავალი ძეგლია, რომელიც ხრამისა და ჭიგჭავის ხერთვისში, შუა საუკუნეების პერიოდის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, ადრესამიწადმოქმედო კულტურის, ენეოლითური ხანის ნამოსახლარის არსებობაზე მიგვანიშნებს. როგორც უკვე ითქვა, სამშვილდის ქვის მასალა მომდინარეობს ადგილზე აშლილი კულტურული ფენიდან, რომლის იარაღ-ანატკეცებს არ ეტყობათ გორება-გადაადგილების კვალი, რაც გვაფიქრებინებს, რომ აქვე, სადღაც ახლოს უნდა მდებარეობდეს ამ მასალის წარმომავლობის ძირითადი წერტილები, ანუ სამოსახლოს ცენტრალური უბნები.

სამშვილდის ხერთვისში, კანიონებით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე ნეოლით-ენეოლითური ხანის ძეგლის აღმოჩენა სრულიად ახალი ფაქტია, რასაც ადრე არ ჰქონია ადგილი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში გათხრების შედეგად გაირკვევა აქ არსებული ნამოსახლარის გავრცელების არეალი, დაზუსტდება კულტურული ფენების ხასიათი და მისი სტრატეგრაფიული განლაგების სურათი. უდავოა, მოვიპოვებთ მდიდარ მასალას, როგორც ქვის, ისე კერამიკული, პალეონტოლოგიური და შესამლოა ანთროპოლოგიური ნაშთების სახით. ამჟამად, ბუნებრივია, რომ სამშვილდის მცირერიცხოვანი მასალის შესწავლის შედეგად გამოთქმული მოსაზრებები ძეგლის

კუთვნილებასა თუ ქრონოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით წინასწარულია და ნაწილობრივ სურვილის ხასიათსაც ატარებს, მაგრამ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მომავალში, ფართო მასშტაბის, მიზანდასახული მიეზის საფუძველზე სურათი არსებითად შეიცვლება და ახალი, მრავალმხრივი აღმოჩენები უფრო ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ძეგლის კულტურული კუთვნილების, ამ კულტურის გენეზისის, ახლო და შორეულ მეზობლებთან კავშირურთიერთობის, სამეურნეო საქმიანობისა და ქრონოლოგიის შემდგომი დაზუსტების საკითხებთან დაკავშირებით.

დასასრულს, კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ რომ სამშვილდის ნამოსახლარის ტერიტორია მორფოლოგიურად მდ. ხრამისა და მდ. ჭივჭავას კანიონისებური ხეობებით შემოზღუდულ, განმხოლოებულ გორანამოსახლარს (აკად. ნ. ბერძენიშვილის კლასიფიკაციით) წარმოადგენს, სადაც კულტურული ფენების დაგროვება-განლაგებაში არ მონაწილეობენ ალუვიური დელუვიური პროცესები, რაც ადგილზე ამჟამად ჩვენთვის საინტერესო უძრავი ფენების აღმოჩენის შესაძლებლობის იმედს იძლევა.

### გამოყენებული ლიტერატურა

აბრამიშვილი, რ. (1981). *დელისის ნამოსახლარი*. „თბილისის არქეოლოგიური ძეგლები“. თბილისი.

*აფხაზეთის უძველესი მატერიალური კულტურა*. (2013). თბილისი.

ბერიკაშვილი, დ., გრიგოლია, გ., ბუხსიანიძე, მ., გაბუნია, თ., ოდილავაძე, დ., ქებულაძე, ნ. *სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის სამეცნიერო ანგარიში /2015-2016 წწ/*.

გრიგოლია, გ. (1977). *ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი*. პალური. თბილისი.

გრიგოლია, გ., ტატიშვილი, თ. (1960). *ქვემო ქართლის უძველესი ძეგლები*. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. ტომი I. თბილისი.

გოგელია, დ., ჭელიძე, ლ. *ნეოლითის ხანის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში*. საქართველოს არქეოლოგია II. თბილისი.

კალანდაძე, ალ. (1953). *სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიური ექსპედიცია*. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტი-

ტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1952 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. თბილისი.

კალანდაძე, ალ., წერეთელი, ლ. (1971). *საქართველოს შუა მთიანეთის ზოგიერთი მეზოლითური ძეგლი*. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი.

მენაბდე, მ., კილურაძე, თ. (1981). *სიონის არქეოლოგიური ძეგლები*. თბილისი.

ნებიერიძე, ლ. (2010). *წოფის ენეოლითური კულტურა*. თბილისი.

*საქართველოს არქეოლოგია*. (1991). თბილისი.

ჩიქოვანი, გ. (1999). *შიდა ქართლი ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში* (საკანდ. დისერტაცია). თბილისი.

ჩუბინიშვილი, ტ., ჭელიძე, ლ., ნებიერიძე, ლ. (1994). *ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები*. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება

1973 წელს. თბილისი.

Акритас, П. Г. (1957). *Раскопки грота Сосруко в 1955 г.*, УЗКБНИИ. Т. XIII.

Варазшвили, В. (1992). *Раннеземледельческая культура Иоро-Алазанского бассейна*. Тбилиси.

Джапаридзе, О. (1989). *На заре этнокультурной истории Кавказа*. Тбилиси.

Гогелия, Д., Челидзе, Л., Авалишвили, Г. (1986). *Краткий отчет о полевой работе Квемо-Картлийской археологической экспедиции за 1985-1986 гг.* ПАИ.

Замятнин, С.Н., Акритас, П. Г. (1959). *Раскопки грота Сосруко в 1955 году*. Ученые записки. Том. XIII.

Коробкова, Г.Ф., Есакия, К.М. (1979). *Обсидиановая индустрия Цопи*. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის. ტ. VII. თბილისი.

Любин, В. (1966). *Первые сведения о мезолите горного Кавказа (Осетия)*, МИА, №26.

Муσειбли. (2007). *Энеолитическое поселение Бююк Кесик*. Баку.

### ტაბულების აღწერილობა

#### ტაბ. I.

1-4. ობსიდიანის ანატკეცებზე დამზადებული ე.წ. ზურგიანი დანები.

5-6. ანამტკრევეებზე დამზადებული საჭრელ-საკვეთი იარაღი.

7. ობსიდიანის ანამტკრევეზე დამზადებული „ზურგიანი დანა“.

#### ტაბ. II.

1-5. კაჟისა და ობსიდიანის რეტუშირებული ლამელის ფრაგმენტები.

6-7. ობსიდიანის ლამელაზე დამზადებული საფხეკ-სახოკი იარაღი.

#### ტაბ. III.

1. ობსიდიანის ირიბრეტუშირებული საფხეკი იარაღი.

2. ობსიდიანის ანატკეცზე დამზადებული პირმორკალული საფხეკი.

3-4. ობსიდიანის ანამტკრევეებზე დამზადებული პირამოლარული იარაღი.

5-6. პირმორკალული რეტუშირებული საფხეკები.

7. ირიბრეტუშირებული საფხეკი იარაღი.

8. სწორპირიანი საფხეკი იარაღი.

#### ტაბ. IV.

1. ობსიდიანის თხელ ანატკეცზე გაფორმებული გულის ფორმის ისრისპირი.

2. ობსიდიანის ანატკეცზე დამზადებული წვეტანისებური იარაღი.

3. მცოცავი რეტუშით დაფარული ობსიდიანის ნამგლის ჩასართი.

4. კაჟის დაკბილული ნამგლის ჩასართი.

5. ასანთის ღეროსებრი მინიატურული რეტუშორი.

6. არგილიტისგან დამზადებული ნამგლის ე.წ. „ნისკარტიანი“ ჩასართი.

7. ობსიდიანის თავბოლოწაწვეტებული მიკრო ნუკლეუსი.

8. ბუნებრივი ქერქით დაფარული ობსიდიანის ქვარგვალი.

#### ტაბ. V.

1. ობსიდიანის ანამტკრევეზე დამზადებული საჭრის-საფხეკი იარაღი.

2. ობსიდიანის ანატკეცზე დამზადებული შუალა საჭრისი.

3. ობსიდიანის კიდურა საჭრისი იარაღი.

4-7. ობსიდიანის სახვრეტ-საბურღი იარაღები.

\* მასალა ჩახატა და ტაბულები შეადგინა დ. ბერიკაშვილმა.

### სურათების აღწერილობა

1. სამშვილდის ნაქალაქარის აერო-ფოტო სურათი. ხედი აღმოსავლეთიდან.
2. ბაზალტოვან დედაქანში ჩაჭრილი ორმოები და ბუნებრივი ჩაღრმავებები.
3. ლამელაზე დამზადებული საფხეკი.
4. ლამელაზე დამზადებული საფხეკ-სახოკი იარაღი.
5. კაჟის რეტუმირებული ლამელის ფრაგმენტი.
6. ობსიდიანის ანამტვრევზე დამზადებული პირამოდარული იარაღი.
7. ციცაბორეტუმირებული საფხეკი იარაღი.
8. თავბოლოწაწვეტებული მიკრონუკლეუსი.
9. ობსიდიანის ანატკეცზე ფორმირებული სახვრეტი.
10. მინიატურული სახვრეტი იარაღი.
11. ობსიდიანის ანამტვრევზე დამზადებული შუალა საჭრისი.
- 12.1 – 12.2. კაჟის დაკბილული ნამგლის ჩასართი.
13. მცოცავი რეტუმით დაფარული ობსიდიანის ნამგლის ჩასართი.
- 14.1-14.2. არგილიტის „ნისკარტიანი“ ნამგლის ჩასართი.
15. ობსიდიანის ანატკეცზე დამზადებული წვეტანისებური იარაღი.
16. ანაკტეცზე გაფორმებული გულის ფორმის ისრისპირი.
- 17.1-17.2. ასანთის ღეროსებრი მინიატურული რეტუმორი.



## Neolithic Stone Industry from Samshvilde

*Grigolia Guram,*

*Professor-Emeritus,*

*I. Javakhishvili Tbilisi State University*

*Berikashvili David,*

*The Head of Samshvilde Archaeological Expedition, Professor,*

*The University of Georgia*

### Preamble

Samshvilde is one of the most distinguished cities among the ancient Caucasian cities and has a very convenient location. In particular, it is located on the cape which represents 150-200 m high basalt massive created at the confluence of Khrami and Chivchava rivers (pic.1). Trace of human activity in Samshvilde is observed from the ancient times which was actually confirmed by Samshvilde archaeological expedition of the University of Georgia.

The 2016-2017 field season appeared to be particularly important when obsidian, flint and argillite tools were discovered in “midden pits” (pic.2) under medieval archaeological layers. It became clear from the beginning that this material did not belong to the medieval period and belonged to the culturally and chronologically different context, particularly, the final stage of the Stone Age – Neolith.

The purpose of this article is to publicize the tools of the above Stone Age obtained by Samshvilde archaeological expedition and enter it in scientific circulation. Despite the fact that the material is scarce yet, it is still rather significant and largely changes the idea about the history of Samshvilde.

### Stone Industry

Archaeological excavations conducted on “Sioni section” in Samshvilde in 2016

revealed absolutely new material under the medieval period layers which confirms the existence of the trace of prehistoric era human on Samshvilde territory.

The statistics of the discovered material showed that obsidian items represented by opaque and semi-transparent black rocks dominate in the collection of the newly discovered stone tools.

***Obsidian flakes.*** The major part of the material is represented by short, wide fragments and flakes of random form. One of the massive sides of most of them is processed by steep retouch on a certain section as is common for scraping tools. The thin, sharp-edged side opposite these samples must have been used as a cutting-coulter knife which is confirmed by small size broken off pieces created on this section (tab. I. 5, 6). Part of such flakes resemble so-called “knives with a back”. The longitudinal side of one of their part is broken and blunt side of the knife, i.e. space for supporting a finger convenient for use is created (tab I. 2, 3, 4, 7).

***Lamellas.*** Three lamellas are included in Samshvilde collection, two of which are whole samples (tab II. 6, 7) (pic 3,4) and one has no head (tab II. 1) (pic. 5). There are also rectangular examples of four lamellas with broken head and end (tab II. 2, 3, 4, 5). All of them bear a trace of usage. Particularly intensely is processed one three-side lamella of rectangular form whose both longitudinal sides are coggled and grooved

from the upper and lower plane (tab. II. 7). In our opinion, the latter is an independent tool and might have been used as a knife-scraper.

**Scrapers.** The end-retouched scraper is represented by eight pieces in Samshvilde stone items complex. It should be mentioned that all of them are formed on rough fragments and flakes and the retouched work section of each of them is arranged at the end of the tool.

Only two tools have the typical form common for the end-retouched scraper. One of them is processed on a lamella-like flake whose end part is processed by coarse retouch and belong to the category of tools with grooved blade (tab. III. 3) (pic. 6). One more tool processed on an average-size flake (tab. III. 4) whose one side is grooved by a steep retouch may be attributed to the same category. Among scraper tools included in the collection, depending on the processing of the blade, one is straight-bladed (tab. III. 7) (pic. 7), three have curved blades (tab. III. 2, 5, 6) and two may be considered as tools with indirectly retouched blades (tab. III. 1, 8). The two latter tools are processed on a depleted nucleus and a nucleus-like flake whose massive blow plane is additionally flaked.

This or that type of nuclei of finished form is not found in Samshvilde collection which may be attributed to the contingency caused by scarcity of material. It should not be excluded that the primary processing of the tool raw materials was carried out on the place of rock production. However, the possibility of such assumption is ruled out by existence of items of boulder with natural crust preserved on the surface of significant part of items included in the collection. The peculiar nature of the boulder crust preserved on the surface of the obtained materials suggests

that the materials required for Samshvilde stone industry were found in Khrami and Chivchava valleys where stone pieces in the form of rolled stones, brought by the river from Tsalka-Trialeti obsidian deposits are gathered. One small obsidian sample is preserved in Samshvilde collection as well, with porous natural crust (tab. IV. 8).

**Micro nucleus.** In such circumstances, the fact of discovery of a sample resembling a pencil-form nucleus included in the complex is particularly noteworthy. Its head and end are sharpened and probably it was used for perforating similar to a drill-like tool (tab. IV. 7) (pic. 8).

**Drill tools.** Four drill-like perforating tools are discovered in Samshvilde. Among them two drilling crests from the lower plane of the flake are processed by coarse retouch (tab. V. 4, 6). The remaining two tools represent a smaller flake which have a perforating crest processed by a fine retouch (tab. V. 5, 7) (pic. 9,10).

**Cutting tools.** Labor tools in the form of cutters are represented by three pieces in the complex. Two of them are simple cutters (tab. V. 1,3). One of them, in addition to the cutting flakes has one longitudinal side and the end opposite the cutting facet blunted by a steep retouch. All the above confirm that in this case we have a doubled tool – cutter-scraper (tab. V. 1). We may also consider as a doubled tool a third tool included in this group which is primarily a typical middle cutter. It is made on an average-size flake at the end of which a cutting facet is created at the point of meetings of sides as a result of removal of each flake by transverse blows (tab. V. 2) (pic.11).

**Sickle blades.** Another noteworthy item among Samshvilde materials is a two-side flint lamella with four cogs executed by a steep retouch on one of its longitudinal sides. This tool is basically processed from

the back and on the lower plane the re-touch is used only for the purpose of designing of sickle cogs. In addition, one of the lateral sides of lamella is designed by a fine retouch from the lower plane suggesting that the tools must have been used placed in a wooden or bone casing, when retouching of the lateral side should serve a better use of the second similar tools placed in the handle (tab. IV. 4) (pic.12 1,2).

Cogged sickle blades appear since the inception of manufacturing industry and represent a typical tool for all monuments of the Neolithic period. It is assumed that such tools must have been used in agricultural activities as a sickle.

One more original item found in Samshvilde complex is a two-side, knife-like obsidian lamella of rectangular form whose one side is entirely and the other side is partially processed by a creeping retouch (tab. IV. 3) (pic. 13). It is known that such tools are considered as sickle insertions for monuments of the so-called Shulaveri-Shomutepe culture.

One more interesting argillite tool is included in Samshvilde complex. It is based on a two-side rectangular lamella with a broken head and a crest resembling a bird's beak is created in the end, in the angle of a specially thinned side. The retouched side of the tool with a crest has an illuminating reflection created as a result of use suggesting that this tool must also represent an insertion of the blade of the tool to be used for reaping as a sickle (tab. IV. 6) (pic. 14 1,2). Such tools with a crest which were called "hook-shaped" due to the well-developed beaklike crest are wide spread in the Neolithic era and we consider them to be types of tools common for the so-called "Mountain Neolithic" culture.

***Spear blade tools and arrowheads.***  
Among the separate artifacts of Samshvil-

de, obsidian spear blade or spear blade-like tools are particularly noteworthy (pic. 15). It is formed on a wide lamella-like flake of an equilateral triangular form. The wide end of the spear blade, where there is a plane of blow and a flake relief, is specially thinned, with lateral flakes removed by the blow on the edges which must be predetermined for holding the tool conveniently or attaching it to the handle (tab. IV. 2).

Tools similar to Samshvilde spear blade are presented in large amount in Tsopa former settlement complex and the chronological and cultural proximity of these monuments is noteworthy.

The arrowhead designed on a thin, transparent obsidian flake discovered in Samshvilde whose lower angles are rounded and the tool has acquired a heart shape seems to point to the stage and cultural proximity to Tsopa former settlement (tab. IV.1) (pic. 16). Both sides of the arrowhead are processed by thin flakes directed to the center by blows from the edges. Unfortunately, the point part of its top is broken, but anyway it resembles the straight stem arrowheads discovered on Beiuk Kerik former settlement of Eneolithic period in Azerbaijan.

Micro retoucher. Finally, we would like to note that Samshvilde stone material includes one quadrangular longitudinal section, small-size cobble stone item similar to a matchstick, which is surrounded by a groove in one end (tab.IV. 5) (pic. 17 1,2). The item resembles a miniature retoucher and might have been used as a hanger.

Thus, as we have seen, small but noteworthy material in the form of obsidian flakes and their production remains is obtained as a result of exploration works conducted during 2 field seasons (2016-17) on the territory of Samshvilde city-site. Such materials had not been discovered here before and this increas-

es the significance of this artifact.

By peculiarities of the primary and secondary processing, Samshvilde material closely resembles Eastern Transcaucasia monuments dated by Neolithic period, such as Jermukhi, Selo, Nagutni I and II and Delisi former settlement.

At the same time, in terms of chronology too, this material resembles the material of Sioni former settlement discovered in Kvemo Kartli (East Georgia) which dates back to the Late Neolithic period.

When discussing the above material of Samshvilde and chronological issues, particularly interesting is Tsopa former settlement located in East Georgia which also dates

back to the late Neolith. Undoubtedly, Samshvilde is a monument belonging to Tsopa-Sioni culture which points to existence of a former settlement of the Late Neolith and Eneolith period (7th-6th millenniums B.C. for Georgia) on the territory of the medieval city-site Samshvilde at the confluence of Khrami and Chivchava.

It has already been mentioned that Samshvilde stone material derives from the disturbed cultural layer whose tools bear no trace of rolling and displacement. This makes us think that the main stratum of origin of this material, i.e. central sections of Neolithic former settlement must be located somewhere near.

## ძვ. წ. VIII – VII სს კოლხეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს ხარისგამოსახულებიანი ფიგურები

ვაჩაძე გვანცა,

არქეოლოგია/პალეოანთროპოლოგიის პროგრამის დოქტორანტი,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კოლხური კულტურის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ძვ. წ. აღ. პირველი ათასწლეულის პირველი მეოთხედი, როდესაც დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იწყება რკინის ფართო ათვისების ხანა. ზღვისპირა ზოლში, კოლხეთის დაბლობსა თუ მთიანეთში - მრავლადაა აღმოჩენილი ამ პერიოდისა და შემდგომი ხანის ნამოსახლარები, სამაროვნები, „მელითონეთა განძები“ თურკინის წარმოების ნაშთები (ლორთქიფანიძე, 2002, გვ. 154). ამათგან, სპეციალური მნიშვნელობის მქონეა ე. წ. კოლხური კოლექტიური სამარხები. აქ მოპოვებულ ასობით არქეოლოგიურ არტეფაქტს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბრინჯაოს მცირე ზომის ზოომორფული სადგარები, მთლიანადსხმული მრგვალი ქანდაკებები, რომლებიც წარმოდგენილია ხარის, ცხენის, შველის, ცხენზე ამხედრებული ადამიანისა და რამოდენიმე ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულებით.

აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კულტურისაგან განსხვავებით, ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაში დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ მონაპოვარში ზოომორფული მცირე პლასტიკა ჯერჯერობით ცნობილი არ არის (პაპუაშვილი, 2009, გვ. 55). ცხოველთა ფიგურები კოლხურ კულტურაში გვიან ბრინჯაოს ხანიდან იწყებს გამოჩენას და როგორც თავმოყრილი მასალის ერთიანი ანალიზის

შედეგად ირკვევა, მათი რაოდენობა განსაკუთრებით მატულობს დროის გარკვეულ მონაკვეთში, ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში. ამ პერიოდში ზოომორფული ფიგურების ძირითადი ნაწილი თავმოყრილია კოლექტიურ სამარხებში. ამასთანავე, ბრინჯაოს ხარის ექვსი მთლიანადსხმული ფიგურა აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, ყოველგვარი არქეოლოგიური კონტექსტის გარეშე. ამ ნივთების ძირითადი მორფოლოგიური ნიშნები თანხვედრაშია კოლხურ სამაროვნებზე მოპოვებულ ხარის ფიგურათა იკონოგრაფიასთან, შესაბამისად, მასალის ანალიზი საფუძველს იძლევა ყველა მოყვანილი ფიგურა ერთსა და იმავე ჯგუფს მივაკუთვნოთ (ტაბ. I).

კოლექტიურ სამაროვნებში აღმოჩენილი ზოომორფული ფიგურები განსხვავდება თანადროულ და მომდევნო პერიოდში კოლხეთში გავრცელებული სხვა ზოომორფული ფიგურებისაგან, რადგანაც ისინი წარმოადგენენ სადგარებს. ამავე პერიოდში კოლხეთში თანაარსებობენ ბრინჯაოს ზოომორფული საკიდები ფრინველებისა თუ სხვადასხვა ცხოველის გამოსახულებებით, რომელთა ფუნქციური დატვირთვა აშკარად განსხვავებულია. ამ ჯგუფის ფიგურებს სხეულის რომელიმე ნაწილზე დატანილი აქვთ საყულფე ხვრელი და, როგორც წესი, რაიმე კომბინირებული ნივთის შემადგენელ დეტალს წარმოადგენენ. მომდევნო, კლასიკურ ხანაში,

ზოომორფული ფიგურები უმეტესწილად სწორედ საკიდების სახით არის წარმოდგენილი. დღეისათვის, უახლესი გამოკვლევების შედეგად კოლხეთის არქეოლოგიური ძეგლებიდან ცნობილია ორმოცამდე ბრინჯაოს ზოომორფული სტატუეტი - სადგარი. ამათგან, ის ცალეები, რომელთა არქეოლოგიური კონტექსტი ცნობილია, არსებული ქრონოლოგიური ჩარჩოს მიხედვით ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში ექცევა (პაპუაშვილი, 2010ა, გვ. 32-43).



ტაბ. I Tab.


ზოომორფულ ფიგურათა შორის მკვეთრად დომინირებს ხარის გამოსახულება, ხარის სტატუეტები აღმოჩენილია ცაიშის, პეტრეს ნაკარუს, ურეკის, ერგეტასა და დღვაბას კოლხურ კოლექტიურ სამაროვნებზე. დღეისათვის არსებული მონაცემების მიხედვით ხარის ფიგურები ყველაზე დიდი რაოდენობით, დაფიქსირებულია ცაიშის სამაროვანზე, სადაც პირველ სამარხე-

ულ კომპლექსში აღმოჩნდა ხარის რვა, მხედარი ქალის სამი და ვერძის ერთი სკულპტურული გამოსახულება, ხოლო მეორე სამარხში ხარის ერთადერთი ქანდაკება (პაპუაშვილი, 2015, გვ. 10 – 24). ხარის სამი, ცხენის, ლეოპარდის, ფანტასტიკური ცხოველისა და მხედარი ქალის თითო ქანდაკებაა აღმოჩენილი პეტრეს ნაკარუს სამაროვანზე (ელიავა, 1987, გვ. 1 – 7; Горадзе, 1977, გვ. 60-71). ხარისა და შველის თითო ფიგურა დაფიქსირდა ურეკის მესამე კოლექტიურ სამარხში (მიქელაძე, 1985, გვ. 9 – 10). ხარის, მხედარი ქალისა და ორი ცხოველის ფიგურაა მოპოვებული ერგეტას სამაროვნის სხვადასხვა სამარხებში (Mikeladze, 1995, გვ. 7). დაბოლოს, ძაღლისა და ხარის სამი ფიგურა იქნა მიკვლეული დღვაბას მეორე კოლხურ კოლექტიურ სამარხში (Mikeladze, 1995, გვ. 5), (ტაბ. II).

ხარების ფიგურები რამოდენიმე ქვეჯგუფში ერთიანდება. ფიგურების ცალკეული დეტალები ფართო ვარიაციებით არის მოდელირებული, განსხვავებაა როგორც სხეულის, ასევე რქების, პირსახის, კიდურებისა თუ კუდის მოყვანილობაში. სტატუეტების ამ ტიპისათვის, ზოგადად, დამახასიათებელი არ არის ქანდაკების დეტალებზე აქცენტირება. ისინი სქემატურია, უმეტესად სახეზე არ აქვთ გამოსახული თვალი, დრუნჩი და ყურები. ერთადერთ შემთხვევაში, ურეკის მესამე კოლექტიურ სამარხში აღმოჩენილ ხარის ფიგურაზე დატანილია ითიფალური ნიშანი (მიქელაძე, 1985, გვ. 60). უკანასკნელ წლებში ცხოველთა სტატუეტების ახალმა აღმოჩენებმა (პაპუაშვილი, 2015, გვ. 15) კიდევ უფრო ფართო რაკურსით წარმოაჩინა ამ ტიპის მასალის მნიშვნელობა კოლხეთის მატერიალურ კულტურაში. ჩანს, ზოომორფული ფიგურები წარმოადგენდ-

ნენ არა სპორადული ხასიათის ინვენტარს, არამედ, დამახასიათებელ კოლხურ მოვლენას, რომელიც თავის თავში მოიცავდა სპეციალური დატვირთვის მქონე სიმბოლიკას და განსაზღვრული როლი ჰქონდა ადგილობრივ მოსახლეობაში. დიდი ინტერესის საგანია, თუ რა გარემოებამ განაპირობა კოლხეთში დროის გარკვეულ მონაკვეთში ახალი ტიპის ბრინჯაოს ზოომორფული სტატუეტების მასიური გამოჩენა. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ამ ტიპის ზოომორფული ფიგურები გავს გვიანგეომეტრიული ხანის საბერძნეთში გავრცელებულ ბრინჯაოს მცირე პლასტიკას (ლორთქიფანიძე, 2002, გვ. 198; სულავა, 2014, გვ. 55).

ჩოს, ფუნქციური დატვირთვისა და არქეოლოგიური კონტექსტის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ აქ ბრინჯაოს ზოომორფული ფიგურები კოლხეთის რეგიონისაგან განსხვავებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ ძვ. წ. IX საუკუნიდან ჩნდება და არსებობას ძვ. წ. VI საუკუნემდე განაგრძობს. გვხვდება უფრო ადრეული ხანის თიხის ფიგურებიც, რომლებიც პირდაპირ იმეორებენ ბრინჯაოს ნივთებს (Papasteriou, 1985, გვ. 5b). საბერძნეთში გვიანგეომეტრიულ ხანაში ზოომორფული ფიგურები, ჩვეულებრივ, ყოველთვის საკურთხეველებშია აღმოჩენილი და მათი რაოდენობა თითოეულ პუნქტში ათეულებს აჭარბებს. როგორც წესი ისინი ღვთაებათა (ზევის, ჰერას, არტე-



ტაბ. II Tab.

საბერძნეთის სხვადასხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე გავრცელებული ბრინჯაოს ზოომორფული პლასტიკის გენეზისის, სტილის, ქრონოლოგიური ჩარ-

მიდესა და აპოლოს) შესაწირ ძღვენს წარმოადგენენ. ოლიმპიაში, არკადიაში, თეგეაში, სამოსში, სპარტაში, ათენსა და კრეტაზე - მინოსში, ფესტოსში, პსიქროსა

და ჰაგია ტრიადაზე აღმოჩენილია არა მხოლოდ ხარის, არამედ ცხენისა და სხვადასხვა მსხვილფეხა საქონლის ბრინჯაოს ფიგურები, რომელთა სახეობის დადგენა ხშირად შეუძლებელია. მხოლოდ ოლიმპიის მაგალითზე დღეისათვის გამოქვეყნებულია ცხრაასზე მეტი ამ ტიპის ნივთი (Heilmeyer, 1979), (ტაბ III). კოლხურ სამაროვნებსა და მის გარეთ აღმოჩენილი ზოგიერთი ხარის ფიგურა ახლო ანალოგებს პოულობს საბერძნეთის სხვადასხვა პუნქტში მოპოვებულ ხარის გამოსახულებებთან (Vachadze, 2016, p. 1099 – 1101).



ტაბ. III Tab.

კოლხეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე ჯერჯერობით ბრინჯაოს ცხოველთა სამსხმელი ყალიბები არ აღმოჩენილა, ამდენად, შეუძლებელია მათი საწარმოს ლოკალიზაციის განსაზღვრა. თუმცა, ხარების ჯგუფში შემავალ ფიგურათა ფართო მორფოლოგიური სახესხვაობა, დიდი ალბათობით, აქ რამოდენიმე დამოუკიდებელი ბრინჯაოს სახელოსნოს არსებობით უნდა აიხსნას, ვინაიდან, კოლხეთის დაბლობსა (ცაიში, ერგეტა, პეტრეს ნაკარუ, ურეკი, დღვაბა) და მთიან ნაწილში მოპოვებული ხარის ფიგურები (სვანეთისა და ლეჩხუმის აღმოჩენები) ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდებიან.

საბერძნეთში ლითონწარმოება თავად ტაძრებშია დამოწმებული. ასე მაგალითად, ოლიმპიაში ცხენების, ჩიტებისა და ქალების წარუმატებლად ჩამოსხმული ქანდაკებები აღმოჩნდა იმავე ფენაში, სადაც მთლიანი ფიგურე-

ბი, რაც მკვლევარებს საშუალებას აძლევს აქ ადგილობრივი სახელოსნოების არსებობა ივარაუდონ. გვიანგეომეტრიული პერიოდიდან ბრინჯაოს ზომორფული ფიგურების წარმოება დასტურდება ასევე, დელოსში, სამოსის ჰერაიონში, ეგინაში, და ა.შ. მეცნიერთა მიერ აღიარებულია მოსაზრება, რომ ამ სახელოსნოებში მომუშავე პირები დამოუკიდებელი მოხეტიალე მელითონეები უნდა ყოფილიყვნენ (Risherg, 1992, p. 33-40). სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ძვ. წ. VIII-VII საუკუნეები საბერძნეთში ორიენტალიზაციის პერიოდია. გამოჩენას იწყებს როგორც ბრინჯაოს ახალი ფორმები, ისე მათი დამზადების ტექნიკა და სტილი. ნივთების იმპორტირება ხდება აღმოსავლეთის ოლქებიდან და პირიქით. ჩანს, ამ სავაჭრო/კულტურულ ურთიერთობებში ჩართული მელითონეები მოგზაურობდნენ დამორებული რეგიონებში და ამგვარად ხელოვნდებოდნენ ახალი სტილისა და მეთოდების ჩამოყალიბებაში (Mattush, 1988, p. 35). ამ საერთაშორისო პროცესში ჩაბმული უნდა ყოფილიყო კოლხეთიც, სადაც, როგორც უკვე სპეციალურ ლიტერატურაში არის შენიშნული, ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლებზე გამოჩენას იწყებს წმინდად ბერძნული ტიპის ნივთები. ამათგან, უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა მუხურჩაში აღმოჩენილი ბრინჯაოს მცირე ზომის მეეტლის ქანდაკება, რომელიც პირდაპირი ანალოგიაა გვიანგეომეტრიული ხანის ოლიმპიისა და დელფოსათვის დამახასიათებელი აღმოჩენებისა (ლორთქიფანიძე, 1999, გვ. 27). ეგეოსურ სამყაროსთან არის დაკავშირებული კოლხეთსა და კავკასიაში გავრცელებული ბრინჯაოს ფიგურების გარკვეული ტიპების გენეზისი (სულავა, 2006, გვ. 225), ხოლო



ბერძნული სამყაროს კოლხეთთან უმუ-  
ალო უერთიერთობის უტყუარ საბუ-  
თადაა მიჩნეული ამ ორ დაშორებულ  
რეგიონში აღმოჩენილი, ძვ. წ. VIII-VII  
საუკუნეებით დათარიღებული, ბრინ-  
ჯაოს ქალი მხედრების ერთგვარი ქან-  
დაკვებები (Licheli, 2008, p. 239; პაპუაშ-  
ვილი, 2010, გვ. 46 - 58).

დაგროვილი არქეოლოგიური მონა-  
ცემების ანალიზის შედეგად, სავარა-  
უდოა, რომ ბრინჯაოს ზოომორფული  
სტატუეტების კონცეფცია, მსგავსად  
კოლხეთში გავრცელებული სხვა ბერძ-

ნული სტილის ბრინჯაოს ნივთებისა,  
თავდაპირველად სწორედ ეგეოსური  
სამყაროდან მომდინარე იმპულსით  
გავრცელდა შავი ზღვის აღმოსავლეთ  
სანაპიროს მოსახლეობაში. შემდგომ ხა-  
ნებში კი ზოომორფული ფიგურების  
ადგილობრივი წარმოების დასტური  
უნდა იყოს ცხოველთა ერთი და იმა-  
ვე სახეობის ჯგუფებში არსებული მორ-  
ფოლოგიური სხვაობა და ზოგიერთი  
ფანტასტიკური ცხოველის გამოსახუ-  
ლებიანი ნივთი, რომელსაც კოლხეთს  
გარეთ ანალოგები არ მოეძებნება.

### გამოყენებული ლიტერატურა

ელიავა, გ. (1987). *პეტრეს ნაკარუს არ-  
ქეოლოგიური მასალა*. თბილისი. მეც-  
ნიერება.

ლორთქიფანიძე, ო. (1999). *აბრეშუმის  
გზის ისტორიული წინამძღვარი, ვაჭ-  
რობა შავ ზღვაზე*. შავიზღვისპირეთის  
ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის  
IX საერთაშორისო სიმპოზიუმი. ვანი  
1999. თბ.

ლორთქიფანიძე, ო. (2002). *ძველი ქრ-  
თული ცივილიზაციის სათავეებთან*.  
თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემ-  
ლობა.

მიქელაძე, თ. (1985). *კოლხეთის ად-  
რერკინის სამაროვნები*. თბილისი. მეც-  
ნიერება.

პაპუაშვილი, ი. (2009). *საქართველოს  
ტერიტორიაზე აღმოჩენილი ზოო-  
მორფული მცირე პლასტიკა ბრინჯაოს  
ეპოქათა დინამიკაში*. სტუდენტთა 69-ე  
საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფე-  
რენცია.

პაპუაშვილი, რ. (2010). *ანთროპო-  
მორფული გამოსახულებები ცაიშიდან,  
კულტურულ საისტორიო ძიებანი*. თბი-  
ლისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა.

პაპუაშვილი, რ. (2010ა). კოლხურ სა-  
მაროვანთა აბსოლუტური ქრონოლო-  
გიისათვის. *არქეოლოგიური ჟურნალი*  
№ V.

პაპუაშვილი, რ. (2015). *ცაიშის სამა-  
როვანი*. თბილისი. ზუგდიდი.

სულავა, ნ. (2006). *კავკასიის ფიბუ-  
ლები*. თბილისი.

სულავა, ნ. (2014). ახალი არქეო-  
ლოგიური აღმოჩენა სოფელ დეხვი-  
რიდან - ბრინჯაოს ხარი. *ცაგერის ის-  
ტორიული მუზეუმის შრომები №1*.  
თბილისი.

Гогодзе, М. (1977). “Работы Носири-  
Мухурдцкой экспедиции за 1974-1975 гг”,  
*საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის  
არქეოლოგიური ექსპედიციები №5*.  
თბილისი.

Heilmeyer, W. D. (1979). *Frühe Olim-  
pische bronzenfiguren, die tiervotive*.  
Berlin.

Licheli, V. (2008). *The bronze statu-  
ette of a Colchian horsewoman on Sa-  
mos: Accident or design, Pontika 2008*.  
Resent research on the Northern and Eastern  
Black sea in ancient times.

Mattush, C. C. (1988). *Greek bronze statuary from the beginings through the fifth century B.C.* London.

Mikeladze, T. (1995). „*Grosse kollektive grabgruben der frühen eisenzeit in Colchis*“. Archäologischer Anzeiger, Walter de Gruyter. Berlin. New Yourk.

Risberg, C. (1992). *Economics of cult in Ancient Greek world, metal working in Greek sanctuaries.* Sweden.

Vachadze, G. (2016). *Zoomorphic bronze statuettes from Colchis*, Dialoghi sull'Archeologia della Magna Grecia e del Mediterraneo. Paestum.

### ტაბულების აღწერილობა

I. ხარის ფიგურები: 1. ცაიში 2. ურეკი 3. დღვაბა 4. დღნორისა 5. ორღელე 6. ცაიში.

II. ზომომორფული ფიგურების გავრცელების რუკა.

III. ხარის ფიგურები: ოლიმპია.

## Bronze statuettes of bulls found in Colchis in VIII-VII CC. BC

*Vachadze Gvantsa,  
PhD student of Archaeology/Paleoantropology,  
I. Javakhishvili Tbilisi State University*

Given scientific paper is focused on bronze bull statues found in Colchis, dated back to VIII-VII centuries B.C. Parallels are drawn between Colchis bronze statues and items recovered from altars of ancient Greek temples. Similarities found between ancient Colchis figures and items discovered in Zeus, Hera, Artemis, and Apollo temples were analyzed through the scope

of art and sacred culture. Bull statues found in Colchian collective graves share identical elements with similar items recovered in excavations of Greek sacred places. Interaction of peoples, inhabiting the eastern coasts of Black Sea with ancient Greece were studied; along with analysis of Greek import and its cultural influence on eastern humans, before the era of colonization.

რუბრიკა  
პ რ ო ე ქ ტ ი

## „მომავლის არქეოლოგია“ საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის პროექტი

საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (დირექტორი პროფ. თინათინ ღუდუშაური) 2005 წლიდან ფუნქციონირებს და უნივერსიტეტის სხვა სკოლებს შორის წამყვანი პოზიცია უკავია. ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლას გააჩნია სწავლების მაღალი სტანდარტების შესაბამისად საჭირო ყველა რესურსი, როგორც ადამიანური, ისე მატერიალური.

სკოლის ერთ-ერთ მთავარ, პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს

არქეოლოგია, რომელიც შეისწავლება როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურზე. სწავლება მიმდინარეობს საუნივერსიტეტო, საველე და სამუზეუმო პირობებში. საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც აღნიშნული სკოლის ბაზაზე 2012 წელს ჩამოყალიბდა, უკვე მრავალი წელია აწარმოებს არქეოლოგიურ და ინტერდისციპლინურ კვლევებს სამშვილდის ისტორიულ ნაქალაქარზე, თეთრიწყაროს რაიონში (სურ.1).



სურ. 1 Pic.

საუნივერსიტეტო მუზეუმის სივრცეში გამოფენილი ექსპოზიცია, სწორედ უნივერსიტეტის ექსპედიციის მიერ მოპოვებული არტეფაქტებით არის წარმოდგენილი. არტეფაქტების დაცვა, საექსპოზიციოდ მომზადება და ექსპონირება კი მთლიანად აღნიშნული სკოლის სტუდენტების მიერ ხორციელდება (სურ.2).

ლი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას, არქეოლოგიური ძეგლების სიახლეების, ისტორიის, აღმოჩენების გაცნობასა და ნამდვილ არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობის მსურველთა მომზადებას (სურ.3). უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პროექტის მართვა-განხორციელება და დამატები-



სურ. 2 Pic.

2016 წელს პროგრამის კიდევ უფრო მეტად განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის არქეოლოგიის, ხელოვნებისა და ანთროპოლოგიის დეპარტამენტში ინიცირებულ იქნა პროექტი „მომავლის არქეოლოგია“, რომელიც დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს. იგი წარმოადგენს საგანმანათლებლო-შემეცნებითი აქტივობების ერთობლიობას, რომელიც ემსახურება არქეოლოგიური დისციპლინის განვითარებას, აღმოჩენებისა და კულტურუ-

თი აქტივობების შერჩევა, ასევე მთლიანად უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ ხორციელდება.

დღევანდელ ეტაპზე „მომავლის არქეოლოგიაში“ მონაწილეობა მიღებული აქვს თბილისის 15 საჯარო და კერძო სკოლას, აღნიშნულ შემეცნებით-გასართობ პროგრამაში კი მონაწილეობდა 240 მოსწავლე. უნდა აღინიშნოს, რომ პროექტი ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ სხვაობასა და ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, შესაბა-

მისად ყოველი ღონისძიება აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით იგეგმება. ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს პრეზენტაციები, რომლებიც პრაქ-

ტიკული მეცადინეობების დაწყებამდე იმართება და მონაწილეებს აწვდის თეორიულ ცოდნას არქეოლოგიისა და არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ (სურ.4).



სურ. 3 Pic.



სურ. 4 Pic.

ასეთებია:

„რა არის არქეოლოგია“.

„მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიური ძეგლები“.

„საიდან იწყება ცივილიზაცია“.

„უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლები“.

პრეზენტაციებთან ერთად „მომავლის არქეოლოგია“ მოიცავს პრაქტიკულ კურსსაც, რაც გულისხმობს იმიტირებულ არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობას, კერამიკის დაყალიბება/ფორმირებას, კერამიკული ნაკეთობების რესტავრაცია-აღდგენას, ქვის ხანის იარაღების მინაბამების დამზადებასა და ჩახატვას (სურ.5). პრაქტიკული კურსი საჯარო სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეებზეა გათვლილი და ემსახურება მათ მომზადებას უმაღლეს საგან-

მანათლებლო სასწავლებელში შესასვლელად, განსაკუთრებით ისეთ სპეციალობებზე, როგორცაა არქეოლოგია, ანთროპოლოგია, ხელოვნების ისტორია, რესტავრაცია, და სხვ.

დღეისათვის მზად არის და ფუნქციონირებს შემდეგი ვორქშოპები:

„ორი დღე არქეოლოგიურ სოფელში“.

„პირველყოფილი ცეცხლი“.

„პირველი ქვისა და თიხის ნაკეთობები“.

„პრეისტორიული ნადირობა“.

აღსანიშნავია, რომ „მომავლის არქეოლოგია“ სკოლის მოსწავლეთა და ახალგაზრდათა შორის არა მხოლოდ არქეოლოგიის დისციპლინის პოპულარიზაციასა და გავრცელებაზეა ორიენტირებული, არამედ მიზნად ისახავს მათ განათლებულ, სოციალური პასუხისმგებლობის მქონე და სხვადასხვა



სურ. 5 Pic.

პირობების მიმართ ადაპტირებულ პიროვნებებად ჩამოყალიბებას. ამ მიზნით დაგეგმილია და 2018 წლიდან ამოქმედდება „საზაფხულო სკოლა“ (სურ.6) სამშვილდის არქეოლოგიური ბაზაზე,

რობებსა და არქეოლოგიურ ტურებში. ეს კომპონენტი ასევე, მათ განვითარებასა და მაღალ ფასეულობებზე ორიენტირებული პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად.



სურ. 6 Pic.

რომლის ფარგლებშიც გარდა ზემოთ აღნიშნულ ვორქშოპებისა, მოზარდებს შესაძლებლობა ექნებათ შეითვისონ და განავითარონ ისეთი უნარ-ჩვევები, როგორცაა კარვის გაშლა ბუნებრივ გარემოში, სხვადასხვა ტიპის ცეცხლის დანთება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, ჰიგინის ნორმების დაცვა საველე პირობებში, ზრუნვა გარემოზე და ეკოლოგიაზე, ფლორისა და ფაუნის უკეთ შემეცნება, ადამიანური ურთიერთობებისა და კომუნიკაციის განვითარება. მეთვალყურეობისა და უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით მოზარდები მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ტიპის ლაშქ-

„მომავლის არქეოლოგიის“ ღონისძიებებში მონაწილე ჯგუფებს, ისევე როგორც ინდივიდუალურ მონაწილეებს, გადაეცემათ სათანადო სერთიფიკატი. ხოლო პროექტში განმეორებით ჩართვის შემთხვევაში, მათთვის საგანგებო პირობები და განახლებული პროგრამა იქნება შეთავაზებული (სურ. 7).

საქართველოს უნივერსიტეტი და მისი პროექტი „მომავლის არქეოლოგია“ ღიაა ქვეყნის ყველა საჯარო თუ კერძო სკოლასთან თანამშრომლობისათვის, ამავე დროს, იგი მთავარ მიზნად ჯანსაღი, ლაღი, განათლებული და სოციალური პასუხისმგებლობით სავსე მოქალაქეების ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად.





სურ. 7 Pic.

საორგანიზაციო ჯგუფი:

არქეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ხელოვნების დეპარტამენტი;  
თბილისი, კოსტავას 77. საქართველოს უნივერსიტეტი,  
IV კორპუსი. ოთახი 614.  
ტელ: 551887786; 557840033.



რუბრიკა  
ინტერვიუ

„არქეოლოგია“ საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი

„არქეოლოგიის“ მეორე ნომერი წარმოადგენს ინტერვიუს ცნობილ ქართველ მეცნიერთან და საზოგადო მოღვაწესთან, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსთან, არქეოლოგ გურამ გრიგოლიასთან.



### ბიოგრაფიული ცნობები:

პროფესორი გურამ გრიგოლია დაიბადა 1932 წლის 13 მარტს, ქ. თბილისში. 1955 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1956-1977წწ. მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში; 1977-1982 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიურ კვლევის ცენტრში; 1984 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1992), პროფესორი (1994). 1992-2006 წწ. ამავე უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის პროფესორი; 2007 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული მეცნი-

ერებების ფაკულტეტის არქეოლოგიის მიმართულების სრული პროფესორი; მისი გამოკვლევები, ძირითადად, ეძღვნება პირველყოფილი საზოგადოების ისტორიისა და ანტიკური ხანის საისტორიო გეოგრაფიულ პრობლემებს; სადაზვერვო მუშაობის შედეგად გამოავლინა მრავალი სხვადასხვა ხასიათისა და პერიოდის არქეოლოგიური ძეგლი; მისი მონაწილეობით გაითხარა – ბრილის სამაროვანი(1952-1953), ხოვლეგორა(1955-1957), წოფის(1957-1958), წონისა და ჯრუჭულის(1958-1963), ქვაჭარისა და სვანთა სავანის(1958-1965) მღვიმეები; ენგურის ხეობის ძეგლები(1963-1971); ხორშის ნეოლითური ნამოსახლარი (1966-1981) და სხვ.

პროფესორი გ. გრიგოლია ავტორია მრავალი პუბლიკაციისა და მონოგრაფიის, მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში. 2015-2017 წლებში იგი სამეცნიერო კონსულტაციას უწევდა საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიურ ექსპედიციას. მის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად სამშვილდის ნაქალაქარზე ცალკე იქნა გამოყოფილი წოფი-სიონის კულტურულ წრეში შემავალი არქეოლოგიური მასალის ჯგუფი და შესაბამისად, სამშვილდის ნაქალაქარზე კიდევ ერთი არქეოლოგიური კულტურის არსებობა დადასტურდა.

ჟურნალი „არქეოლოგია“ ბ-ნ გურამს ჯანმრთელობას და კვლავაც ნაყოფიერ, სამეცნიერო მოღვაწეობას უსურვებს.

• **ბატონო გურამ, რამ გადაგაწყვეტინათ არქეოლოგის პროფესიის არჩევა და ახლა რომ თავიდან ირჩევდეთ პროფესიას, მიიღებდით თუ არა იმავე გადაწყვეტილებას?**

რთული კითხვაა, სხვათა შორის, და არც ისე იოლი სათქმელი. რამ გადაგაწყვეტინა? მე თვითონ ისტორიკოსის ოჯახიდან ვარ. მამა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის (მაშინ სტალინის სახელობის), პროფესორი იყო, საქართველოს ისტორიის სპეციალისტი და ბუნებრივია პირველ რიგში, ტრადიცია იყო ჩემთვის, მაგრამ რომ გითხრათ არქეოლოგიაზე ვგიჟდებოდი, ამას ვერ ვიტყვი. ჩემი სტუდენტობის დროს, ასეთი პრაქტიკა არსებობდა, მეორე კურსზე რომ გადადიოდი, აუცილებელი იყო ოცი დღე სამხედრო ბანაკში გაგეტარებინა და მეც წამიყვანეს ქობულეთში. ფიჭვნარში სამხედრო ბანაკი ზღვის სანაპიროზე იყო მოწყობილი და კარვებში ვცხოვრობდით. ზღვის სანაპიროს მდ. ჩოლოქიდან დაწყებული, ჩაქვისკენ და ბათუმისაკენ მთელ სიგრძეზე დიუნები მიუყვებოდა (ეს არის ქვიშის ბორცვისებური შემალბებები) სწორედ ამ დიუნებზე გვიტარდებოდა სამხედრო წვრთნები. გვათხრევინებდნენ თხრილებს ანუ „აკვაფებს“ რომ ეძახიან, სადაც აფარებს ჯარისკაცი თავს ბრძოლის დროს. ეს დაახლოებით ის ტერიტორიაა, სადაც მდ. ჩოლოქი ზღვას ერთვის. ამ ადგილზე დღემდე წარმატებით მუშაობს ქობულეთ-ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიცია პროფ. ამირან კახიძის ხელმძღვანელობით. გათხრებისას ხშირად გვხვდებოდა კერამიკული ნატეხები, მაშინ ჯერ კიდევ გამოუცდელმა სტუდენტმა, ბევრი არაფერი ვიცოდი არქეოლოგიის შესახებ, მაგრამ მაინც ვიგრძენი, რომ ეს იყო რაღაც მნიშვნელოვანი მასალა წარსულის შესახებ. რამდენიმე ნატეხი ჩამოვიტანე თბილისში და სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში, ანტიკური ხანის სპეციალისტს ქალბატონ ნინო ხოშტარას ვაჩვენე. მას მასალა ძალიან მოეწონა და აღნიშნა, რომ მსგავსი ნივთები მოპოვებული ჰქონდა ურეკში მუშაობის დროსაც. ასე მოხდა ჩემი პირველი, უნებლიე, შეხება არქეოლოგიასთან და ამის შემდეგ გამიჩნდა სურვილი ჩავბმულიყავი არქეოლოგიურ საველე სამუშაოებში. ამავე პერიოდში ალპინიზმითაც ვიყავი გატაცებული. ჩემ დროს უნივერსიტეტის უმაღლესი სკოლა არა მარტო განათლების, არამედ სპორტული ნიჭის გამოვლენის საშუალებასაც იძლეოდა. (მაშინ აკად. ნიკო კეცხოველი იყო ჩვენი რექტორი). ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თითოეული სტუდენტის სრულყოფილ ფიზიკურ განვითარებას. სწორედ ამიტომაც, პირველი კურსი რომ დავამთავრე, მწვერვალ ყუროზე და მეფის კალოზე გავემგზავრე. ასვლა ვახტანგ ქირიკაშვილის (ცნობილი ალპინისტი) ხელმძღვანელობით მოხდა, ხოლო იქიდან თბილისში მომავალი, შუა გზაზე შევხვდი ახალგაზრდა ალპინისტების ახალ ჯგუფს და მათ გავყევი მეფის კალოზე. იმ დროს ალპინიზმს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჩემს ცხოვრებაში, ძალიან ვიყავი გატაცებული, მაგრამ რადგან ორივე სფერო - ალპინიზმი და არქეოლოგია წლის დროის ერთსა და იმავე მონაკვეთს, გაზაფხულსა და ზაფხულსა მოითხოვდა. მომიწია არჩევანის გაკეთება. თანდათანობით შევეშვი ალპინიზმს და გადავერთვე არქეოლოგიაზე. პირველი ჩემი გასვლები საველე სამუშაოებზე განხორციელდა ზემო რაჭაში. გამოჩენილი ქართველი არქეოლოგის პროფ. გერმანე გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით, ბრილის სამაროვანზე, 1952 წელს. შეიძლება ითქვას, რომ ბრილის სამაროვანი

მრავალფენიანი უნიკალური ძეგლია, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩოებში თავსდება შუა ბრინჯაოს ხანის კოლექტიური სამარხებიდან დაწყებულ, გვიანი ანტიკური ხანის ქვაყუთებითა და ორმო სამარხებით დამთავრებული. ბრილი მდებარეობს მდ.რიონის და მისი მარცხენა შენაკადის მდ. ზოფხითოს ხერთვისთან, რომლის სათავეებში ანთიმონის სამთო გამონამუშევრების შესწავლაში მივიღეთ მონაწილეობა.

ახლა რომ თავიდან ვირჩევდე პროფესიას, სერიოზულად დავფიქრდებოდი არქეოლოგიის არჩევაზე. არქეოლოგიის სფეროში ჩემი მრავალწლიანი (68 წელი) მოღვაწეობის გამოცდილება უფლებას მაძლევს, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ არქეოლოგია არ არის მარტო რომანტიკული მეცნიერება, თავისი ჰუმანიტარული და ფიზიკური შრომის მეთოდოლოგიური ნაზავით - ახალი აღმოჩენებითა და გამარჯვებებით გამოწვეული საზეიმო განწყობით, იგი მეცნიერების ერთ-ერთი რთული და მძიმე დარგია. ვინც აქეთ წასვლას დააპირებს, მას უნდა გააჩნდეს კარგი თეორიული ცოდნა, სასურველია მყარად ფლობდეს თუნდაც ერთ ევროპულ ენას, კარგია გააჩნდეს სპორტული მონაცემები, გაუძლოს ბუნების კაპრიზებს: სიცივეს, სიციხეს, წვიმას, ქარს და ა.შ. ეპიზოდურად აიტანოს სურსათისა და მედიკამენტების ნაკლებობა და არც თუ განებივრებული იყოს ფინანსური ანაზღაურებით.

**• ბატონო გურამ ვინ იყვნენ ის ადამიანები და მასწავლებლები, რომლებმაც კვალი დატოვეს თქვენი განათლების საქმეში?**

როგორც უკვე ითქვა, არქეოლოგიაში ჩემი პირველი მასწავლებელი პროფ. გერმანე გობეჯიშვილი იყო, რაჭველი კაცი, წარმოშობით სოფელი ღებთან. პირველი სავლე პრაქტიკის შესანიშნავი სკოლა სწორედ მის ხელში გავიარე (ნასოფლარ ბრილის სამაროვანზე). ბევრი შეიძლება ითქვას აკად. ოთარ ჯაფარიძეზეც, როგორც პედაგოგზე და არქეოლოგიის გამოჩენილ მრავალდარგოვან მკვლევარზე. ცოტა ხნის წინ მას 96 წელი შეუსრულდა და მინდა ვუსურვო ბედნიერი და ნაყოფიერი ხანგრძლივი სიცოცხლე. პროფესორი გიორგი ნიორაძე მხოლოდ ერთი წელი გვიკითხავდა არქეოლოგიის შესავალსა და პირველყოფილი საზოგადოების ისტორიას. სამწუხაროდ 1952 წელს იგი გარდაიცვალა. ასევე ნამდვილად დაუვიწყარია აკად. ნიკოლოზ ბერძენიშვილთან გატარებული წლები არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტსა თუ არქეოლოგიურ ექსპედიციებში: ხოვლეში, წოფში, გურიანთაში, აფხაზეთში, სვანეთში, კახეთში და ქართლში. ნიკოლოზ ბერძენიშვილი არ იყო ჩვეულებრივი არქეოლოგი; მე დღეს ძალიან ვნანობ, რომ სათანადოდ ვერ ვაფასებდით მას და ვუყურებდით როგორც ჩვეულებრივ მეცნიერ-მუშაკს. იგი იყო ნამდვილი მოვლენა, როგორი გაგება, როგორი კრიტიკული აზროვნება, როგორი პრობლემის დაყენება. ბატონ ნიკოსთან საუბარი იყო ყოვლისმომცველი და ამომწურავი, მას უყვარდა ახალგაზრდებთან საუბარი, მეგონა რომ ის სულ იქნებოდა ჩვენთან და არ ვჩქარობდი მისი საუბრების ჩანაწერების გაკეთებას. არა და ჩაიწერე, შე, ოხერო, რაზეც გესაუბრება ეს ბრძენი ადამიანი. ახლა კი ვნანობ, ზოგი რამ მახსოვს, მაგრამ ყველაფერი არ მაგონდება მისი საუბრებიდან. ასევე გავლენა მოახდინეს ჩემ ცხოვრებაზე ჩემმა მეგობრებმა აკადემიკოსმა დავით მუსხელიშ-

ვილმა, გიორგი ცქიტიშვილი, ტარიელ ჩუბინაშვილი, პროფესორმა ალექსანდრე კალანდაძემ და სხვებმა. ეს უკანასკნელი ძირითადად ბრინჯაოსა და ქვის ხანის სპეციალისტი იყო, მასთან ერთად აღმოვაჩინე წონას გამოქვაბული ერწოს ტბის თავზე და 4-5 წელი ერთად ვიმუშავეთ ამ ძეგლზე. 10 წელი ვთანამშრომლობდი ნიკო ბერძენიშვილის მეუღლესთან ნინო ბერძენიშვილთან, თუმცა უკვე ხშირად მიხდებოდა დამოუკიდებლად სტაციონალური ექსპედიციებისა თუ საძიებო სამუშაოების ხელმძღვანელობაც. ამის შედეგადაც რამდენიმე ასეული, სხვადასხვა პერიოდისა და ხასიათის, ძეგლი გვაქვს აღმოჩენილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

**• რომელ განსაკუთრებულ არქეოლოგიურ ექსპედიციას ან ძეგლს გამოჰყოფდით თქვენი მრავალწლიანი საველე-სამეცნიერო მოღვაწეობიდან და ასევე, თუ გაიხსენებთ რაიმე განსაკუთრებულ არტეფაქტს, რომელიც მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვრად?**

ყველაზე დასამახსოვრებელი ექსპედიცია, თვალსაჩინო და გამორჩეული ეს იყო ხოვლე გორას ნამოსახლარი, რომლის გათხრითი შესწავლა 1954 წელს დაიწყო და 1962 წლამდე გრძელდებოდა. მისი ხელმძღვანელი აკად. ნიკო ბერძენიშვილი, მოადგილე კი გიორგი ცქიტიშვილი იყო. ხოვლეს შესწავლაში აქტიურად მონაწილეობდნენ დავით მუსხელიშვილი, დავით ხახუტაშვილი, ტარიელ ჩუბინაშვილი, სანდრო კალანდაძე, დევი ბერძენიშვილი, თორნიკე ტატიშვილი, ალექსანდრე რამიშვილი და სხვ. იმ დროისათვის არც ერთი თაობის წარმომადგენელი არ ყოფილა, ხოვლეგორის შესწავლის საქმეში რომ არ მიეღო მონაწილეობა. ფაქტიურად ხოვლედან იწყება გორა ნამოსახლარების ძიება შესწავლა საქართველოში. ხოვლე იყო გორა ნამოსახლარი, რომელსაც თავისი მასშტაბებით, ფენათა სტრატეგრაფიით, ქვის არქიტექტურით, საზოგადოებრივი დარბაზებით, სამეურნეო სათავსოებითა და საკულტო სენაკებით კავკასიაში ანალოგი არ მოეპოვება.

ხოვლეს გორას ქვედა ნაწილში ქვის გალავანი ჰქონდა შემოვლებული, დაახლოებით 3 მეტრის სისქისა, მას გარედან შემოუყვებოდა 7 მეტრის სიღრმის თხრილი ქვით ამოშენებული კედლებით, მისი სიგანე 11 მეტრის იყო. გარდა ამისა, ამ გალავნის შიგნით ერთმანეთის გვერდით განლაგებული იყო, დიდი დარბაზები, პატარა სამეურნეო სათავსები და კერამიკული ვერძის თავებით დამშვენებული საკულტო ძეგლები. ასეთი არქიტექტურული დეტალებით დატვირთული მეორე ძეგლი არც ადრე ყოფილა აღმოჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე და არც მერე აღმოჩენილა საერთოდ კავკასიაში. მოპოვებული კულტურული მასალების მიხედვით ხოვლე დასახლებული ჩანს გვიან ბრინჯაოს ადრეულ ეტაპზე და განადგურებულია ძვ.წ V- IV საუკუნეებში. სამწუხაროდ, ხოვლეს დამახასიათებელი თავისებურება მასალის სიმწირეა, როგორც კერამიკის, ასევე ლითონის ნივთების სახით. როგორც ჩანს ჯერ მტერმა გაანადგურა ნამოსახლარი და რაც წასაღები იყო წაიღო, შემდეგ კი გადარჩენილმა მოსახლეობამ იქაურობა მთლიანად გაასუფთავა. მოპოვებული მონაცემების მიხედვით ხოვლე წინაკლასობრივი საზოგადოების ნაქალაქარის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს.

ხოვლე იყო არა მარტო სამეცნიერო არქეოლოგიური სკოლა, არამედ, ადამიანის წამდვილ მოქალაქედ ჩამოყალიბების სამჭედლო. აქ ადამიანი ტოვებდა ყოველგვარ უარყოფითს, რაც მას გააჩნდა, არასწორი აღზდის შედეგად, ოჯახში თუ სხვაგან. ჩემი აზრით, ასევე დიდი სამეცნიერი მნიშვნელობა გააჩნია წოფის არქეოლოგიურ ექსპედიციას (ხელმძღ. აკად. ნიკოლოზ ბერძენიშვილი ) სადაც, წოფის ქედის სამხრეთ ფერდობზე, აღმოვაჩინეთ ე.წ. „შარანტის“ ტიპის ადრემუსტიერული ხანის დანგრეულ-დამარხული გამოქვაბული, რომლის მსგავსი ძეგლი შესაძლოა აქვე კიდევ არაერთი იყოს ჩამარხული, მასში ჩამარხულ ადამიანებთან ერთად. ასეთ ფაქტებს კი რა დიდი მნიშვნელობა გააჩნია ქვის ხანის არქეოლოგიისათვის გასაგებია, განსაკუთრებით, დმანისის აღმოჩენების შემდეგ. დასასრულს მინდა გავიხსენო კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც მართალია წოფთან დაკავშირებით არქეოლოგიის კატეგორიას არ განეკუთვნება, მაგრამ წოფში ჩვენი მუშაობა მაინც ნიშანდობლივ დაგვამახსოვრა. საქმე იმაშია, რომ წოფის მთის სამხრეთ კედელზე, კლდოვან ქარაფში შექმნილი შუა საუკუნეების სახიზარების დაზვერვების დროს, ერთ-ერთ მათგანში დავიჭირეთ არწივი, რომელიც შემდეგ თბილისის ზოოლოგიურ პარკს ჩავაბარეთ. ჩვენ მიერ აღმოჩენილ განსაკუთრებულ ძეგლებს შორის შეიძლება დავასახელოთ ეწერის ნამოსახლარი გორა და „ლეზიქვის“ ნეოლითური სადგომი ზემო სვანეთში. ასევე აშელ-მუსტიერული ხანის ღია სადგომი - „ბულულა“ გოდერძის უღელტეხილის ზემოთ, ალპურ ზოლში. ეს ძეგლი ადამიანის უძველესი ნაკვალევის აღმოჩენის პირველი ფაქტია ხსენებულ რეგიონში.

• **ბატონო გურამ, საქართველოს უნივერსიტეტის პროექტი „სამშვილდე“ შედარებით ახალგაზრდაა, მაგრამ სწრაფად და მიზანმიმართულად ვითარდება. რას ფიქრობთ საქართველოს უნივერსიტეტის ამ პროექტზე და ზოგადად, არქეოლოგიის სპეციალობის სტუდენტებზე.**

სამშვილდის ნაქალაქარი თავისი მდებარეობით (მდ. ხრამისა და მდ. ჭივჭავის ხერთვისი), მორფოლოგიური ნიშნებით, გეოლოგიური აღნაგობით, (ვულკანური წარმონაქმნები, მღვიმეები) მიწისზედა ისტორიული ძეგლებისა და წერილობითი წყაროების სიუხვით, საბედნიეროდ, შედარებით კარგად გადარჩენილი მონუმენტური ძეგლია. შესაბამისად, მისი შესწავლის სურვილი, სხვადასხვა დროს, არა ერთმა მკვლევარებმა გამოთქვა (ე. თაყაიშვილი, ლ მუსხელიშვილი და ა.შ.). მათ შორის ვიყავით ჩვენც, როდესაც 1957 წელს სამშვილდის ზედაპირული დაზვერვების დროს ჭივჭავის ხეობაში მოვიძიეთ მუსტიერული ხანის, ობსიდიანისგან ნაკეთები იარაღები (ანატკეცები, წვეტანები, სახოკები) და ხრამის ხეობიდან ამოვიტანეთ თბილელი ეპისკოპოსის ელისე საგინაშვილის სახელით ამოკვეთილი, პირღებულის მონასტრის ასომთავრული წარწერა, რომელიც მოგვიანებით გამოვაქვეყნეთ კიდევ. ასეთივე ეპიზოდური ხასიათისა იყო ჩვენამდე და ჩვენს შემდეგ სამშვილდის არქეოლოგიური შესწავლის მცდელობები, რასაც გააჩნდა თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. გულახდილად, რომ გითხრათ, ასეთ ფონზე, პირველად ძალზე თამამად მომეჩვენა საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული პროექტი „სამშვილდე“, რომელიც ძეგლის პერმამენტულ კვლევას ისახავდა მიზნად, პროფ. დავით ბერიკაშვილის



ხელმძღვანელობით. როგორც იტყვიან, გულმა რეჩხი მიყო, ე.ი. შევშინდი, ჩვენს წინაშე დაისვა კითხვები, შეძლებდა კი ეს ახალგაზრდა კაცი, სათანადო თეორიული ცოდნისა და სავლელ მუშაობის გამოცდილების მიუხედავად ამ რთული ძეგლის შესწავლის საქმის წარმატებით ხელმძღვანელობას? მონიხება კი სათანადო სპეციალისტები საქართველოს უნივერსიტეტში, გამოიხახება კი გათხრებისათვის საჭირო აუცილებელი რესურსები, შეიქმნება კი ქვეყანაში ამ პატრიოტულ-ისტორიული საქმიანობისათვის უანგარო, კეთილად განწყობილი ამინდი და ა.შ. დღეს უკვე სამშვილდის ნაქალაქარის შესწავლა მე-5 წელია მიმდინარეობს. აქ წამყვანი საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალია (ხელმძღვანელი პროფ. დ. ბერიკშვილი), პედაგოგიურ და კვლევით სამეცნიერო დაწესებულებიდან მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად. განსაკუთრებით სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ყოველ წელს, სამშვილდის ნაქალაქარის შესწავლაში აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის სპეციალობის სტუდენტები, რომელთა შორის უნდა დავასახელო შოთა თვალაძე, ბექა გირგვლიანი, ლევან კვახაძე, მარიამ გაბისონია, ნინო სარალიძე, ნიკა გაზდელიანი და სხვები. გათხრითი სამუშაოების პარალელურად ექსპედიცია სამიებრო სამუშაოებსაც აწარმოებს სამშვილდის „ქვეყანაში“, სადაც, არაერთი საყურადღებო ახალი ძეგლი იქნა აღმოჩენილი, დაწყებული ქვის ხანიდან - შუა საუკუნეების ჩათვლით. ექსპედიციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმატებად უნდა ჩაითვალოს, ნაქალაქარის ტერიტორიაზე მოპოვებული ქვის მასალის მიხედვით, ე.წ. წოფი-სიონის ტიპის ნამოსახლარის არსებობის დადასტურება, რის შესახებ ადრე არაფერი იყო ცნობილი. სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიცია კვლავაც აგრძელებს სავლელ-კვლევით სამუშაოებს და ვუსურვებ მას ახალ-ახალ აღმოჩენებს.

*ინტერვიუ მოამზადა  
ლევან კვახაძემ*

*საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა  
და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის IV კურსის არქეოლოგიის  
სპეციალობის სტუდენტი*

